

825  
1986

ISSN : 0763 - 7247



# සුමාගම

ශාරත්‍යාලී ජොලිචිකිස ජේරිණදුලී මරුගානම ඉප්බෝගීම්

වැඩිහිටි

N° 9

PARIS

වැඩිහිටි

1986

AVRIL



„თავისუფლებაგ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი, ურთიერთობის  
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეჭისა,  
შენ ხარ აღმზრდელი დათაებამდე კაცთ ბუნებისა!“ — ი ლ ი ა

\*\*\*\*\*

### ნოტრის მნიშვნელოვანი თარიღები:

- .25 თებერვალი — ჩვენი ქვეჭის დაპყრობის 65 წლისთავი;
- .9 მარტი — თბილისის მანიფესტაციების დახვრეტის  
30 წლისთავი;
- .14 აპრილი — ჩვენი დედაენის დაცვის დღე;
- .4 მაისი — აღდგომის დიდებული დღესასწაული (ძველი სტილით)
- .26 მაისი—ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაული.

\*\*\*\*\*

გ უ შ ა გ ი — „თავისუფლების ტრიბუნა“-ს გაგრძელება  
საქართველოს დამოუკიდებლობის ბეჭდვითი ორგანო უცხოეთში.

დ ე ვ ი ზ ი : ს ა მ შ ა ბ ლ ი დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა!

გ ა მ ო ც ე მ ი ს პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ე ლ ი : გიორგი წერეთელი

\*\*\*\*\*

მისამართი: Georges Tsereteli - „GOUCHAGUI“-8, RUE DES  
MARCHAIS, 75019 PARIS. TEL. 4607-08-14.

სახელითა მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა.

როგორც ზოგელ წელს, შეკრებილი ვართ დღეს ამ ეკლესიაში, რათა აღვნიშნოთ ჩვენი სამშობლოს ერთი მეტად მრკივნეული და დიდმინიშვნელოვანი მომენტი. ეს იყო ათას ცხრაასს ოცდა-ერთ წელში, და საკითხი ეხება ეროვნულ ომს ჩვენს დასაპურობლად შემოსეულ მტერთან. ამ ტრადეციას ადგილი ჰქონდა სამი წლის შემდეგ იმისა, რაც ჩვენმა ხალხმა, 117 წლის ანექსიისა და გარუსების პოლიტიკის შემდეგ, აღიდგინა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა და უმოკლეს ხანში ჩვენმა ახალგაზრდა სახელმწიფომ შეძლო მთელი ისტორიული მიწა-წყლის გაერთიანება. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთიანი აღარ ყოფილა მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყალებული. ის, რაც შეიძლება იწოდოს „ქართულ სასწაულად“, იყო ნაყოფი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ღვაწლისა: უბრალო ხალხისა, ინტელიგენციისა და, თავის ადგილზე, ქართული სამღვდელოებისაც.

ოცდახუთ თებერვალს დაეცა თბილისი, ეს ჩვენი სამშობლოს სიმბოლო დედაქალაქი. საკუპაციო ხელისუფლება, თავისი მატერიალური ძლიერების წყლობით, აიძულებს ჩვენ ხალხს იდლესასწაულოს ეს სამგლოვიარო დღე, როგორც ზემომი მისი რეუიმის საღიძებლად. მაგრამ ეროვნული ომი კიდევ გაგრძელდა 17 მარტადე, და არ უნდა დავივიწყოთ საკვირველი ფაქტი, მაჩვენებელი ქართველი ხალხის დიდი და წმინდა ეროვნული შეგნებისა. ჩვენმა ეროვნულმა ჯამა, რომელიც მტრისგან ზღვის პირად იყო მიმწყდებული, იმდენი მორალური ძალა გამოიჩინა კიდევ, რომ ბათუმი გაანთავისუფლა იქ შემოქრილ თურქი ჯარებისაგან, მაშინ, როცა წითელი არმია გაუნდრევლად იდგა ხოლო ნაყფი კი მოიმკო მოულოდნელი.

. თქვენ იცით, რომ ეკლესია პოლიტიკურ ამბებში პირდაპირ არ ერება, მაგრამ, როცა ეს ეხება ერს მთლიანად აღებულს, მაშინ ეკლესიამ უნდა მიიღოს თავისი საყუთარი მონაწილეობა. და საზოგადოდ, ქართველი ხალხისა და საქართველოს ეკლესის კაგშირი შემადგენელი ნაწილია თემებსმეტი საუკუნის ისტორიისა. ქართული ეკლესია, ჩვენს ერთადერთ ეროვნულ ენაზე წარმოებული ლოცვა-გალობითა და ქადაგებით, იცავდა,

თავის მხრით, მთელი ქართველობის ერთობას იმ დღის შემცირებულ  
ცა საქართველო დანაწევრებული იყო სხვადასხვა საზეულობების  
თავრიებად. ეკლესია არასოდეს არ შევეტს თავის ეროვნულ

სამსახურს, მოუწოდებს რა დაუღალავად საქართველოს შვილებს თანხმობისა და ერთობისაკენ. ამაშიაცაა ჩვენი აქაური პატარა ქართული საეკლესიო ერთეულის მოვალეობა მთელი ქართული ემიგრაციის მიმართ.

**1921** წლის ეროვნული ომის ხსოვნა, მიუხედავად დამარცხებისა, რჩება ჩვენი ეროვნული შეგნების მნიშვნელოვან მომენტად: იგია ჩვენი ერის წინააღმდეგობის მოწმობა და იგია წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს მომავლისაკენ.

ამიტომ, ძმანო და დანო, საყვარელო შვილებო, ვილოცოთ უფალ-ღმრთის მიმართ ეროვნულ ომში დალუპულ მხედართა და ყველა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ცხოვრების შემწირველ ქართველთა სულისათვის. ამინ.

დეკანზი ილია მელია

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

## 65 წლის ტავისაზი

65 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენი სამშობლო დაიპყრეს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა. 25 თებერვლის ეროვნული ტკივილები არაერთხელ აღგვიძრავს ჯერ „თავისუფლების ტრიბუნაში“ და მერე „გუშაგშიც.“ ალბათ ზოგჯერ გამეორებებსაც თავიდან ვერ ავიცდენთ, მაგრამ ეს არ უნდა ჩაგვა-თვალოს არც შეცდომად და არც გაუგებრობად, რადგანაც, ამ ჩვენი გამოცემის მთავარი მიზანია, ეროვნულ საკირბო-როტო საკითხებზე ჩვენი პოზიციის გაზიარება და არა საინ-ტერესო საკითხავის მიწოდება მკითხველებისადმი. გადაუჭირ-ბებლად შეიძლება ითქვას, რომ 25 თებერვალი უკანასკნელი 65 წლის ჩვენი ეროვნული კუთის საკითხთა-საკითხია, რადგანაც ქართველობის საერთო ტკივილი, მწუხარება, დაზი და ჭმუნვა 25 თებერვლიდან იღებს სათავეს.

ქართველი ხასიათდება დიდი თავმოყარებობით, შეიძლება ით-ქვას, გადაჭირებული თავმოყარებობით, რაც ხშირად უაზრო თავშე ხელაღებულობაში გადადის. აბა, გაბედეთ და ქართველ კაცს სახლში მიუხტით, ცადეთ ფეხქვეშ გათელოთ მისი აღა-



მიანური ღირსებები, ცადეთ შელახოთ მისი ოჯახის დროულობაზე-  
ბა და სიწმინდე, ღირსება და ნამუსი, და თქვენი დანიშნულების,  
რომ, რა გინდ სპირიდონ მცირიშვილივით ფიზიკურად სუსტი  
არ იყს, მაინც მოძალადეს შეურაცხვოფას არ შეგარჩენს იმ  
ზომამდე, რომ, თუ თავისი საკუთარი იარაღი არ აღმოაჩნდა,  
თქვენს ამოწვდილ ხმალს ზედ წამოეგება, თავს შემოგაყლავს,  
თავმოყვარეობის შელახვას კი არ დაუშვებს, არ შეურიგდება.

სწორედ ასეთ მიხტომასა და ძალადობას ჰქონდა ადგილი  
1921 წლის 11 თებერვლის ღამით, იმ განსხვავებით, რომ აქ  
საბჭოთა რუსეთის მოძალადენი ერთ ან ორ ქართველს კი არ  
მიუხსტენ შინ და შეურაცხვეს, არამედ ჯელა ქართველს,  
მთელ საქართველოს, როგორც ერსა და სახელმწიფოს. წელს  
65 წელი შესრულდა იმ ჩვენი დიდი ეროვნული ტრალედი-  
დან. მტრის უხეში ძალმომრეობა ქართველ ხალხზე გრძელდე-  
ბა დღესაც. იგი ისეა გათამამებული, რომ არა მარტო ჩვენი  
სამშობლო, არამედ მთელი მსოფლიოს დაპყობაც ეოცნებება,  
მაგრამ ჩვენ გაუსწორებელი ოპტიმისტები ვართ და ღრმად  
გვჯერა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

ქართველი ხალხი ერთი თავისთავადი და უძველესი ცივილი-  
ზაციის მქონე ერია დღევანდელ კაცობრიობაში. მარტო ამის-  
თვისაც კი ჩვენ, მის შვილებს, გვმართებს, რომ ერთთავად  
თავი დავდგათ მისთვის და არ დავუშვათ მისი არც გაქრო-  
ბა-გადაშენების და არც გადაგვარება-გადაჯიშების საფრთხე.  
ეს საფრთხე კი მუდამ იარსებებს, სანამ ჩვენი ხალხი და ჩვე-  
ნი სამშობლო უცხო ერის მპყრობელობაში არიან.

ქართველები სჭირეთის მეამბოხე სულის ხალხი ვართ. ჩვენს  
შორის ხშირია განხეთქილება, რითაც მტერს არუტოხელ უსა-  
რებლია წარსულში, მაგრამ, როცა საკითხი ეხება უცხო მპ-  
ყრობელთაგან განთავისუფლებას,— ქართველი ხალხი დღესაც  
ისევე ერთსულოვანია როგორც ამას ჩვენს წინაპრებზე ბრძა-  
ნებს ვახუშტი ბატონიშვილი:

„ზენენი აქუნდათ პირმტკიციობა, მტერთა ზედა ერთობა, თა-  
ვისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა... გარნა თუ მრავალ მთავარ  
იყვნენ და ოდესმე განდგინა თავის-თვისად, გარნა მარადის  
გარე მტერთა თვისთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდნენ  
მცხეთელ მამასახლისსა და, შეერთბამებულნი, თვისთა ქვეწი-  
სათვის მხნედ იბრძოდიან.“



## სისხლიანი 9 მარტი

ოცდაათი წლის წინად, მარტის პირველ რიცხვებში, თბილის-სა და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში ჩატარდა მასიური ანტისაბჭოთა მანიფესტაციები, რომლის ძირითად ბირთვს მოსწავლე ახალგაზრდობა შეადგენდა. იგი დაემთხვა სტალინის სიკედილის სამ წლისთავს, მას ცოტათი წინ უსწრებდა ბერიას ფიზიკური ღიკვიდაცია, მის მიერ აღზევებულ პარტიულ კადრების დევნა და სტალინის კულტის წინააღმდეგ ფარული მოქმედება. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს კომპარტიის მაღალი თანამდებობის აპარატიკების, რომლებიც სტალინ-ბერიას მიერ იყენ აღზევებულნი, და ქართველ პატრიოტ ახალგაზრდების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვენ. უდავოა, რომ მანიფესტაციების ინიციატივა და ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის ოფიციალურ აპარატიდან გამოიღოდა. მანიფესტანტების პირველი ლოზუნები—სიმართლე სტალინის შესახებ და სტალინის პიროვნების განდიდების სცენები ამ მოსაზრებას ადასტურებენ. მაგრამ, რაც დრო გადიოდა ლოზუნებიც იცვლებოდა და მალე გაისმა აშკარა მოთხოვნა: საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის უფლებაზე. ამის შემდეგ პატრიოტ ახალგაზრდებისა და პარტიულ აპარატიკების გზები გაიყრენ და შესაძლებელია, რომ ამან თავისი დაღი დაასვა მანიფესტაციების ტრადიციულ დასასრულს. იყო პროვოკაცია თუ არ იყო, საბუთების უქონლობის გამო შეუძლებელია გადაჭრით რაიმეს მტკიცება. საბჭოთა ხელისუფლება კი ოფიციალურად მუდამ უარყოფს თვით მანიფესტაციის დახვრეტის ფაქტსაც. სერიოზული წყაროები კი იტუმბინებიან, რომ 9 მარტს თბილისის ცენტრში თავმოყრილმა მანიფესტანტების მიტინგმა გადაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და მიაშურა კავშირგაბმულობის სასახლეს, რომ ეს ამბავი ემცნო მსოფლიოსათვის. სწორედ მ მომენტში ამოქმედებულა სპეციალურად მოყვანილი ჯარის ნაწილების ტანკები და ტკი-ისმფრქვევები, რომელთაც მუსრი გაუვლიათ უიარაღო ხალხისათვის. ზოგიერთი ცნობით, მოკლულთა რიცხვი ათასზე მეტი იყო. ყველაზე დაბალი შეფასებით კი სულ ცოტა 120 ახალგაზრდა იქნა მოკლული და ორასი მძიმედ დაჭრილი.

7-8-და 9 მარტს თბილისი ეკავათ აჯანყებულებს. პოლიტიკური პოლიცია და მილიცია სრულიად უძლური აღმოჩნდენ წესრი-

გის დამყარებაში და ხელისუფლებას სპეციალური სამსახურის დივიზიების მოყვანა დასკირდა რომ ასობით ახალგაზისუფლება ცოცხლის საფასურად ხელისუფლება შეენარჩუნებია.

**1924** წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების შემდეგ **1956** წლის მარტის მანიფესტაციები ყველაზე ღიღი პატრიოტული გამოსვლა იყო ქუჩებში საბჭოთა რევიმის წინააღმდეგ, რუსეთიდან ჩიკოშორების სასარგებლოდ. იქ და აქ საშუალებები სხვადასხვა იყვენ. იქ შეიარაღებული აჯანყება მზადდებოდა, აქ შიშველი ხელებით სტიქიურად გამოვიდენ ქუჩებში. ორივე შემთხვევაში ზღვა ქართული სისხლი დაიღვარა, რომ საქართველომ იცოცხლოს.

#### 14 აპრილი

შემდეგი დიდნიშვნელოვანი მომენტი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში იყო **1978** წლის **14** აპრილი, როცა ქართველი ხალხი, ქართველი ინტელიგენცია და პირველ რიგში ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა არ შეუშინდა **1956** წლის **9** მარტის სისხლიან გაკვეთილს და მასიური საპროტესტო გამოსვლა მოაწყო თბილისის ცენტრალურ უბანში, საბჭ. საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსის გაუქმების წინააღმდეგ. საბედნიეროდ, ამჯერად საქმე უსისხლოდ დამთავრდა. ბრეჟენევის საბჭოთა ხელისუფლებამ უკან დაიხია და ქართველი ხალხის სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა, თუ ცხოვრებაში არ ქაღალდზე მაინც.

ჩვენი ქვეყნის პატრიოტმა ახალგაზრდებმა ეს დღე—**14** აპრილი გამოაცხადა ჩვენი დედაენის დაცვის დღედ. ამას, რა თქმა უნდა, ღიღი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იქ, ჩვენს სკოლობრივი, იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომელშიც უხდება ცხოვრება ჩვენს ხალხს უცხო მცყობელ ხელისუფლებისაგან, რომელიც ჩვენი დედაენის გალარიბებისა და დაკინების მუდმივი პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ ჩვენი დედაენისაღმი მეტი ჭირისუფლობა და ზრუნვა არ გვაწენს არც ჩვენ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს. სამართლიანი არ იქნება თუ ვირცვით, რომ ქართველს თავისი სამშობლო და დედაენა არ უჯარდეს, მაგრამ როგორც ყველაფერში, დედაენის მზრუნველობის საქმეშიც მას დაუდევრობა ახასიათებს. მხოლოდ ამით, მხოლოდ დაუდევრობით შეიძლება ახსნას ის ფაქტი,

რომ უცხოეთში დაბადებულ და აღზრდილ ჩვენი ახალგაზრდათა ბის უმრავლესობამ ჩვენი დიდებული ენა არ იცის სრული განვიტოვანი თაც, ხოლო იმ მცირე რიცხვმა, რომელთაც შეუძლიათ ქართულად მეტჯელება, მათი ქართული სიტყვიერების მარაგიც ძალიან ღარიბია, რადგანაც ქართულ დაწერლობას არ კითხულობენ. არ გვეპარიეტა მაგალითად, რომ პარიზში ქართული სკოლა დღემდე არ გაგვაჩნია, ხოლო სორბონის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ცივილიზაციის ფაკულტეტზე ჭაველწლიურად ერთი ათეული ქართული წარმოშობის ახალგაზრდაც კი არ ირჩება.

დიახ, უნდა უეჭველად დაიძლიოს ჩვენი ეროვნული ნაკლი-დაუდევრობა. ჩვენს დედაენას ესაჭიროება იქაც და აქაც, მუდმივი ზრუნვა, გარჯა და რუდღნება ისევე, როგორც ფუტკართაგან თაფლის დამზადებას და საჭიროა აგრეთვე წელიწადში ერთი დღე ანგარიშგებისათვის. სწორედ ასეთად გვესახება ჩვენ თოთხმეტი აპრილის დღე.

### ა ღ დ გ თ მ ა

ძველი სტილით, რომელსაც მუდამ მისდევს ჩვენი მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაული წელს ოთხ მაისს მოდის.

ქრისტიანობას, რომ თავის დროზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერისათვის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ხოლო აღდგომის მისტერია რომ ჭველა სხვა ქრისტიანულ დღესასწაულზე აღმარტებული და დიდებულია, ესეც უდავოა. ძვირფასნო თანამემამულენო, ჩვენს სამშობლოში მყოფნო თუ გაფანტულნო ქვეწიერების სხვადასხვა კუთხეში : გიხაროდეთ, რამეთუ ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!

### 26 მ ა ი ს ი

მაღე ჩვენ ვიზეიმებთ ჩვენს ტრადიციულ 26 მაისობას. ეს არის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ზეიმი და, მაშასადამე, ქართველი ხალხის უდიდესი ეროვნული დღესასწაული. ჩვენ აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია მკითხველთა ჭურადღება მისისტორიაზე შევიჩროთ, რადგანაც ამას ჩვენ არაერთხელ საკმაო დაწვრილებით შევხებივართ წარსულში.

აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი ინტერესი ამ დღესასწაულის

ულისადმი არ უნდა შენელდეს, რადგანაც ეს ხელს აძლევდეს კუნ-  
ნი ეროვნული დამოუკიდებლობის მტრებს. ისინი ხომ მოვალეობის  
ავტორულებული და ავტორულებენ კორებს, რომ ვითომცდა 1918  
წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა, საბჭოთა რუსეთიდან გამო-  
ყოფა ქართველ ხალხს არ დომებოდეს და თითქოს იგი მენშე-  
ვიკებს ძალით თავზე მოეხვიოთ მისთვის. ისტორიული  
სიმართლე კი ის არის, რომ რუსეთის დიდი რევოლუციის შე-  
მდეგ ქართველი ხალხის ბედს მენშევიკურად წოდებული სოცი-  
ალ-დემოკრატიული პარტია განაგებდა და ჩვენი ქვეჭის და-  
მოუკიდებლობის გამოცხადების პატივიც მას ხვდა წილად.  
მაგრამ თვით დამოუკიდებლობა კი იყო სურვილი, მისწრაფე-  
ბა და შედეგი მთელი ქართველი ხალხის ნებისა, რაც უდავოდ  
დაადასტურა 1919 წელს არჩეულმა დამფუძნებელმა ეროვნულმა  
კრებამ.

რაც მთავარია, როცა 26 მაისობას ვდღესასწაულობთ, ამით  
ჩვენ ხაზს ვუსვამთ ყელა ქართველისათვის ერთავად სანუ-  
კარ დამოუკიდებლობისადმი ლტოლვას და არა მის ამა თუ  
იმ წესწყობილებასა და ხელისუფლებას. თავისუფალი ქართველი  
ხალხი თვით აირჩევს თავის სახელმწიფო რეუიმს და პოლიტი-  
კურ წინამდლოლებს, მთავარია, რომ ამ არჩევაში მას გარე-  
დან არავინ ჩაერიოს და არ უკარნახოს საკუთარი გადაწ-  
ყეტილება, როგორც ამას ადგილი აქვს ამ უკანასკნელი 65  
წლის განმავლობაში.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ისევ და ისევ დაძაბულობა

„გუშაგის“ წინა ნომერში მოწინავე საახალწლო წერილი თა-  
ვდება ოდნავი ოპტიმიზმით მსოფლიო ომისა თუ ზავის საკი-  
თხის თაობაზე. უნევის მაშინ ახლად დამთავრებული პრეზ.  
რეიგანისა და გორბაჩივის შეხვედრა იძლეოდა საფუძველს ას-  
ეთი განწყობილებისას. უპირობო პაციფისტთა სამწუხაროდ  
ამერიკა- საბჭოთა იდილიას დღეგრძელობა არ ეწერა და ეს  
არ ყოილა არც გასაკვირი და არც მოულოდნელი, რადგანაც  
ძველებულად გრძელდებოდა ტერორისტული აფეთქებები დასა-  
ვლეთის დემოკრატიულ ქვეჭების აეროდრომებზე თუ თვითმ-  
ფრინავებში, სამგზავრო მატარებლებში, დიდ მაღაზიებსა და  
თვით ხალხმრავალ ქუჩებში; გრძელდება უდანაშაულო მძევ-



ლების მოტაცება, შანტაჟი და მკვლელობა; საპაეროუფზე ჭავჭავაძე-  
აო პირატობა და სხვა და სხვა. ამ ამაზრზენს სიცხველის შემთხვევა  
შების აქტიონები მართალია პალესტინელი არაბი ნაციონალი-  
სტები, ლიბანელი რელიგიური ფანატიკოსები, ანდა ლიბიის დი-  
ქტატორის დაქირაცებული უულგარული ტერორისტები არიან,  
მაგრამ ჯელა მათ ზურგს უკან საბჭოთა ხელისუფლებაა. ის  
აიარალებს, ფულიანებს და აქეზებს თავისი ფარული თუ აშ-  
კარა მხარდაჭერით. იგივე გორბაჩივი ფრენებს სისხლიან  
გამანალგურებელ ომს ავღანეთში, კომუნისტურ კუბასთან ერ-  
თად ანგოლაში, სირიალიბიასთან ერთად ახლო-აღმოსავლეთში,  
კომუნისტურ ვიეტნამთან ერთად კამბოჯაში, კომუნისტ სანდი-  
ნისტებთან ერთად ცენტრალურ ამერიკაში... ბრძაც კი მიხვდე-  
ბა, რომ გორბაჩივი გლობალურ ომს აწარმოებს მთელი დასავ-  
ლეთის და კერძოთ, ამერიკის შ. შტატების წინააღმდეგ. ამ  
ომის დამახასიათებელი ისაა, რომ ის გამოცხადებული ომი არ-  
აა და ალბათ მას არც არასოდეს გამოაცხადებენ. მათ ვითომე  
ლოკალური კონფლიქტების ხასიათი აქვთ, მაგრამ სინამდვილე-  
ში-მსოფლიო ომის შემაღებელი ფრონტებია. ამიტომაც იყო,  
რომ პრეზ. რეიგანმა უენევაში გორბაჩივს შესთავაზა: თუ თქ-  
ვენ მართლაც გულით გწადიათ მშვიდობა, მაშინ ჯერ შეცუდ-  
გეთ რეგიონალურ კონფლიქტების მოგვარებასო. რაზედაც გო-  
რბაჩივმა რუსული ატკაზით უპასუხა, რადგანაც ეს არ შედი-  
ოდა მის მსოფლიო სტრატეგიის ანგარიშში.

უენევის ბირთვული განიარალების კომისიაში არავითარ პრო-  
გრესს ადგილი არ აქვს. მისი მუშაობა სრულებით შეწყვეტი-  
ლია ოთხი მარტიდან რვა მაისამდე. სამაგიეროდ გორბაჩივის  
საჯარო წინადადებებს ბოლო აღარა აქვს. ყრილობები, სმითა-  
ვრობმ შეხვედრები, ინტერვიუ, ტელეშედგა... არაფერი არ არ-  
ის მისგან უგულებელყოილი, რომ მისი რუსული „მშვიდობა“  
უკედ გაასაღოს მსოფლიო საზოგადოებაში, მაგრამ, როცა ზა-  
ვის საკითხი კონკრეტულად დგება, მაშინ სხვადასხვა მიზე-  
ზებით ფეხს ითრევს. უენევის თათბირის დროს პრეზ. რეიგანი  
და გორბაჩივი შეთანხმდენ, უკელშლიურად შეხვდენ ერთმან-  
ეთს და წელს ზაფხულში გორბაჩივი უნდა წვეოდა რეიგანს  
ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახლა კი გორბაჩივი მისი  
ვიზიტის საფასურიად სხვადასხვა პრეტენზიებს აცხადებს.  
მაგალითად, კომპარტიის 27-ე ყრილობის ტრიბუნიდან განაცხა-



და, რომ თუ წინასწარ იმედი არ გვექნა, რომ შეთანხმულებული მივაღწევთ ბირთვულ იარაღის დარგში, ისე ჩვენს უზრუნველყოფის ამერიკაში აზრი არა აქვსო. რაზედაც თეთრი სახლიდან დაუფლების უპასუხეს: უენევაში დაქმული პირობის თანახმად სსრკ კპ გენერალური მდივანი წინასწარი თამასუქების გარეშე უნდა გვეწვიოს ჩვენს ქვეყნაში მოსალაპარატებლად. თუ ის თავის სიტყვას არ შეასრულებს, მაშინ ჩვენც მომავალ წელს სსრ კავშირს აღარ ვესტუმრებითო. ამაზე კრემლიდან უპასუხეს, რომ მ. გორბაჩივის სიტყვები უზილობაზე არ ნიშავდა ამერიკაში ვიზიტზე უარის თქმასათ. მაგრამ 29 მარტს ღამით ეს საკითხი ისევ კითხვის ქვეშ დააყნა. მართლაც, როცა მოელი დასავლეთის ქრისტიანული სამყარო ქრისტეს აღდგომის მისტერიას ზეიმობდა, მ. გორბაჩივმა ტელევიზიით მიმართა საზოგადოებას, არა, როგორც შეიძლება გულუბრყილო კაცს ეგონოს, დღესასწაულის მისალოცად, არამედ ამერიკის პრეზიდენტ რეიგანს წინადაღებას ვაძლევ, დაუჭირებლივ შემხვდეს ლონდინში, რომში, ან დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქში, რათა შევთანხმდეთ ბირთვული ბომბების საცდელი აფეთქებების აკრძალვის შესახებო. ამ უდროო დროს და უცნაურ პირობებში შეთავაზებულ წინადაღებაზე, პრეზიდენტმა, რომელიც იმ დროს თავის მამულში, ქ. სანტა ბარბარაში ისვენებდა, თავისი პორტ-პაროლის პირით, შემდეგი პასუხი გასცა: ჩვენ, როგორც წარსულში, მუდამ მომხრე ვართ ბირთვული იარაღის სრულიად აკრძალვისა, თუ კი ამაზე მივაღწევთ შეთანხმებას ჩვენს პარტნიორებთან, მაგრამ მანამ სანამ ეს შთანხმება არ მოხდება, ბირთვული იარაღი გამაფრთხილებელ მუქარას წარმოადგენს ომის გაჩაღების წინააღმდეგ და სანამ ეს ბირთვული იარაღი არსებობს, მანამ მისი გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის საცდელი მიწისქვეშა აფეთქებები აუცილებლად საჭიროა. ამავე დროს, მან გორბაჩივს მოაგონა, რომ მ. საკითხებზე მოსალაპარაკებლად პრეზიდენტი მას წელს ელოდა თეთრ სახლში და მანამდე ვერავითარ საჭიროებას ვერ ხედავდა ევროპაში შეხვედრისას.

ამრიგად, გორბაჩივი კიდევ გაწბილებული დარჩა, თუმცა, განა შეიძლება დაგიჯეროთ, რომ ის სხვაგარ პასუხს მოელოდა? ჩვენ უფრო გვგონია, რომ ეს წინასწარ გამიზნული პოლიტიკური მანევრი იყო, მაგრამ ასეთი მცდარი ნაბიჯები

გ უ შ ა გ ი №9

1986 წლის აპრილი

დაზღვეული არ არიან რისკისაგან. სწორედ ასეთი მოუფრინებელი ცალი და საბჭოთა რეეიმის პრესტიუისათვის მაზარალებელი სა-ერთაშორისო ნაბიჯები გახდა საბედისწერო მ. გორბაჩოვის პოლიტიკური წინამორბედის ნიკიტა ხრუშჩოვისათვის, რომელიც მისმა პოლიტიკურმა „მეგობრებმა“ ხელისუფლებიდან უცერებო-ნიოდ გააძევეს.

შემდეგშიაც მ. გორბაჩოვს გადაწყვეტილად უარი არ უთქვა-მს ამერიკაში გამიზნულ ვიზიტზე. საზოგადოების დასამშვიდე-ბლად ისიც კი იყო საჯაროდ გამოცხადებული, რომ ედ. შევა-რლნაძე ვაშინგტონში უნდა შეხვედროდა მის ამერიკელ კოლ-ეგას ჯ. შულცს, რათა შეთანხმებულიყვენ გორბაჩოვის მომა-ვალი ვიზიტის პროტოკოლზე, მაგრამ ამ ხანებში, 14-დან 15 აპრილის ღამით, ამერიკის ავიაციამ ლიბიის ზოგიერთი პუნქ-ტები დაბომბა, საბჭოთა მთავრობამ ეს საბაბად გამოიყნა და, როგორც სანქცია, ეს შევარდნაძის წინასწარი შეხვედრაც გა-აუქმა და ამით ერთხელ კიდევ გაუცრუა იმედი ზელა იმათ, ვინც ბევრს მოელოდა რეიგან-გორბაჩოვის მომავალი შეხვედრი-დან. ამრიგად, როცა ეს სტრიქონები იწერება, საერთაშორი-სო მდგომარეობა საკმაოდ დაძაბულია, მაგრამ არავინ არ ფი-ქრობს, რომ ახლო მომავალი საბედისწერო იყოს.

### პაპუნა ლუბაშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

პოლიტიკური ცვლილებები  
საფრანგეთში

კვირას 16 მარტს საფრანგეთში ჩატარდა საკანონმდებლო ეროვნული საკრებულოს დეპუტატთა არჩევნები, რომელშიაც დამარცხდენ ეგრევ წოდებული მემარცხენე პარტიები და მათ შორის მმართველი სოციალისტური პარტია და, ამრიგად, მთა-ვრობამ, რომელიც პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი, სოციალისტებისაგან ზომიერ მემარჯვენე პარტიების კოალიცი-აში გადაინაცვლა.

საფრანგეთის თანამედროვე პოლიტიკურ სისტემას უწოდებენ მეხუთე რესპუბლიკას, რომლის მამამთავარია აწ განსვენებუ-ლი გენერალი შარლ დე გოლი. ამჯერად, პირველად მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში, შეიქმნა ახალი პოლიტიკური ვითა-რება, როცა საფრანგეთთაო და პირდაპირი კენჭის ჭრით არჩეუ-



ლი რესპუბლიკის პრეზიდენტი და პარლამენტის ღერძული უფლის უმრავლესობა ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკური და საზოგადო ბიდან არიან. ხელისუფლების გაორება ხომ არ შეიძლებოდა, ამიტომ ორი კონსტიტუციური გზა რჩებოდა: 1. პრეზიდენტს შეეძლო არჩევნები გაეუქმებია და ას აღი არჩევნები დაენიშნა. მაშინ თავისი საპრეზიდენტო მანდატიც სახალხო მსჯავრის სასწორზე უნდა დაედვა. 2. ან ამა და, პრეზიდენტ მიტერანს შეეძლო ბოლომდე (კიდევ ორი წელიწადი) დარჩენილი უ თავის პოსტზე, ახალ საპარლამენტო უმრავლესობიდან მოეწვია მთავრობის თავმჯდომარე, რომელიც თავის მხრით თავის პოლიტიკურ მეცნიერებიდან შეაღენდა მთავრობას და, ამგარად, პრეზიდენტსა და მთავრობას კონსტიტუციის მიხედვით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობების მიხედვით ემართათ ქვეყანა. სიძნელეები სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუცია ამ საკითხში იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციას და ზოგჯერ ურთიერთ საწინააღმდეგოსაც. საფრანგეთის პოლიტიკური სისტემა არ არის არც ამერიკის მსგავსი საპრეზიდენტო სისტემა და არც ინგლისის მსგავსი საპარლამენტო, არამედ რაღაც მათ შორის, რომლის მთავარი საზრუნავია საფრანგეთი უზრუნველყოს სტაბილური ხელისუფლებით, რა თქმა უნდა, დემოკრატიის სრული დაცვით, და პრეზიდენტს ანიჭებს ფართო უფლებებს(პარლამენტის დაშლა, პრემიერ მინისტრის დანიშნუა, საერთაშორისო ურთიერთობა, შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლობა და ა.შ.) და მიტომ დე გოლის მოწინააღმდეგები მას კონსტიტუციურ მონარქს უწოდებდენ. როცა პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ერთსა და იგივე პოლიტიკურ წრეს ეკუთვნიან, მაშინ პრეზიდენტი თითქმის ბატონ-პატრონია საფრანგეთისა, ხოლო ისეთ განსხვავებულობის შემთხვევაში, როგორსაც ამჟამად დაურჩა ადგილი, პრეზიდენტის უფლებები საგრძნობლად იზღუდება მთავრობისით. ამ უკანასკნელს აქარია სახელმწიფოს მართვა-გამგეობა და პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

როცა პრეზიდენტი და მთავრობა ერთმანეთისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ დაჯგუფებებს ეკუთვნიან, მაშინ მმართველობის აქ წესს ფრანგები „ქაბიტაციას“ უწოდებენ, რაც სტუა-სიტუაციით ნიშნავს „ერთად ცხოვრებას“, „თანაცხო-

გრებას" და გულისხმობს სახელმწიფოს ორი უმაღლესი ლიტერატურული ნოს შეთანხმებულ თანაარსებობას.

უკვე ერთი წლის წინად საფრანგეთის პოლიტიკური წოდები ითვალისწინებდენ არჩევნების ასეთ შედეგებს, ამიტომ დებატებიც თავის დროზე გაიშალა ამ სყითხზე და ჟელა პარტიებმა და პოლიტიკურმა პიროვნებებმა პოზიციები აიღეს ასეთი შემთხვევის მიმართ. ამრიგად, ქვეყანა მომზადებული შეხვდა 16 მარტს შექმნილ ახ ალ მდგომარეობას. არჩევნების შემდეგ დღესვე საფრანგეთის პრეზიდენტმა დაადასტურა ოპოზიციის გამარჯვება და მთავრობის შედგენა დაავალა გოლისტთა პარტიის თავმჯდომარეს ბატონ ეაკ შირაკს. ამ უკანასკნელმა სწრაფად შეადგინა მთავრობა, დასამტკიცებლად წარსდგა პარლამენტის წინაშე, პირველი რიგის ლინისძიებად დასახა: უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, გასახელმწიფოებულ წარმოებების კერძონობაში გადაჭანა და არჩევნების წესის შეცვლა. მთავრობამ ნდობა მიიღო პარლამენტისაგან და, ამრიგად, საფრანგეთი იმყოფება მისი სამთავრობო ხალისუფალთა „კოაბიტაციურ“ მმართველობის დასაწყის პერიოდში და იგი ჯერჯერობით საკმაოდ მშვიდობიანად და თანამშრომლობის გითარებაში მიმდინარეობს, ხოლო ის თუ როგორ წარიმართება მომავალში, ამას მომავალი გვეტვის, აქ კი შევეცდებით პასუხი გავცეთ იმ მიზეზების ახსნას, რომლებმაც გამოიწვიეს ფრანგ ამომრჩეველთა უმრავლესობის ნდობის დაკარგვა სოციალისტური მთავრობის მიმართ.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ამის მიზეზი არამც და არამც არ არის პიროვნული ხასიათისა. უკანასკნელ ხუთ წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოიცვალა მთავრობა, ორიგეში აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდენ სოციალისტები, პირველ მორუას მთავრობაში სოციალისტებისა და სოც. რადიკალების გვერდით იყო ოთხი კომუნისტი მინისტრი, მეორე ფაბიუსის მთავრობაში კომუნისტები აღარ მონაწილეობდნენ. ორივე სამინისტროს მინისტრები, კომუნისტების ჩათვლით, იყვნენ ხალხი ენერგიული, საქმის მცირენე და მაღალი მორალის მქონე. ამიტომ სავარაუდებელია, რომ სოციალისტური მთავრობისადმი ამომრჩეველთა გულგრილობა გამოიწვეული იყო არა მემარცხენე მინისტრების შეუფერებლობითა და უგარესისობით, არამედ თვით სოციალისტური იდეოლოგიის პრაქტიკაში გან-



ხორციელების უარყოფითი შედეგებით. განვმარტოთ უს მოგზაური. 1981 წელში საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას შემოწინებული განსაკუთრებით ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები. 10 მაისს რესპუბლიკის საპარეზიდენტო ორჩევნებში გაიმარჯვა ამ პარტიის უდავო მეთაურმა ბ. ფრანსუა მიტერანმა, რომელიც თავის საარჩევნო კამპანიის დროს აუქნებდა რიგ სოციალისტურ ხასიათის სამთავრობო ღონისძიებებს. ამ დაპირებებიდან ფრანგებს ჰელაზე მეტად თნტერესებდათ უმუშევრობის ლიგვიდაცია, მაგრამ ამის განხორციელების პირობად ის აუქნებდა მარქსისტულ პროგრამას: კერძო საფინანსო, საკრედიტო და სდაზღვეო დაწესებულებების და მსხვილი ფაზრიკა-ქარხნების ნაციონალიზაციისას.

როგორც ამის უფლებას კონსტიტუცია აძლევდა, პრეზიდენტმა მიტერანმა პირველ რიგში დაშალა პარლამენტი და ბრძანა მისი ხელახალი არჩევნები, რომლის დროსაც, მემარცხენე პარტიების კოალიციამ დეპუტატთა ორიმესამედი გაიჯვანეს კომუნისტების ჩათვლით, ხოლო მარტო სოციალისტურმა პარტიამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო. ამრიგად, სოციალისტურ პარტიას შეეძლო მარტო ემართა ქვეყანა და ნებისმიერი კანონ-პროექტი გაეჭანა ეროვნულ საკრებულოში. მიუხედავად ამისა, სოციალისტებმა ფართო კოალიციური მთავრობა შეადგინეს პერველად ჰელა მემარცხენე და კომუნისტური პარტიების მონაწილეობით და, რა თქმა უნდა, დაიწყს დაპირებული ღონისძიებების განხორციელება. სოციალ-კომუნისტურმა მთავრობამ პირველ რიგში მოახდინა მთელი ბანკებისა და მსხვილი წარმოებების გასახელმწიფოებრივება, შემდეგ გაზარდეს მცირე პენსიები და ხელფასები, აკრძალა მუშა-მოსამსახურეთა თვითნებური დათხოვნა, გაიზარდა გადასახალები კაპიტალზე და მემკვიდრეობის უფლებაზე და ა. შ.

ამ სოციალისტური ხასიათის რეფორმებმა შედეგი არ დააყვენეს. საფრანგეთში დასაბანდებლად უცხო კაპიტალი აღარ შემოვიდა, ხოლო ფრანგულმა კაპიტალმა, რომლის თავისიუფალი გატანაც ჰკრძალა, ფარულად იწყო დინება საზღვარგარეთ, იქლო ფრანგული ნაწარმის გატანაც საზღვარგარეთ და მასთან ერთად უცხოეთის დევიზების შემოტანამაც, დიდმა წარმოებებმა შეამცირეს მათი წარმოების მოცულობა, ხოლო სუსტები კოტრდებოდნენ, რის შედეგად უმუშევრობამ კატასტრო-

ფიულად იმატა და თუ 1981 წლის დასაწყებში მათი რიცხვი ერთი მილიონი და ნახევარი იყო, სოციალისტური მთავრობის ორი წლის თავზე სამი მილიონი და ნახევარი შეადგინა. სოციალისტური მთავრობა მიტერანის მეთაურობით მკაცრი დილემის წინაშე აღმოჩნდა: ეკონომიკის დარღვევი ან კიდევ უფრო წინ გაჭრა, მეტი და მეტი ნაციონალიზაციითა და კოლექტივიზაციით, ან არა და, უკან დახევა, ნაცადი მეთოდებით მწარმოებელთა ნდობის აღდგენა. გასაგებია, რომ პირველ გზაზე მთავრობას უბიძგებდა კომუნისტური პარტია, მაგრამ სოციალისტური პარტიის უმრავლესობისა და პირადად პრეზიდენტ მიტერანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი პოლიტიკური ვაჟკაცობა და პატრიოტიზმი გამოიჩინეს, არ მოეროდენ ავტორიტეტის დაცემას საზოგადოების თვალში და მთავრობის პოლიტიკა ეკონომიკაში 180 გრადუსით შემოაბრუნეს. ამ მომენტიდან კომუნისტებმა მთავრობა დასტოვეს და მას ომი გამოუცხადეს.

მართალია, რომ 16 მარტის არჩევნებში სოციალისტები და მარცხდენ, მაგრამ მათი დამარცხება მკაცრი არ ყოფილა, რაღაც მათ ამომრჩეველთა 30 პროცენტზე მეტი ხმა მიიღეს და საფრანგეთის ყველაზე დიდი პარტიის სახელი დაიმკვიდრეს, მაშინ, როცა კომპარტიას ხმა მისცა მხოლოდ 9,8 პროცენტმა, რაც ყველაზე დაბალი საარჩევნო მაჩვენებელია ამ პარტიისათვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიაში.

საფრანგეთის სოციალისტები თუ ერთობას შეინარჩუნებენ გააჩინიათ სერიოზული კოზირები იმისათვის, რომ ხელისუფლება მალე ისევ უკან დაიბრუნონ, მაგრამ მათ ამ ხუთი წლის ხელისუფლებაში ყოფნის განმავლობაში დიდი პოლიტიკური მეტამორფოზა განიცადეს. 1981 წლის წინ ისინი ამაყდ აცხადებდენ, რომ მთავარში მარქსისტები არიან და სოციალ-დემოკრატიას ათვალიშნებით უჯრებდენ. ბანკებისა და მსხვილი წარმოებების ნაციონალიზაცია მათ პანაცეად მიაჩინდათ და ეგონათ, რომ ის განკურნავდა კაპიტალისტური საზოგადოების, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ტიკვილებს. ხუთი წლის ხელისუფლების შემდეგ ისინი განკურნებული არიან ამ იღუზიანებისაგან. „ფრანგული სოციალიზმის“ რეფორმებმა, მასზე დამტკრებული იმედებიც ვერ გაამართლეს. 16 მარტის არჩევნების შედეგებიც განაჩენია მათ წინააღმდეგ.



ომი არის ადამიანთა ძველი ავალმყაფობა. იგი უფრო ცხოვრება წინ მიღის, ომი უფრო საშიში და სასტიკი ხდება.

სტრუქტურის მშენების გველის ინსტიტუტი აცხადებს, რომ გასულ წელს 2,5 ბილიონი მარკა დაიხარჯა მსოფლიოში შეიარაღებისათვის. გენერალი იარუზელსკი აცხადებს: გასულ 5.500 წელიწადში კაცობრიობამ განიცადა **14.500** ომი და დაახლოებით ოთხი მილიარდი ადამიანი დახოცა მანო.

დღეს მსოფლიო შეიარაღება ისეთია, რომ შეიძლება მთელი კაცობრიობა თორმეტჯერ ამოწყდეს. თვით სიტყვა ომი ძველქართულში ჰომით იხმარება და არ ვიცი თუ რა წარმოშობის სიტყვა უნდა იყოს.

სამხედრო ხარჯები არის ინფლაციური, რაღაც ის აძლევს მუშახელს ფულს და არ ქმნის საქონელს, რის ყდვაც მას შეეძლებოდა.

რაც უფრო წინ მივდიგართ მით უფრო დაუწყარებელი ხდება მსოფლიო კაცობრიობა. მერიკის სამხედრო მინისტრი უაინბერგერი მარბს, რომ დღეს ყველი მეოთხე სახელმწიფო ომში ღებულობს მონაწილეობას. ილია პრიგოუინი ამბობს: შეუძლებელია მეცნიერული დაკვირვებით მომავალზე ზუსტი წინასწარმეტველება. თითოეული მოგლენა, რაც ხდება მსოფლიოში, არის ერთადერთი. ასე რომ, ხანდჟან უკეთესია ინსტიტით დაამშვიდო საკუთარი ცნობისმოყვარეობა, ვინემ გონიერივი დასკვნებით.

ჯერ კიდევ ბიბლიაში მოყანილი კაენისა და აბელის ამბავი მოწმობს ნათლად ადამიანის ზნებრივ უმსგავსობას. ამაზე თითქოს ყველა თანახმაა, განსაკუთრებით სარწმუნოებრივი მოძრაობები და ჩვენი ქრისტიანული ეკლესიაც, მაგრამ, რაც ქრისტიანულ ერებს ომი გადაუხდიათ, ჩამოთვლაც ძნელია.

სოციალისტები ბურჟუაზიულ წყობას აბრალებენ ომიან რბას. მაგრამ დღევანდელი სოციალისტური წყობანი, რამდენადაც ჩვენ მათ ვხედავთ, არანაკლებ ომის მიზეზები არიან.

ახალი ეპოქის ომის დაკვირვებელმა კლაუზევიცმა თქვა, რომ „ომი არის პოლიტიკის სხვა ხერხებით გაგრძელება.“ მაგრამ, უნდა გაგრძელდეს ეს ასე?! კაცობრიობა სულ ომის საშიშროების ქვეშ უნდა ცხოვრობდეს?! თუ რუსთველს დაცუჯირებთ არ-

ის იმედი, „კეთილმა სძლია ბოროტსა, განგება მისი გრძელება“-ო. ჩვენ გვინდა დფიჯეროთ რომ ეს ასეა და ბოლოს, აუგაშიანებში, შეიგნებენ სიმშვიდის საკიროებას. ამ სიმშვიდის პოლიტიკის საუცხოო წარმომადგენელია ჩვენს ეპოქაში მაჰატმა განდი.

მისი სამაგალითო საქციელი მიმზიდველია ყველა გონიერი არსებისათვის. მან სთვავა: „ის მოსურნე იქნება მოკვდეს თავისი საკითხისათვის, მაგრამ არ არსებობს საკითხი რომ მოსურნე იყოს ვინმე მოკლას.“ (ეს მაღალი ზენობრივი მიღომაა, რომელიც არ არის ადვილი განსახორციელებელი)

არ უნდა დაგვავი წყდეს, რომ დაჩაგრულ და ალამულ ერებს ხშირად საუკუნეების განმავლობაში შეუნახავთ და არ დაუკარგავთ თავისი სახე და ხასიათი, თუ კი, რასაკვირველია, მას გააჩნია ამისთვის საქმარისი ნებისყოფა და სურვილი და:

„აჩქარებითა სოჭელი არავის მოუჭამია.“

ეს არ არის მარტო ჩვენი საქმე: მსოფლიო საკითხია.

ქართველ კაცს ყაველთვის ანტერესებდა დიდი მსოფლიო საკითხები. იგი გრძნობს, რომ ყაველივე მოვლენას, რაგინდ შორეული იყოს იგი, ბოლოს მის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. ქართველი კაცი ყაველთვის იყო განწყბილი დასავლეთის კულტურისაკენ. ის იქედან მოელოდა ახალ საშუალებას მისი გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. სამწუხაორიდ, მისი ბედი არ იყო ყაველთვის სახარბიელო. ჯერ იყოდა ოსმალეთმა სრუტეების გამოკეტვით გადუღობა გზა დასავლეთისაკენ. ახლა კი ბოლშევიკურმა რუსეთმა გადაუღობა გზა დასავლეთისაკენ რკინის კედლით.

ომი და მძიმე პირობები არ არის ახალი საქართველოსათვის. ჯერ კიდევ „არგონავტიკიდან“ : „აიგსო კუშტი კაცთა მეურე-ტელი არესის(კოლხიდის) ველი ბუმბერაზებით.“ (როდოსელი: „არგონავტიკა“, თარგმანი ა. გელოვანის) მაგრამ ეტყაბა, ქართველები თავს იცავდნენ: „ჩვენად ვერავინ გულოლება ძლევამოსილ კოლხეთის მეფეს“ (იქვე გვ. 100).

ომები ორ ნაწილად განიყოფება: შემოსევითად და თავდაცვითად, მაგრამ მათი ზუსტად ერთმანეთიდან გამოყოფა ძნელია. თუმცა შეიძლება ითქვას რომ საქართველო ეწეოდა თავდაცვით მოქმებს. მას ბევრი უბედური თავდასხმები ახსოებს და მოვიხსნით ზოგიერთი მათგანი მაინც: არაბები და მურვან ჭულა 736-38 წ., მონლოლები და ბუღა თურქი 1253 წ., სპარსელები და შაჰ აბასი 1616 წ., აღა-მაჰმად ხანი 1795 წ., ლეპობა და

თურქობა, და ბოლოს, ორი მსოფლიო დიდი ომი, რომელიც მდგრადი ასე ძვირად დაუჯდა, განსაკუთრებით ქართველ მჯდარობისა და ასენი ცხოვრება ვარაუდებით არის სავსე. ღროის განმავლობაში დაბრკოლებები არ კლებულობენ, პირიქით, ისინი მრავლდებიან. რაც მთავარია, ასეთ პირობებში ადამიანმა უნდა გაარტვიოს სად არის მისი ადგილი და ინტერესი, ინტერესი საზოგადო და საერთო, ინტერესი სახელმწიფოებრივი, რასაც სჭირდება მუდმივი შეჯამება და გაშუქება.

ოპენჰაიმერმა პირველი ატომის ბომბის გადაგდების შემდეგ თქვა: „ამ ქვეწის ხალხები უნდა შეერთდენ, თუ არა და დაილუპებიან.“

ხშირად წარმოიშობიან აგრეთვე ხალხის სულიერ ფენებში, როცა სასოწარკვეთილი, თითქმის სრულიად მოუმზადებელი, ხალხი იარაღს კიდებს ხელს. ასეთი იყო, მაგალითად, 1924 წლის აგვისტოს ამბოხება საქართველოში და 50-ან წლებში კომუნისტურ გერმანიასა და უნგრეთში. ეს გამოსვლები თვითმკვლელობას უდრიდნ.

ომის ხასიათს ატარებს ტერორისტული მოქმედებები, რომებიც უმთავრესად უდანაშაულო მსხვერპლს იწვევს. ლენინი გარკვევით მოითხოვდა პროლეტარიატის შეიარაღებას და მისგან ტერორისტულ აქტებს. მათი მარქსისტული ტერორის საზღვარგარეთ გატანა ჩვეულებრივი მოვლენაა.

ომი ზოგელთვის აშინებდა ადამიანს თავისი უწყლო შედეგებით, მაგრამ დღეს, ჩვენ ხანაში იგი სავსებით მიუღებელია, რადგანაც ის ქვეწის განადგურებას უდრის. კაცობრიობის სწავლა-განვითარებამ დადებითად ერთად შესაძლებელი გახადა უარყოფითი მხარეების განვითარებაც უმაღლეს გამანდგურებელ წერტილამდე. და, აი, ასეთ უკიდურესობათა შორის გვიხდება ცხოვრება და გზის აჩქევარკვევა.

ერთა შორის ცილობის ასაცილებლად თითქოს შექმნილი იყო „გაერთიანებულ ერთა ორგანიზაცია“, მაგრამ, როგორც ვიცით, ის დღეს მეტად სუსტია და იმ მრავალ მებრივის, რომლებიც დღეს დედამიშახვე წარმოებს, დიდი გავლენა და საშუალება არ აქვს, რომ შეწყვიტოს ან შეაჩეროს ისინი.

არის საერთაშორისო მთავრობის შექმნა შესაძლებელი? რომელიც საკმარისი ძალაუფლებით იქნება აღჭურვილი იმისათვის, რომ მებრივის საკითხი მოაგვაროს? ამაზე მხოლოდ მომა-



ვალს შეუძლია გასცეს პასუხი.

დიდი სამხედრო კავშირები: ატლანტიკის და ვარშავის მიმდებისა. დიდი სამხედრო კავშირების, არ არიან სრული დამზღვევი ომის წარმოებისა. პირიქით, ისინი ამტკიცებენ რომ ეს საფრთხე მუდამ და ყაველდღიურად დგას. ატომ-ბომბზე დამყარებული მშვიდობა უცნაური რამ არის. ჩვენ ვეთანხმებით ჰერი კისინგერს იმაში, რომ არ შეიძლება მშვიდობის მუდმივად დამყარება მასზე— აღმოსავლეთ-დასავლეთის ბირთვულ ბომბების რიცხვებზე.

გორბაზოვის თქმა: „ვიპოვოთ ბირთვული უფსკრულის კიდედან უკან დასახევი გზა... ჩვენი მომავალი მთელი მსოფლიო გაერთიანების მომავალშია“, - როგორ შეეგულს მარქს-ლენინურ ბოლშევიზმის მსოფლიოში გაბატონების მისწრაფებას? მოსკოვის წითელი სახელმწიფო კაპიტალიზმი აწარმოებს ომებს, დაპყრობებს და კოლონიზაციას.

ზიგმუნდ ფროიდი ლაპარაკობს შეგნებულ მისწრაფებაზე ადამიანში თვითგანადგურებისაკენ. ჩვენს ატომურ რაკეტების ხანაში იგი ღებულობს ახალ მინშვნელობას. ფროიდი ამბობს: „შეგნებული მისწრაფება ადამიანში სხვისი მკვლელობისა ღრმად არის პირველყაფილ ადამიანის ბუნებაში, რასაც მხოლოდ თხელი კულტურული ფენა ფარავს.“

თუ ნორმალური მოქალაქე ფარულ მისწრაფებას უარყოფს, ზოგიერთი ადამიანები ახერხებენ ფარულ მისწრაფებათა „ამაღლებას“ მაღალ მიზნებისათვის. სიკვდილისკენ მისწრაფება ადამიანში არის, რომ დაუბრუნდეს ადამიანის სიცოცხლე თავის პირველყაფილ უსიცოცხლო მდგომარეობას (არაორგანულ ნივთიერებას). როდესაც ფროიდს ჰქითხეს პირველი მსოფლიო ომის შედეგ, თუ ეს ომი იყო უკანასკნელი, მან უპასუხა: „ჩემი უკანასკნელი“. როგორც ჩანს, მას არ სწამდა სამუდამო მშვიდობა!

ბოლოს გვინდა მოვიხსენიოთ ამერიკის შ. შტ. პრეზიდენტ რეიგანის გეგმა საპარაკო თავდაცვისა ატომური ბომბების წინააღმდეგ „ლაშერის“ სხივებით. ეს გეგმა მეტად აფიქრებს და აღელვებს საბჭოთა მმართველობას. ამ გეგმას ახალ სფეროში შეჰყავს მთელი შეტევა-თავდაცვის საკითხი. რადგან შეერთებული შტატები ფინანსიურად და ტექნიკურად წინ არის სსრ კავშირზე, ეს შეჯიბრი უკანასკნელს მძიმე ტვირთად დააწვება. ამიტომ ისინი ცდილობენ რამენორად შეაჩერონ ის.

საჭირო იყო წარსულში დიდი ზნეობრივი აღზრდა და ვარ-

ჯიში მეომარ მხედართა სულიერ მოსამზადებლად; მართვა ჩემი  
ნი დიდებული მგონის სიტყვები რადა ღირს: პირდაკი მომდევნების  
”ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სული მათი ჭეცას რბიან.“  
ან:

”რა უარია მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,  
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა კსლისა მბეჭველსა?  
სჯობს სახელისა მოხვეჭა ჭაველსა მოსახვეჭელსა.“

ირაკლი ოთხმეზური

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### რ უ ს უ ლ — კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი შ თ ვ ი ნ ი ჰ მ ი

---

საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების ეროვნულ ურთიერ-  
თობათა საკითხების შეხებისას პირველ რიგში ამ ურთიერთო-  
ბებში უნდა განვსაზღვროდ რუსი ერის როლი, ერისა, რომელიც  
ყველაზე მრავალრიცხოვანია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

როდესაც საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო ხელ-  
მძღვანელობა დემოკრატიულობაზე ლაპარაკობს, ამით ის ხალხში  
დიდ უნდობლობასა და ზიზღს თესავს, რაღანაც საბჭოთა სა-  
ხელმწიფოში დემოკრატიზმის ცნება ისეთივე ყალბია, როგორც  
თვით სოციალისტური სახელმწიფოს არსი. ყელასათვის კარგად  
არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირში, სადაც მრავალი ერო-  
ვნების ხალხი ცხოვრობს, ხელმძღვანელის როლს რუსი ეროვნე-  
ბის ხალხი ასრულებს, და ეს არა მისი განსაკუთრებული უმა-  
ღლესი თვისებებისა გამო, არამედ უბრალოდ მისი მრავალი-  
ცხოვნების გამო. ჯერ მეფის რუსეთის დროს, განსაკუთრებით  
კი ახლა კომუნისტურ რეჟიმის დროს, პროპაგანდის ყველა სა-  
შუალება ცდილობს მთელ ხალხს შთაგონოს, რომ რუსი ხალხი  
გამოიჩინა ვითომდაც რაღაც განსაკუთრებული თვისებებით,  
მფრმ ყველა არარუსისთვის სრულიად ნათელია, რომ ამის უკ-  
ან მხოლოდ რუსული შოგინიზმი და რასიზმი იმაღება.

ეკავა და უკავია რა მრავალეროვან სახელმწიფოში მართვის  
ხელმძღვანელი ბერკეტები, რუსი ერი ჭაველთვის იჩენდა და იჩ-  
ენს მისთვის დამახასიათებელ შოგინიზმს. იმ შემთხვევაში თუ  
შედარებით რომელიმე პატარა ერი გმირებულენს ხოლმე თავის

თავის ეროვნულ თვისებებს მიმართულს მთელი საზოგადოებრივ  
პროგრესისაკენ, რუსი ერი იმის გამო რომ სხვა ერის მისამართი  
სებები მისთვის არ არის დამახასიათებელი, ყოველთვის ცდი-  
ლობს მათ ჩახშობას, რითაც მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს

მთელი საზოგადოების განვითარებას. არის შემთხვევები, როცა  
პატარა ერები სთავაზობენ საზოგადოებრივი გარდაქმნის გონი-  
ვრულ პრინციპებს, მაგრამ რუსები მათ ახშობენ თვით იმ შე-  
მთხვევაშიც კი, როცა ეს პრინციპები არ ეწინააღმდეგებიან  
სოციალისტურ წყაბას საბჭოთა კავშირისას. ამგვარად, პატა-  
რა ერები იძულებული არიან დაემორჩილონ რუსი ერის მიერ  
თავს მოხვეულ კანონებსა და დოკმებს.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის ექსპლოატა-  
ცია რუს ხალხზედაც ვრცელდება, რუსებმა, თავი ანთი მრავალ-  
რიცხვნების გამო, ხელში ჩაიგდეს სახელმწიფოს ხელმძღვანე-  
ლობა და დღეს ისინი თავიანთ შოვინისტურ პოლიტიკას ახორ-  
ციელებენ უკვე სხვა პოზიციიდან – კომუნისტური დიქტატო-  
რი ერის პოზიციიდან. სოციალისტური სახელმწიფოს პირობებ-  
ში უფრო ძლიერ ფორმებში დაიწყო რუსული შოვინიზმის გა-  
მოვლენა და ზემოქმედების გაძლიერება, რადგანაც რუს ხალხს  
ამ საქმეში ხელს უწუბს საბჭოთა წესწყაბილების სპეციფიკა,  
როდესაც უმნიშვნელო ოპოზიციურობის გამოვლენაც კი ნების-  
მიერ საკითხში მკაცრად იჯება. სწორედ ამ მიზეზის გამოა,  
რომ, მიუხედავად კომპარტიის 27-ე ჭრილობაზე ახლებული ლა-  
პარაკისა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის თანასწორუფლე-  
ბიანობაზე – საბჭოთა კავშირი დღესაც მეოცე საუკუნის ჩამო-  
ყალიბებულ რუსულ კომუნისტურ მონათმფლობელურ სახელმწიფოდ  
რჩება.

საქართველოსა და რუსეთის ისტორიული ურთიერთობა თვალ-  
ნათლივ გვიჩვენებს და გვარუშმუნებს რუსეთის სიცრუესა და  
ვერაგობაში, რუსეთის დამპტობლურ მისწრაფებებში.  
დღეს, როდესაც საბჭ. კავშირის საგარეო პოლიტიკაში ჩვენ  
ვხედავთ ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, როდესაც იგი სისტემა-  
ტიურად არღვევს სხვადასხვა სახის საერთაშორისო შეთანხმე-  
ბებს, როდესაც საბჭოთა ჩეუიმი ცდილობს თავისი პოზიციების  
გაფართოებას მსოფლიო მასშტაბით, – ეს ყელაფერი გამომდინა-  
რეობს რუსი ერისათვის დამახასიათებელი ხასიათიდან.  
რუსმა ერმა რუსეთის ყაფილ იმპერიაში თავისი შოვინისტური



ზემოქმედებით ჯერ ყელა ერი დაიმონა, დღეს კი, ტურდეფიც იგი საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის როლს უმართდებოდა მან ამას კომუნისტური სიბოროტეც დაუმატა და მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფის.

მსოფლიოს ბევრ ქვეყნაში, მათ შორის დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებშიც, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ შეუგნიათ ის, თუ მსოფლიო ცივილიზაციისათვის რა საფრთხეს წარმოადგენს რუსულ-კომუნისტური საბჭოთა სახელმწიფო და მისი კომუნისტური ბლოკი. მრავალი ქვეყნა ბავშვური მიამიტობით ეთამაშება ამ საშინელ ურჩეულს, რომელიც გარეგეულ დრომდე მათ მასთან თამაშის უფლებას აძლევს, ხოლო მისთვის საჭირო მომენტში მას შეუძლია შეუძრინოს და დაივიწყოს ყელა მისი „მეგობრული“ დამოკიდებულება და სასტიკად გაუსწორდეს მის გუშინდელ „მეგობარს.“ აი, სწორედ ეს არის დღევანდელი რუსულ-კომუნისტური სახელმწიფოს კეშმარიტი სახე, რომელიც მსოფლიო არენაზე საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების სახელით ისე გამოდის, რომ მათ ამის შესახებ არც ეკითხება.

დღევანდელი რუსულ-კომუნისტური სახელმწიფოს ასეთი იმპერიალისტური მოქმედება მონალოლთა ბატონობის ხანას გვაგონებს, რომლებმაც სამასი წელი იბატონეს რუსებზე.

საქართველოს მარიონეტული კომუნისტური ხელმძღვანელობის ინიციატივით 1983 წლის ოქტომბერში საზეიმოდ აღინიშნა რუსეთსა და საქართველოს შორის დადგებული „გიორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავი. იცის რა თავისი ქვეწის ისტორია, ქართველი ხალხი უკვე დიდი ხანია, რაც რუს ხალხთან დაახლოების გამო აღტაცებას აღარ გამოხატავს, რადგანაც რუსეთმა დახმარების შაგივრად საქართველოს დააკარგვინა ეროვნული დამოუკიდებლობა და ტერიტორიული სიმრთელე. აღსანიშნავია, რომ თურქები, სპარსელები და სხვა დამპუზობლები, როცა საქართველოს იპზობდნენ, საქართველოს სამეფოს არ აუქმებდნენ, მფარველად მოსულმა მართლმადიდებელმა რუსეთმა კი ესეც ჩაიდინა. ამიტომ იყ, რომ 1983 წლის ზაფხულში გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის საპროტესტოდ თბილისის ქუჩებში გამოვიდენ სტუდენტებისა და ქართული საზოგადოების ყელა სხვა ფენების წარმომადგენლების დიდი მასები.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭ. კავშირის სხვა ხალხები, გმინავენ რუსულ-კომუნისტური რეჟიმის მიერ მათი აბუ-

ჩად აგდებისა და მათზე ბატონობის გამო. სხვადასხვა კურსები ყელგან საბჭოთა კავშირში არაერთხელ უფეთქია მათსუნ კურსების, რომელსაც ძირითადად პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული ხასიათი ჰქონდათ. ასეთი გამოსვლები საქართველოშიც ხშირად ყოფილია. ქართველი ხალხის პრინციპულობის გამომხატველი იყო ის, რომ 1978 წელს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით თბილისში გაიმართა დიდი მასობრივი გამოსვლები, რათა შენარჩუნებული ყოფილია. ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენად. მიუხედავად მოსკოვის ყაველმხრივი დაწოლისა, ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო დედაენის კონსტიტუციური უფლებების დაცვა. მართალია, რომ საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობაში რუსულ ენას გაბატონებული პოზიცია უკავია, მაინც ქართულის სახელმწიფო ენად დატოვება კონსტიტუციაში იყო დიდი გამარჯვება ქართველი ხალხისა.

საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელობა როცა რუსი ერის ხელვნულ განდიდებას აწარმოებს, ამით იგი სხვა ერებში იწვევს რუსების მიმართ ზიზღსა და სიძულვილს.

საინტერესოა, რომ რუსი ხალხი მიეჩვია მის დაუმსახურებელ განდიდებას, მას მოსწონს ეს მისი განდიდება და სრულიად დამსახურებულადაც მიაჩნია. რუსებში ყაველთვის შეიძლება შეხედეთ ისეთებს, რომელიც უდიდეს ზიზღს გამოხატავენ კომუნისტური წყაბილებისადმი, რაც ძირითადად გამოწვეულია უკიდურესად მძიმე ეკონომიკური პირობებისაგან, მაგრამ როგორც კი ლაპარაკი რუსეთის მიერ დაპყობილ ტერიტორიათა განთავისუფლებას შეეხება ხოლმე, რომლებიც დღეს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების სახელებს ატარებენ, ისინი მაშინვე დიდ უკმაყაფილებას გამოხატავენ და თვლიან, რომ ყელა ეს მიწები მართლაც მათი კუთვნილებაა. სწორედ ამაშია რუსი ხალხის დიდი უბედურება. დღეს რუსთა შორის ხშირად ვხვდებით ისეთებს, რომლებიც ღიათ გამოთქვამენ აზრს, საბჭოთა კავშირის ან მსოფლიოს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა არატოლფასოვანებაზე და სიძულვილსაც კი ზოგიერთ ხალხთა მიმართ. ასეთ რუსთა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც გააჩნიათ სათანადო განათლება, მაღალი საზოგადოებრივი მდგრამარეობაცა და პრეტენზიასაც აცხადებენ პროგრესიულობაზე.

როგორც მეფის რუსეთის, ისე რუსულ-კომუნისტურისტული კა ყველგვის მიმართული იყა და არის პატარა ეროვნული ტერიტორია ტახტისა, დაჩაგვრისა და ფიზიკური მოსპობისაკენ. მეცაცრად უსწორდებოდნენ და უსწორდებიან ყველა ეროვნების ხალხებს, რომლებიც კი ეცდებიან ბრძოლის წარმოებას მათი ქვეჭების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ასეთი და არა სხვანაირი ურთიერთობა არსებობს დღეს რუსებსა და საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნების ხალხებს შორის.

სამწუხაოდ, რუსი ხალხი თავის კომუნისტ ბატონ-პატრონებს უფლებას აძლევს, რომ მათ ხელში იგი გამოყენებული იქნას სხვა ხალხების ექსპლოატაციისა და დაჩაგვრის იარაღად. საბჭოთა კავშირის ხალხები გამოდიან რუსი ხალხის ე.წ. „განსაკუთრებულ თვისებების“ წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთი ვითარება რუს მასებში აღვივებს შოვინიზმს, რაც უდიდეს სიძნელებს უქმნის რუსი და სხვა ხალხების კარგ ურთიერთობას.

რუსული შოვინიზმი, ისევე როგორც ანტისემიტიზმი, დიდი ხანია, რაც რეაბილიტირებულია კოლონიალურ იმპერიაში, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელს ატარებს.

საბჭოთა კომპარტიის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით რუსი ერი ყველმხრივ ცდილობს განიმტკიცოს თავისი პოზიციები და გავლენა საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების ხალხებზე. შეტევა ამ მიმართულებით ფართო ფრონტით ხორციელდება უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, ჭიერკავკასიაში, შუა აზიაში, ყაზახეთსა და სხვა რეგიონებში. რუს მოსახლეთა რიცხვი ყველშლიურად იზრდება განსაკუთრებით ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში: ლიტვაში, ესტონეთსა და ლატვიაში, სადაც დაცემისაკენ მიდის მათი ეროვნული წყაბილებანი და წინა ხედზე რუსების ცხოვრების წეს-ჩვეულებანი გამოდიან. ამ რესპუბლიკებში, ისევე როგორც სხვებში, რუსიფიკატორული პოლიტიკის გავლენის შედეგად ყველშლიურად დაბლდება ეროვნული ტრადიციებისა და ენის მნიშვნელობა.

საბჭოთა რუსულ-კომუნისტური ხელმძღვანელობა ანტისემიტიზმის პოლიტიკის გატარებით კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით ახორციელებს ებრაელი ხალხის უფლებათა შეზღუდვის ღონისძიებებს. ამის დამადასტურებელი იმდენი ფაქტი არსებობს, რომ ებრაელებს ისეთ აზრს უქმნიან, თითქოს ეს ერი არასრულფასოვანი და უუფლებო იყოს, რითაც ამ ხალხს უბიძგებს სიონიზმი-



საკენ. უნდა ითქვას, რომ სიონიზმის იდეებს ისეთი უფლებულებები რობა როგორც ამჟამად, არასოდეს არ ჰქონებია, უმაღლესობის უმცირესობის დისკრიმინაციის შედეგია.

ეროვნული დისკრიმინაციის აღმაშფოთებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ყრიმელი თათრებისა და ვოლგისირა გერმანელების გადასახლება მათი ტერიტორიებიდან და მათი სახელმწიფოებრიობის გაუქმება.

გრძელდება სხვადასხვა ფორმებში საბჭოთა კავშირის სხვა პატარა ერების დისკრიმინაცია, მაგალითად ისეთების, როგორებიც არიან: ჩეჩენები, ინგუშები, ბალყარელები, კალმიკები და მრავალი სხვები.

დადასტურებული მონაცემების საფუძველზე, სსრკ კპც უფილ პირებს მდივანს. ხელშჩივს თურმე განზრახული ჰქონებია საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის საბჭ. კავშირის სხვადასხვა რაიონებში გაფანტვა-გადასახლება, საქართველოს ტერიტორიის გასამხედროება და შემდეგ კი იქ რუსებისა და სხვა არაქართველი ხალხების ჩასახლება. მაგრამ მან თავისი ბოროტი განზრახვის გახორციელება ვერ შესძლო, ვინაიდან იგი გადაუნებული იქნა თანამდებობიდან.

საბჭოთა კომპარტია მჭიდროდ იკავშირებს რუს ხალხს, რომელიც კომუნისტური იმპერიალიზმის უანდარმის როლს ასრულებს არმიაში, უშიშროებაში, სამეურნეო ხელმძღვანელობაში და ყველა სხვა სფეროში. პარტია აღუმებს რუსი ხალხის მასებს, ათ-რობს მათ რაიონების პროპაგანდითა და შოვინიზმით და ამით იღწევს, რომ რუსის ხალხი მას ემსახუროს და ამას კომპარტია იღწევს კიდევაც, რაღანაც საბჭოთა ხელისუფალნი ყველას ანადგურებენ, ვინც კი გაბედავს, რომ რუს ხალხს თვალები აუხილოს და განუმარტოს თუ სინამდვილეში რას ნიშნავს და რა მიზანს ისახავს რუსი ხალხის „განსაკუთრებულობისა და ხელმძღვანელი როლის“ პრობაგანდა.

გერმანელი ხალხის მაგალითზე ჩევნ ყველა დავრჩმუნდით იმაში, თუ რა გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს მასებზე რაიონების პროპაგანდა. გერმანელი ხალხი, აღტაცებული მსოფლიოზე გაბატონების გეგმებით, გაჰყავა ჰიტლერს. ანალოგიური მოვლენაა რუს ხალხშიც, რაც მისთვის შეიძლება ძალზე სავალალო გამოდგეს.

ყველა ამ მიზეზების გამო დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის გარდაქმნა დამოუკიდებელ ეროვნულ

სახელმწიფობად იქნება ეროვნული საკითხის ყველაზე სამართლიანი და პროგრესული გადაწყვეტა, ვინაიდან ასეთი გარემოებრივი შექმნის თითოეული ერის ყოველმხრივი განვითარების მაქსიმალურ საშუალებას. იგი მიმართული იქნება არა ეროვნული შეზღუდულობისაკენ, ამამედ ხალხთა შორის ყველაზე ფართო ურთიერთობისაკენ და მეცნიერობისაკენ, ჩაღანაც ესენი იქნებიან გამომდინარე ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა, ურთიერთობასწორობისა და კეთილი ნებასურვილიდან ამ ერებისა.

საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გარდაქმნა უსათუოდ უდიდესი პროგრესი იქნება.

რუსეთის მიწები ისეთი მდიდარია და რუსი ხალხი იმდენად შრომისმოყვარე, რომ იგი შესძლებს თავისი თავის შენახვას. ამისთვის კი მხოლოდ საჭიროა, რომ მიწა, რუსული მიწის ყველა სიმდიდრე, რელურად რუსი ხალხის ხელში იყს, რომ რუსი ხალხი თავის თავისოთვის მუშაობდეს და არა კომუნისტ ექსპლოატატორებისთვის. ამიტომ, თუ რუს ხალხს არ სურს, რომ იგი ისტორიამ, ცისა და მიწის ყველა ლმერთებმა შეაჩერებოს, როგორც ეს მონლოლ და ფაშისტ დამპყრობლებს მოუვიდათ, მათ დროზე უნდა შეიგნონ და უარი განაცხადონ ძალით მიერთებულ სხვათა მიწებზე ისევე, როგორც ეს თავის დროზე გააკეთეს ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორებიცაა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლანდია, ბელგია, და პორტუგალია.

მაგრამ, ჰისათვის საჭიროა, რომ რუსმა ხალხმა მაგალითი უჩევენს, თვით დაიწყოს უკომპრომისო ბრძოლა ყველა ხალხებისათვის საძულველ კომუნისტურ რეჟიმის წინააღმდეგ, ვინაიდან სწორედ რუსი ხალხის ხელშია თავმოყრილი მთელი ძალა. მაშინ რუს ხალხს გვერდში ამოუდევებიან საბჭ. კავშირის სხვა ხალხებიც და ძალონენ არ დაიშურებენ ამ „წითელ ჭირზე“ გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ კი, ყაფილი საბჭოთა კავშირის თითოეული ერი მიიღებს თვითგამორჩევების უფლებას. დაიწყბა დამოუკიდებელ სუვერენ ერთა ცხოვრება, რომლებიც იხელმძღვანელებენ საკუთარი ეროვნული ინტერესებით და რუსეთთან დამტკრებენ ჭეშმარიტად თანასწორუფლებიან და მეცნიერულ ურთიერთობას. საკითხის ასეთი გადაწყვეტა იქნება ყველაზე სამართლიანი და მისაღები, როგორც რუსი ხალხის, ისე ამჟამად საბჭოთა კავშირში მომწყდეულ სხვა ერებისათვის. ამავე დროს ეს იქნებოდა კეთილი ნებისა და დემოკრატიის გამოვლენა.

პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი დ ა კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი  
პ ა რ ტ ი ა



„...და იქმნა კაცთათვის ერი ასპარეზად პირ-  
უთვნელი მსახურებისა და მსხვერპლად მისვლისა.“  
[ჭაბუა ამირეჯიბი: „დათა თუთაშებია“]

გუშაგის წინა ნომერში მკითხველებს დაგძირდი, რომ ცალკე  
განსაყუთრებით განვიხილავდი პატრიოტიზმისა და კომუნისტუ-  
რი პარტიის წევრობის ურთიერთ დამოკიდებულებას, ანდა კერ-  
ძოდ, შეიძლება თუ არა, რომ შეგნებული ქართველი პატრიოტი  
იმავე დროს იყოს კომუნისტური პარტიის წევრიც?

თეორიულად ეს საკითხი აღვილია და მასზე სულ რამდენიმე  
სიტყვით შეიძლება პასუხის გაცემა, მაგრამ ცხოვრება პარადო-  
ქსებით არის სავსე ისე, რომ საკირო ხდება გრძლად მეტჯელე-  
ბა და მაინც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ საკით-  
ხს მარტო მე ამ სტატიით ვერ ამოვწურავ.

დასმულ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, საკიროა მოვიყეანოთ  
ტერმინების: „პატრიოტიზმისა“ და „პატრიოტის“, „კომუნიზმი-  
სა“ და „კომუნისტის“ საყველთაოდ მიღებული განმარტებები.  
ბურუუზიული აზროვნება რომ არ დაგვწამონ მარქსისტებმა,  
მივმართოთ საბჭოთა ოფიციალურ წყაროებს.

ქართული განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც სტალინის კულტის  
დროსაა შედგენილ-გამოცემული „პატრიოტის“ ასე განმარტავს:  
ადამიანი, რომელსაც უჟარს თავისი სამშობლო, მზად არის  
მისთვის თავი გასწიროს, — თავისი ხალხის ერთგული, სამშობლო-  
სათვის თავდადებული.“ იქვე პატრიოტიზმის შესახებ კი ნათქ-  
ვამია: „თავისი სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, ერთგულე-  
ბა; მათთვის თავდადება.“ ინტერესს არაა მოკლებული აგრეთ-  
ვე, რომ აქვე მოვიხმოთ ტერმინ „პატრიოტიზმის“ განმარტება  
„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიხედვით: „პატრიოტიზმი-  
სამშობლოს სიყვარული, ერთგულება, მისთვის თავდადება, აქტი-  
ური მონაწილეობა მისი კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობი-  
სათვის ბრძოლაში, სულიერი და მატერიალური კულტურის გან-  
ვითარებისათვის.“ (ტომი 7, გამოცემული 1984 წ.).

როგორც ვხედავთ, ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში,

რაც აშორებს ამ ორ გამოცემას, „პატრიოტიზმის“ განვითარების ბას გვარიანი ცვლილება განუცდია. მართლაც, ლექსიკონში მოხსენიებული „პატრიოტიზმი“ სამართლიანად დაგავშირებულია, არამარტო სამშობლოს სიყვარულთან, არამედ აგრეთვე მშობელი ხალხის სიყვარულ-ერთგულებასთან, მათთვის თავდადებასთან. ამასთან ერთად, სამშობლოსაც და ხალხსაც ლექსიკონში წინ უძღვის მსაზღვერები „თავისი“, რაც გამორიცხავს ამ ტერმინთა მნიშვნელობის აღრევას. „პართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ კი აღარც ერთია და აღარც მეორე. ეს ამბავი არ გვგონია შემთხვევითი ან უნებური იყოს. უფრო დასაჯერებელია, რომ საბჭოთა ახალი ხელმძღვანელობა განზრას ეწევა ასეთ აღრევას, რათა სიტყვა პატრიოტიზმს ნელნელა გამოაცალოს მისი კლასიკური შინაარსი და ჩადვას ახალი საბჭოური, რომლის მიხედვითაც პატრიოტიზმი იქნება: მთელი საბჭოთა მიწა-წყლის სიყვარული, ერთგულება და მისთვის თავის დადება. ეს გაკვრით და სხვა-თაშორის, რადგანაც ჯერჯერობით საბედნიეროდ საბჭოთა კავშირის არარუსი ხალხები შორს არიან პატრიოტიზმის ამგვარ გაგებისაგან. რაც ჩვენ, ქართველებს, შეგვეხება, ჩვენთვის პატრიოტიზმი ნიშნავს: ჩვენი სამშობლო საქართველოს და ჩვენი მშობელი ქართველი ერის სიყვარულს; მათდამი ერთგულებას, უანგარო სიყვარულსა და თავდადებას. ამ გრძნობას დრო და რეუიმი ვერ შეეხება. იგი უბერებელია და უკვდავი.

ჩვენთვის აქ მთავარია უურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ პატრიოტიზმი ემსახურება საკუთარი ერის სიცოცხლეს, ესე იგი მის უკვდავებას, თუნდაც ამ ერს დროებით საკუთარი მიწა-წყლი აც კი გააჩნდეს. ამის ცოცხალი მაგალითებია მსოფლიოში გაფანტული ებრაელები, სომხები და ამ ბოლო ხანებში კომუნიზმის მიერ საკუთარ სამშობლოებიდან დევნილი მრავალი ხალხები, რომლებიც ყალაფერს ძვირფასს სტოკებენ, სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ, ოღონდ თავი დააღწიონ საბჭოთა კავშირის ტიპის კომუნისტურ რეჟიმებს.

გადავიდეთ ახლა ტერმინ „კომუნისტის“ განსაზღვრაზე. იგივე ქართ. გან. ლექსიკონი ასე გვიმარტავს მას: „კომუნიზმის დამყარებისათვის მებრძოლიო.“ ახლა ისლა დაგვრჩნია რომ გამარტოთ „კომუნიზმის“ რობა. მარქსის მიხედვით, კომუნიზმია საზოგადოების განვითარების უმაღლესი ფორმა, საღაც აღარ უნდა იარსებონ აღარც კლასებმა და აღარც ერებმა. ჩვენთვის,

რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არ აქვს კლასების არსებობის  
არარსებობას, არამედ ერთა ყოფნა-არყოფნას და, შეზღუდული,  
ჰელა იმისათვის, ვისთვისაც საკუთარი ერისა და ენის უგვდა-  
ვება ძვირფასია, ან შეიძლება, რომ კომუნიზმი სასურველი  
იყოს. კომუნიზმია ისეთი საზოგადოება, სადაც ერები აღარ  
არსებობენ, ცხადია: ერთა მიმილაციის შედეგად; კომუნისტური  
პარტია ნიაღაგს პაზადებს კომუნიზმის გასაბატონებლად, ხოლო  
კომუნისტი კი კომუნიზმისათვის მებრძოლი ამინის ჯარისკაცია.  
ცხადია: ქართველი, რომელიც კომპარტიის წევრი ხდება, ის  
შეგნებულად თუ შეუგნებლად მონაწილე ხდება მშობელი ქარ-  
თველი ერის მკვლელობისა.

მარქსი და ენგელსი ამ საკითხზე „კომუნისტური პარტიის მა-  
ნიფესტში“ შემდეგ პასუხს იძლევიან: „კომუნისტებს ბრალს სდე-  
ბენ, რომ მათ სურთ სამშობლოს, ეროვნების გაუქმება. მუშე-  
ბს სამშობლო არა აქვთ. შეუძლებელია მათ წაართვათ ის, რაც  
მათ არ გააჩნიათ!“

ლენინისათვის კომუნიზმი ერთა შერწყმით უნდა განხორციე-  
ლებულიყო, ხოლო ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ქართ. საბჭ. ენ-  
ციკლოპედია შემდეგს გვუწყბს:  
„კომუნიზმის მშენებლობის პროცესში ჩქარდება ერთა დაახლო-  
ების პროცესი, რაც ვლინდება ცხოვრების მოძველებული წესე-  
ბის კვლომასა და ცალკეულ მცირერიცხოვან ეთნიურ ერთობათა  
შერწყმაში...ერების შერწყმის აუცილებელი პირობაა მათი შე-  
მდგომი განვითარება სოციალური ცხოვრების ფერა ხაზით.  
ერების შერწყმა ობიექტურ-ისტორიული აუცილებლობაა ...  
მარქსიზმ-ლენინიზმი ასაბუთებს, რომ სოციალური ერთობის ფე-  
რა აქამდე არსებული ფორმა, ერის ჩათვლით, კაცობრიობის და-  
ნაწევრებულ ცხოვრებას შეესაბამებოდა. სრული კომუნიზმი ნი-  
შნავს კლასებისა და ერებისაგან თავისუფალ, სოციალურ, ეპ-  
ონომიკურ და კულტურულ თვალსაზრისით ერთიან კაცობრიობას.“

(კ.ს.ე., ტომი 4, გვ. 190); ამავე ენციკლოპედიის მეცნობა ტომის  
616 გვერდზე კი ვკითხულობთ: „კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში  
...შეიცვლება ეროვნული ურთიერთობანიც. გაგრძელდება პროცე-  
სი ერების დაახლოებისა, გაიზრდება მათი ეკონომიკური და  
იდეული ერთობა, განვითარდება მათი სულიერი სახის საერთო  
ნიშნები, სანამ ბოლოს ან მოხდება ნებაყოფლობითი შერწყმა  
აღამიანთა ერთობაში.“

კომუნიზმში ერთა ბედის შესახებ გაგვანათლა იური ანდროპო-  
ვმა 1982 წლის დეკემბერში, როცა მან კრემლის ტრიბუნიდან



საბჭოთა კავშირის ოფიციალურად შექმნის სამოც ჟურნალის აღსანიშნავად შეკრებილ სსრკ უმაღლესი საბჭოსა და ეროვნულ-ბათა საბჭოს დეპტატეტბს განუცხადა:

„ჩვენი საბოლოო მიზანი ცხადია. ეს არის, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, — არა მატო ერთა დაახლოება, არამედ მათი შერწყმაც“-ო.

27-ე ყრილობის მიერ მიღებულ სსრკ კომპარტიის ახალ პროგრამაში ამ საკითხზე შემდეგია ნათქვამი:

„საბჭ. საზოგადოებაში ეროვნულ ურთიერთობას ახასიათებს როგორც ერებისა და ეროვნებების შემდგომი აჯავება, ისე მათი განუხრელი დაახლოება, რომელიც მიმდინარეობს ნებაყოფლობის, თანამშრომლობის, ძმური თანამშრომლობის საფუძველზე. აქ დაუშვებელია განვითარების მომწიფებული ობიექტური ტენდეციების როგორც ყაველგვარი წაბიძება, ისევე შეკავება. ამ განვითარებას შორეულ ისტორიულ პერსპექტივაში ერების სრული ერთობა მოჰყება.“

როგორც ხედავთ, აქ დიდი თავდაპირილობა და ცბიერებაა გამოჩენილი, მყრამ საბჭოთა მესვეურებს მაინც ვერ დაუმალავთ, რომ მათ უზენაეს მიზანს წარმოადგენს კაცობრიობის ერთ ერად გარდაქმნა, რაც თავისთავად ნიშნავს მთელი კაცობრიობის გარსებას. ოფიციალური ტექსტები გვაჩრმუნებენ, რომ ერთა ეს „შერწყმა“ თუ „გაერთიანება“ ნებაყოფლობით, საერთო სურვილითა და თანხმობით განხორციელდება, მაგრამ კომუნისტური პარტიის წარსული ისე კარგადაა ჩვენთვის ცნობილი, მომავალზე დაპირებების მათი სირინოზები შეცდომაში ვეღარ შეგვიყვანენ. კიდევაც, რომ გავბრიუდეთ და დავეთანხმოთ მათ ოფიციალურ განცხადებებს, მაინც ცხადია, რომ სსრკ კომპარტია მიზნად ისახავდა და ისახავს ერების, და მათ შორის ქართველი ერის, მოსპობას და ამ უბრალო მიზეზის გამო ქართველი პატრიოტობა არამც თუ შეუთავსებელია მის წევრობასთა, არამედ მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია. საბოლოოდ ან ერთი უნდა იყოს ან მეორე. ერთ-ერთმა უნდა გაიმარჯვოს მეორეზე, სხვა გამოსავალი არ არსებობს. და ის აზრი, რომ პატიოსანი ქართველი მამულიშვილი შეიძლება კომპარტიის წევრიც იყოს, შეიძლება მხოლოდ ნაღრძობი ჰქონის ნაყოფი იყოს.



საქართველოს კომპარტია

ურთიერთ  
უსაყიდვების

აქამდე ჩვენ ლაპარაკი გექონდა ზოგადად კომუნისტურ პარტიაზე, მის პროგრამასა და იდეოლოგიაზე, ახლა კი გადავიდეთ საქართველოს კომპარტიაზე, განვიხილოთ მისი ორგანიზაციული შენაბა და აღნავობა და ამრიგად ვნახოთ, შეესაბამება იგი თუ არა ჩვენი ერის, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს და, მაშასადამე, არის თუ არა მასში ადგილი ქართველი პატრიოტისათვის.

ამ სტატიას ჩვენ წარუმძღვანეთ მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის ხატოვანი თქმა: „და იქმნა კაცთავის ერი ასპარეზად პირუთგნელი მსახურებისა და მსხვერპლად მისვლისა, რაც დიდი პოლიტიკური ჭეშმარიტებაცაა. ჟელა ადამიანი მოწოდებულია, რათა ის მსახურებდეს საკუთარ ერს და, მხოლოდ და მხოლოდ აქედან, საკუთარი ერის სარბიერიდან, როცა ამის ძალით შესწევს, იგი უნდა გავიდეს საკაცობრიო სარბიელზე. ის, რაც შეიძლება ითქვას ადამიანზე შეიძლება გავრცელდეს ადამიანთა ჯგუფზე და, მაშასადამე, პოლიტიკურ პარტიაზეც. თავისთავიდ ცხადია, რომ ნებისმიერი პარტია საკუთარ ერს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ, აგრეთვე, პოლიტიკური პარტია, რომ საკუთარი ერის პირუთვნელი მსახური იყოს, ის ანგარიშს მას(საკუთარ ერს) უნდა აბარებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არის უცხოეთის პარტია და მას უწოდებენ მეცუთე კოლონას.“

არის კი საქართველოს კომუნისტური პარტია საქართველოს, ქართველი ხალხის პარტია? ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ, არსებობს სინამდვილეში საქართველოს კომუნისტური პარტია? არა. საქართველოში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში სსრკ კომპარტიისაგან არც დამოუკიდებელი და არც აფტონომიური რესპუბლიკის კომპარტია არ არსებობს. როცა საქართველოს კომპარტიაზე წერენ ან ლაპარაკობენ, აქ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრატორულ-ტერიტორიალური მნიშვნელობით იხმარება და იგი განუყოფელი ნაწილია სსრკ კომპარტიისა, რაც იგივე რუსეთის კომპარტია იყო და არის. რესპუბლიკების კომპარტიებს, და მათ შორის საქართველოს კომპარტიას, არავითარი განსაკუთრებული უფლებები (პრივატულები) არ გააჩნიათ, რომლითაც ისინი განსხვავდებოდენ წმინდა რუსულ მხარეებისა და ოლქებისაგან, რო-

გორებიცაა მაგალითად მოსკოვის ლენინგრადის, გორკის, საქართველოს ლენინგრადის, ტბილისი, იდელ-ურალის და სხვა. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელებს ნიშნავენ კავემლიდან და ისინი პასუხისმგებლები არიან ამ უკანასკნელების წინაშე და არა ქართველი კომუნისტებისა და ქართველი ხალხის წინაშე.

ამ საკითხზე ზედმეტი არ იქნება მოვიხმოთ ერთი ადგილი ქალბატონ ელენ კარერ დანკოსის შესანიშნავ ნაშრომიდან:

**L'EMPIRE ECCLATE (დამსხვრული იმპერია):**

„სახელმწიფო აარატზე უფრო მეტად კომუნისტურ პარტიას უკავია ორჭოფული ადგილი საბჭოთა კავშირის წონასწორობის საქმეში. ლენინს მუდამ მიაჩნდა პარტია პროლეტარიატის მოწინავე ნაწილად და ის დაზღვეული უნდა ყაფილიყო ეროვნებათა შორის არსებულ წინააღმდეგობებისაგან. 1917 წლამდე ის წინააღმდეგი იყო მუშათა კლასის ისეთი ორგანიზაციის არსებობის, რომელიც გამომხატველი იქნებოდა რუსული საზოგადოების ეროვნული სხვადასხვა თვისებებისა. მაგრამ, რევოლუციის შემდეგ ფედერაციულ სახელმწიფოს მოჟა პარტიის პარალელური რეკონსტრუქციაც. ფედერაციაში შემავალ თითოეულ რესპუბლიკაში იქნა დაარსებული რესპუბლიკური პარტია და სწორედ აქედან იწყება, სხვათა შორის, გაუგებრობა. სინამდვილეში რესპუბლიკების ეს კომპარტიები არიან ს.ს.რ.კ.-ს კომუნისტური პარტიის განუყოფელი ნაწილები, და მათ არა აქვთ არავითარი ზედმეტი უფლება, ვიდრე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს. რესპუბლიკების კომპარტიის წევრები ოფიციალურად ს.ს.რ.კ.-ს კომპარტიის წევრები არიან და ჩანს, რომ რესპუბლიკის ორგანიზაცია განსაკუთრებული სახელწოდებაა, რომელიც დაცლილია ყაველგვარი განსაკუთრებულობისაგან. ამ რესპუბლიკურ პარტიების დანიშნულებაა მხოლოდ, რომ თავიანთი არსებობით აჩვენონ საბჭოთა ფედერალიზმი, მაგრამ არც უფლებრივად და არც პრაქტიკულად რესპუბლიკების კომპარტიებს არ ენიჭებათ არავითარი ავტონომია...“

ასეთი მდგომარეობა მიგვითოვებს იმაზე, რომ კომპარტიის დაყოფას რესპუბლიკებად აქვს მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათი, და ისინი უბრალო ტოტებს წარმოადგენენ საკავშირო კომპარტიისას.“ (იხ. „თავი ტრიბუნა“ №27 „საბჭ. მაერთიან. ძალები“)

ამრიგად, უდავოა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, როგორც ავტონომიური ქართველი ხალხის პარტია სინამდვილე-

## პატრიოტიზმი და კომუნისტური პარტია

\*\*\*\*\*

შე არ ასებობს და ის, რაც ამ სახელს ატარებს, ალქად არის უცხოეთის პარტია. საქართველოს კომუნისტური პარტია უცხოეთის პარტია და არა ვინმე უცხოეთისა, არამედ საქართველოს მპტობელი უცხოეთისა. აქედან გამომდინარე, ლოდიკური მსჯელობით ცხადია, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრობა ნიშნავს ჩვენი სამშობლოს ღალატს, საომარ მდგომარეობაში მყოფ მტრის მხარეზე გადასვლას და, ისიც ცხადია, რომ პატრიოტი ქართველი არამც და არამც არ შეიძლება კომუნისტი რომ იყოს.

### კომპარტიის წევრობა

რაც არ უნდა უსიამოვნო არ იყოს, მაინც უნდა ვალიაროთ ის უდავო ფაქტი, რომ კომუნისტი ქართველების რიცხვი მცირედი არ არის. სულ უკანასკნელი ცნობები ხელთ არ გვაქვს, მაგრამ სამოცდაათიან წლებში ქართველები პროცენტულად ყველაზე მრავალრიცხვნად იყვნენ წარმოდგენილი კომპარტიიაში და ყველა ათას ქართველზე ოთხმოც კომუნისტს აცხადებდენ ოფიციალურად. ამ მხრით მდგომარეობა ბევრად არ უნდა იყოს შეცვლილი მას შემდეგ და სულ ცოტა 200 ათასიანი არმია მაინც ითვლება ეგრედ წოდებულ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში. ვიეთნი იტყვიან: დავღუპულვართო! მდგომარეობა მართლაც არ არის ამ მხრით ბრწყნვალე, მაგრამ თუ კარგად გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომელშიაც ხალხი წევრი ხდება კომპარტიის, მაშინ შთაბეჭდილება არც ისე უნუგეშო იქნება, როგორც ეს შორიდან ერთი შეხედვით გვეჩვენება. რაც მთავარია, არამც და არამც არ შეიძლება, რომ ამდენი ქართველი ყველა სამშობლოს შეგნებულ მოღალატეებედ ჩოთვალონ. ამაში უკედ დავრწმუნდებით თუ განვიხილავთ კომპარტიაში მიღების წესებსა და პირობებს.

კომუნისტები ორ მთავარ ნაწილად შეიძლება გავჭოთ: იდეურ და შემთხვევით ან უნებურ კომუნისტებად. პირველებს ეკუთვნიან ის კომუნისტები, რომლებსაც მართლაც სწამთ კომუნისტური იდეები. ასეთები ამჟამად ბევრი აღარ უნდა იყენ კომპარტიის რიგებში და თუ არიან, ისინი არც წარმოადგენენ საბჭოთა რეჟიმის დასაჭრდენ ძალას დღეს. კომუნისტების მეორე ნაწილს შეადგენს ყველა დანარჩენები, რომლებიც კომპარტიის წევრები გამხდარან ან სრულიად მო-

უფიქრებლად, ან კარიერისა და გამორჩენის მიზნით, უნდა იყენები, რომელიც მათდა უნებურად-იძულებით არიან. მათ უნდა იყენებით შეჯანილი კომპარტიის რიგებში.

კომპარტიაში შესვლა არც ისე თავისუფალი და ადგილია, როგორც ეს ერთი შეხედვით შორიდან ეჩვენებათ. კომპარტიაში იმდენსა და იმათ იღებენ, რამდენიცა და ვინც საბჭოთა მესვეურებს სჭირდებათ. ომის დაწყბის წინა წლებში სტალინ-მა კომპარტიის რიგები სასტიკად გაცხრილა და ბევრმა მათ-განმა გულაგებში დასრულეს პარტიული კარიერა. ომის მსვლელობისას კი, პირიქით, ფართოდ გაიაღო პარტიის კარები. ორივე შემთხვევა შედეგი იყო კრემლის ხაზეინის ნება-სურვილის და არა საბჭოთა ხალხისა. დემოკრატიული საზოგადოებისაგან განსხვავებით, საბჭოთა ტირანულ საზოგადოებაში კომპარტიის წევრთა რაოდენობის ზრდა სრულებითაც არ გამოხატავს მისი ავტორიტეტის ზრდას საზოგადოების ოვალში. ხვალ რომ სსრკ კომპარტიის რიცხვი ოცჯერ შემცირდეს, ამით ამ პარტიის ავტორიტეტი ოდნავალაც არ შესუსტდება. ასევე იქნება წინა-აღმდეგ შემთხვევაში.

შეიძლება ზოგი ფიქრობდეს, რომ საბჭოთა რეუიმის დასაყრდენი იყვენ იდეალისტი კომუნისტები. ასეთები მართლაც იყვენ ოქტომბრის გადატრიალებისა და სმოქალაქი მოის დროს. სტალინმა ისინი ჟელა დახვრიტა და მისი სიკვდილის შემდეგაც სტალინის პოლიტიკური მემკვიდრეები იდეალისტებს აღარ ენდობიან. აკი კიდევაც ტრაბახობენ: რეალისტები ვართო.

საბჭოთა სახელმწიფოსა და კომპარტიის დასაყრდენს წარმოადგენს ის კომუნისტები, რომლებიც ურეზერვოდ ასრულებენ ზემოდან მიღებულ დირექტივებს და არასოდეს არ აჭნებენ კითხვებს: რატომ? რისთვის? ასეთი კადრების შერჩევა იწყბა უკვე საბავშვო ბალებიდან, პიონერთა ორგანიზაციაში, კომკავშირში და შემდეგ პარტიულ სკოლებსა, უნივერსიტეტებსა და აკადემიებში. ესენი ქმნიან ცნობილ საბჭოთა პარტიულ ნომენკლატურას, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების უმაღლეს კასტას. მათ ხელშია საბჭოთა კომპარტიისა და სახელმწიფოს სამართავი ბერკეტები. როგორც წესი, ეს ადამიანები გულება და ეგოისტები არიან. მათ დიდათ არც არავინ უყვართ და არც არაფერი არ სწავლა. მათ სხვებზე მარადანებლობა ისევე უყვართ, როგორც სხვების მონური მორჩილება



ეხერხებათ და მათთვის მთელი სამყარო მათ საკუთარო უნიტარული იქნება.

კომპარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა პარტიაში შესულია შეუგნებლად, ანგარიშმიუცემლად. მათ იქ კომპარტიის იდეოლოგია როდი იზიდავთ, არამედ ის მცირე თუ დიდი პრივილეგიები, რომლებიც კომპარტიის წევრობას თან ჰლავს. ამათში არიან სინდისგარეცხილი აღამიანები, რომლებიც ნამცეცების გულისთვის არავის და არაფერს დაზოგავენ, მაგრამ მათი უმრავლესობა სამშობლოსთვის დაკარგული არ არიან და, როცა დრო დადგება, სამშობლოს პატიოსან სამსახურს აირჩევენ.

ამათ გარდა, კომუნისტური პარტიის წევრები არიან მათ უნებურად, მათი სურვილისა და მოწოდების წინააღმდეგ გამხდარი კომპარტიის წევრები. საჭიროა მის გამპარტება. საბჭოთა საზოგადოებაში ხშირად დიდ პოპულარობას აღწევენ არაპარტიელები, განსაკუთრებით მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვა დარგებში. ხელისუფლება მათ სამსახურს იყვნებს, მათ საპასუგისმგებლო პოსტებზე აწინაურებსთ და იმავე დროს მათ ვალდებულს ხდის პარტიის წევრები გახდენ. ასე მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს თბილისის ოპერის დირექტორად შეიძლება დანიშნონ ვინმე უპარტიო, მაგრამ სახელგანთქმული კომპოზიტორი ბატონი X. საქ. კომპარტიის პირველი მდივანი X-ს თავის კაბინეტში დაიბარებს, გამოუცხადებს მის ოპერის დირექტორად დანიშვნას და თანაც წინადადებას აძლევს, რომ დაუყოვნებლივ დაწეროს განცხადება პარტიაში მიღების თაობაზე. X-ს სრულებითაც ა აქვს სურვილი და მიღრებილება კომპარტიის წევრად გათდომაზე, მაგრამ, როგორ გგონიათ? ის უარს იტყვის, ანდა შეუძლია კი უარი თქვას ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ შეთავაზებულ „საპატიო“

წინადადებაზე? საბჭოთა წესწყაბილების პირობებში უარის თქმა თითქმის წარმოუდგენელია! ჯერ ერთი, რა თქმა უნდა, თბილისის ოპერის დირექტორის თანამდებობა თავისთავად მაცლუნებელია, მაგრამ დიდი თანამდებობის ცდუნებაც რომ დასძლიოს ჩვენმა გმირმა, შიშის გრძნობას მაინც ვერ დასძლევს, რადგანაც პარტიაში შესვლაზე თუ ის უარს იტყვად ამით ის გამოააშკარავებდა მის უარყოფით დამოკიდებულებას კომპარტიისაღმი და საბჭოთა რეჟიმისაღმი. იგი მაშინვე აყვანილი იქნებოდა აღრიცხვაზე კაგებეს მიერ და პირველ-სავე შემთხვევაში დაკარგავდა მდგომარეობას, თავისუფლებას



და, შეიძლება, სიცოცხლესაც.

თარიღული  
კულტურული

ასეთი კომუნისტები ცოტანი არ არიან კომპარტიის რიგები. სანამ ისინი საჭირონი არიან, ისინი სარგებლობენ რეუიმის მფარველობითა და იმყოფებიან პრივილეგიურ საჭიროცხოვრებო პირობებში. ასეთ კომპარტიელებში, უდავოა, რომ „პატიოსანი, შეგნებული მტკულიშვილები ბევრი არიან“, მაგრამ ეს მათი მამულიშვილობა ფაქტებით უნდა იყვენ დადასტურებული და არა ემპირიულად. კიდევ მეტს ვიტყოდი, თვით იმ პარტიელთა შორისაც, რომლებიც საბჭოთა რეუიმის დასაჭრდენს წარმოადგენენ საქართველოში და, რომელთა შეჩევაზეც ჩვენ ადრე ვილაპარაკეთ, შეიძლება იყვენ ქართველი პატრიოტები, მაგრამ ეს მათ აქტებით უნდა გამოამულავნონ და აჩვენონ, მანამდე კი, ისინი მტრის აქტიურ სამსახურში არიან და ასეთებად უნდა იქნენ მიჩნეული.

ღალატის გამოსყადვის იშვიათ ისტორიულ მჯალითს წარმოადგენს ქართლის მოურავად წოდებული გიორგი სააკაძე. სამშობლოდან გადახვეწილი ის სპარსეთში აფარებს თავს და სამშობლოს დუნდობელი მტრის—შაჰ-აბასის სამსახურში შედის. ის, რომ იქ ბოლომდე დაჩინილიყო, მაშინ ის საქართველოს ისტორიაში შევიდოდა, როგორც სამშობლოს დიდი მოღალატე, მაგრამ, გიორგი სააკაძემ, ქართლ-კახეთისათვის საბედისწერო მომენტში, გამწირა სიჭრის ვაკიშვილი პაატა, საკუთარი კეთილდღეობა და სიცოცხლე სასწორზე შეაგდო, თვით იკისრა შეთქმულ მამულიშვილთა ბელადობა, ქართლ-კახეთის დასარბევად და ასაყველ-გადასასახლებლად მომავალ ყზილბაშებს მუსრი გავლო; ამით იხსნა სამშობლო და საკუთარი ღალატიც გამოისყდა. არა მხოლოდ გამოისყდა, არამედ მისი სახელის მადიდებელი გახადა მშობელი ერი საუკუნოდ.

მაგრამ, რომელ ჭიუათმყოფელს მოუვა აზრად თქვას ის, რომ, ჩვენი სამშობლოსათვის იმ შავგნელ ღროს „ქართველ მამულიშვილებს გიორგი სააკაძისათვის უნდა მიებაძათ და ჟელა შაჰ-აბაზების სამსახურში უნდა შესულიყნენ!“ მაშინ ხომ ის ქართველებიც აღარ ვიქნებოდით, რომლითაც თავი მოგვაძეს?!

როგორც ზემოდ აღვინიშნე, ე.წ. „საქართველოს კომპარტიაში“ არიან ბევრი ისეთები, რომლებიც ზოგი მოუფიქრებლად, ზოგი გამორჩენა-სარგებლიანობის გამო, ზოგი მათდა უნებურად, შიშის გამო გამხდარა და რჩება წევრად. ჟელა ეს კომუნისტები დაკარგული არ არიან სამშობლოსათვის. ღრო და-

დგება, როცა ისინი მათ დროებით შეცდომას, სისუსტეს შეატაქს თუ გზადაბნეულობას დაძლევენ და მშობელი ხალხის გრძელების სუფლებისა და აყვავები-აღორძინების ფერხულში ჩაებმებიან გულითა და გულწრფელად. 1956 წლის უნგრეთის კომუნისტების, 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების და 1980 წლის პოლონეთის კომუნისტების მაგალითები, რომელმაც მასიურად მიატოვეს კრემლის კომპარტიიები და საკუთარი სამშობლოს განთავისუფლების მოძრაობებს მიაშურეს, გვაძლევს სრულ იმედებს ამ მხრით.

ჩვენი ვალია ხელი გავუწოდოთ ასეთ ქართველ „კომუნისტებს“, გავუადვილოთ იმ მყალ წუმპედან თავის დაღწევა, დავეხმაროთ იმ ნაბიჯის გადადგმაში, რომელიც მათ იხსნის მორღვარ წარწმუნდისაგან და ჩვენს ერს კი გზას გაუხსნის თავისუფლებისა და დიდებისაკენ.

ამავე დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კომუნისტური პარტია, თავისი იდეოლოგითა და ორგანიზაციული წყობით, უაღრესად მავნე, დამღუპველი არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და, მაშასადამე, ქართველი ერის მომავალი არსებობისა. მხოლოდ კომუნისტური პარტიით ამართლებს დღეს რუსეთი საქართველოს დაპყრობას. ამიტომ კომუნისტურ პარტიას ისევე დაუზოგავად უნდა ვებრძოდეთ იდეოლოგიურად, როგორც რუსთა მპყრობელობას. მასთან დაზავების, და მით უფრო მისი წევრად გახდომისაკენ მოწოდება შეიძლება მხოლოდ გაუგებრობით აიხსნას, ხოლო შეგნებულისაგან უპატიებელი დანაშაულით.

### გიორგი წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

რაც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს  
(გაგრძელება)

პეტრე იბერი (დანტე მას იერარქიის ოსტატს უწოდებდა) ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, შემდეგ კი პეტრიწი, გიორგი მთაწმინდელი და სხვა ქართველი მწიგნობარ-მოაზროვნეთა ღრმად შინაარსიანი შემოქმედება აღამიანის სრულყოფას ემსახურებოდნენ, პუმანიზმს ქადაგებდნენ და შოთა რუსთველმა თავისი

გენიალური ნიჭით პოეტურად გაღმოგვცა ეს აზრი, რომელიც განვითარებას დასავლეთში კარგად დაგვიანებით ვხდეთ უფრო მარტივი „ვ. ტ.“, როგორც ფილოსოფიური პოემა, მოითხოვდა მისი ტაქ-სტის ფილოსოფიურ და ფილოლოგიურ კვლევას, რომლის დაძ-ლევა მხოლოდ მეცნიერთა ფართო კოლექტივს და ისიც თაობა-თა მანძილზე შეეძლო. რუსთველოლოგიური განცოდილება როგო-რც აქვთ მხოლოდ 1957 წელს დაარსდა, რუსთველის სახელო-ბის ქართულ ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, და „ვ. ტ.“ მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა მხოლოდ 1958 წელში გადაწყდა. ასე რომ, ცნობილი ჩვენი რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის საჯედური: „ვ. ტ.-ს მეცნიერული გამოცემისათვის ეტყობა საქართველოში არავის სცალიაო“, სავსებით სამართლი-ანი და საფუძვლიანი იყო იმ დროს (1954 წ.), უმართებულოდ რომ უღელვებია საქ. მეც. აკადემიის პრეზიდენტი აშ განს-ვენებული აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი.

ქართული ჰუმანისტური მოძრაობის ეპოქად, სამართლიანად, დავით აღმაშენებლის ხანა ითვლება და მის ფუძემდებლად თვით ჩვენი დიდი მექანიზმი, რომელმაც სწორედ ამ მიზნით გელა-თის ფალემიაში მოიწვია იოანე პეტრიშვილი. სწორედ ეს ხანაა დამწყბი რენესანსული მიმართულების.

მეთორმეტე საუკუნის საქართველო ისეთ აუდავებას აღწევს ეროვნული ცხოვრების ყელა სფეროში, რომ მას საპატიო ად-გილი ეჭირა იმ დროინდელ საკაცობრიო ცივილიზაციაში. მეთორმეტე საუკუნის საქართველო იყავებს ბიზანტიის ადგილს, იმპერატორი კომნენი მის მოკავშირეობას ეძებს, ხოლო ბევრი მუსულმანური სამთავროები ვასალურ მდგომარეობაში არიან საქართველოსთან. პოლიტიკურ ზრდას ეკონომიკური განვითარე-ბაც არ ჩამორჩენია, საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ვა-კრობის ცენტრად იქცა. საქართველოში იჭირან თავს მაშინდე-ლი მსოფლიოს საფინანსო და ეკონომიკური ძალები. ქართული სულიერი ცხოვრება ფეხდაფეხ მიუვება ამ საყოველთაო ეროვნ-ულ აღმა სვლას: ათონის მთაზე, შავ მთაზე, ნიკორწმინდაში, ჯვრის მონასტერში, გელათში, იყალთოში და სხვა ქმნიან დაუფასებელ საგანძურს ჩვენი სამშობლოს კულტურისას. დავით აღმაშენებლის ხანას ემთხვევიან დიდებული ლირიკოსე-ბი: „აბდულ მესიას“ ავტორი შავთელი, „თამარიანის“ – ჩახრუხა-ძე, „ამირან დარეჯანიანის“ – მოსე ხონელი, რომელთაც ბრწყ-

ნვალედ აგვირგვინებს რუსთველის ვეფხისტყოსანი. უკრაინული არ ვიცით, დარღმავილებით, რამ ათქმევინა ჩვენს გენიოს პო-ეტს: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავქმენ, საქმე ვქენ საჭომანებით.“ ამ სიტუ ვებმა ბევრ მკვლევარს თავსმტრგრევად გაუხადა საქმე. თვით პოემაში კი ჟელაფერი ამის საჭინააღმდეგოდ ლაპარაკობს. ხომ შესაძლებელია, რომ სიტყვა „სპარსული“ მაშინ უცნაურს, უცხოს, დაუჯერებელს ნიშნავდა?. საუკუნეების განმავლობაში ამა თუ იმ სიტყვას თავისი პირვანდელი შინაარსი ხშირად ეცვლება და წინანდელი გაგებით მას ვეღარ მოვიხმართ. განა, ძველ საბერძნეთში უცხოელს „ბარბაროს“-ს არ უწოდებდნენ?

შევჩერდეთ ცოტა ხნით იმაზე, არის თუ არა „ვ. ტ.“ მართლაც სპარსული ამბავი. რუსთაველის პოემა ეკუთვნის თამარის მეფობის ხანას, თამარისა, რომელიც ქართული ეკლესიის მიერ წმინდანიდ იყო ოლიარებული, ხოლო ხალხისაგან-ზე-ღმერთად. „ვ. ტ.-ს წყარო საერთო, უკველგვარი უცხო გავლენა, ნეოპლატონიზმი თუ სხვა თეორია უარსაჭაფელია“-ო, ამბობს პროფ. შოთა ძიძიგური. ნიკო მარიც თავის აღრინდელ თეორიას (მუსლიმანურისას) უარყოფს და რუსთველის გენიალურ ქმნილებას ქართულ ხალხურ საფუძველზე წარმოშობილად აცხადებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სპარსეთში აღრე სარწმუნოება წარმართული და, მაშასადამე, უმორჩალო იყო, სადაც ზნეობა ძალას ემორჩილებოდა; და, რაც კიდევ მხედველობაშია მისაღები: მეთორმეტე საუკუნის საქართველოში სპარსულ გავლენას ჯერ კიდევ ფეხი არ ჰქონდა მოკიდებული. ამ დროის ქართული ლიტერატურა მჭიდრო კავშირში ვითარდება ბერძნულთან, სპარსულის გავლენას კი ვერ ვხედავთ. შოთას თავისი პოემის სპარსულ ამბად გასაღება თუ მოუნდომებია, ეს შეიძლება იმ მოსაზრებით, რომ თავიდან აეცილებია ქრისტიანულ ეკლესიის მიერ დევნა.

განვითარებულმა საქალაქო ცხოვრებამ დაბადა ვაჭართა წოდება და მათ დაპირისპირებას ფერდალ-რაინდულთან ნათლად ჰქონდავს რუსთაველი და მგონსური ძალით, მთელი თავისი ნიჭით ამჟღავნებს და დღის სინათლეზე გამოაქვს იმ დროის უარყოფითი მხარეები; ააშკარავებს სიბოროტეს ფულის კულტისას, ოქროს, როგორც სიძუნწის წყაროს და მომსპობს ცილ-ან მომაღლებულ აღამიანის ლირსებებისა. ქართული საეკლესიო

დოგმატიზმი იმ დროს არა მარტო „წარმართულ“ გამოყენებას ებრძოდა ლიტერატურაში, არამედ „ვეფხისტურისანსკუ“, რომელიც სულის ტჟერბისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ რომ იყო აღმართული. 12 - 17 საუკუნეებში „გ. ტ.“ მხოლოდ ხალხში ცოცხლობდა, მაღალ წრეებში კი მისი ხენება არ ჩანს. ქართული თქმულების მიხედვით, შოთა იძულებული იყო საქართველო დაეტოვებია და თავშესაფარი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ეძებნა, რასაც ადასტურებს ამ მონასტერში აღმოჩენილი კედლის მხატვრობაც. აქვე უნდა მოვიხსენით, რომ დღესაც ინახება თამარ მეფის ანდერძი მის შვილ გიორგი ლაშასადმი, რომელშიც დედოფალი ჯვრის მონასტერში დასაფლავებას იბარებს. დედოფალის ეს სურვილი და ხალხური გადმოცემა, რომ შოთას თითქოს თამარ მეფის შეკვეთით დაეწეროს თავისი უკვდავი პოემა, ნუთუ დამაჯერებლად არ ლაპარაკობს ვეფხისტყოსნის ორიგინალობაზე?!

„თუმცა რუსთაველის თქმით, მან „ეს ვაბავი“ სპარსულიდან თარგმნა, მაგრამ სპარსულ ენაზე ამის მსგავსი ნაწარმოები არ არსებობს“, სამართლიანად შენიშვნას მეფე ვახტანგ მეექვსე.

„კავკასიონის“ მე-11-ე ნომერში ვწერდ და აქვაც უდაბნო გავიმორო, რომ შოთა რუსთაველის მღელვარე მუზა, რომელსაც მუდმივ წყაროდ თამარის ბრწყნვალე სახე ევლინება, მუდმივ სიყვარულს უგალობს, სიყვარულია მისთვის მთავარი დაუშრეტელი წყარო, მომცემი ბედნიერებისა; სიყვარული ბატონობს მის პოემაში, სიყვარული წმინდა, უმანქო, ხორციელიც, მაგრამ სყრალური, ერთგულებისა და თავგანწირვით გასპეტაკებული, მაშინ, როცა სპარსეთის იმდროინდელი პოემები „ტლაშა-ტლუშის“ მეტს არაფერს წარმოადგენენ-მეთქი. ამის საუკეთესო მაგალითია სპარსულიდან მდიდარი ქართული ენით თარგმნილი „ვისრამიანი“. წმინდა სექსუალური სახის ნაწარმოები, სადაც ხორცი ბატონობს და სუფთა გრძნობები ნაკლებად მუღავნდებიან.

ვეფხისტურისანი არ არის სპარსული ამბის მიბაძვა და არც გადამლერება, არამედ ნამდვილი ქართული, ორგანიულად დაკავშირებული მის თანამემამულე წინამორბედებთან, არის მათი მემკვიდრე და მათი უმაღლესი საფეხური. რუსთაველმა მშვენიერ სამოსელში შეახვია უძვირფასესი მარგალიტები. ის გვამცნობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეზიათა და სიბრძნეთა სიმდიდრეს, მაგრამ უპირველესად ის საქართველოს სინამდვი-



ლის ამსახველი და ქართული კულტურის ოქროპირია, უფრო ცხვრის ქართულ საერო და საეკლესიო მწერლობიდან იმით უდიშესაცვლელი ბა, რომ მისი პოემა მეცნიერულ-თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ხასიათის გარდა სახალხო ნაწერმოებიცაა. კიდევ ერთხელ უნდა გვიმოქმნა ხშირად გამოთქმული აზრი: მიუხედავად დიდი გენიოსობისა, ენის უმაღლესი ჯადოსნ რბისა, აზრთა და რითმათა სიფართოვე-სიღრმისა, მძლავრი მუსიკალური უღერადობისა, განუზომელი მეცნიერულობისა, რუსთაველის დიდებულ პოემას ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერებოდა, უამთა დენაში დავიწყებას მიეცემდა, რომ ის წმინდა ეროვნული არ ყოფილიყო, ქართველ ხალხში ღრმა ფესვები არ ჰქონდა გამდგარი, ქართველი ხალხის სიბრძნისა და მახვილგონიერების ამსახველი არ ყოფილიყო და ქართველი ხალხის ხასიათის ძვირფას მარგალიტები სათვის თავის პოემაში თავი არ მოეყარა.

\*\*\*

ქართველი ერის სულიერი სიმღიდრის და საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანეა ვეფხისტყოსანი. კაცური ვალის მოხდაში გამოიხატება მისი მიზანი და ბეგრი ტკივილი აწუხებს მგოსანს, მაგრამ მის ტკივილებში დიდი ოპტიმიზმი მეღავნდება, სიცოცხლე და სიხარული იხატება მასში. შოთამ, როგორც ერთ-ერთმა პირებმა მოციქულმა ჩენესანსის იდეებისა, აღმართა ჰუმანიზმის დროშა და დღემდე მიუღწეველი პოეტური სრულ-ყოფით უმღერა სიკეთის, მშვენიერების, სინათლის, კაცომოფარეობის, რაინდულ კეთილშობილურ გრძნობებს.

ქართველმა ერმა მისცა მსოფლიოს რუსთაველი, რომელიც ნათელ და ბედნიერ ცხოვრების გზას უსახავს მთელ კაცობრიობას, მისი მაღალი ჰუმანიზმით და ხალხთა შორის მეგობრობით. რუსთაველია ეროვნებისა და კაცობრიობის დიდი მომღერალი, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი სულიერი ფასეულობის, სიღიჯისა და სიბრძნის დამცველი.

დიდ ადამიანებს არ შეეფერებათ საკუთარ თავზე ლაპარაკი და არც ესაჭიროებათ ეს. ხალხი არავის არ შეიჭარებს, ვინც სიჭარულის ღირსი არ არის.

თემატიკის მსგავსების გარდა პომეროსს, რუსთაველს და დანტეს პირად ცხოვრებაშიდაც ერთნაირი ბედი ეწიათ. სიბნელითად მოცული მათი ცხოვრება, არ შემორჩენილა მათი ბიოგრაფიული ცნობები და მათგან განვლილი გზა ვარაუდზეა დამყარებული. რა იქნებოდა მსოფლიო ლიტერატურა, რომ არ ჰყა-

ლოდა ჰომეროსი, რუსთაველი და დანტე?! რუსთაველსა და ფინ-ნერეს შორის ერთი საუკუნეა. მსოფლიო კულტურის უძველესი აზომოთ მოცილეს შორის ბევრი მსგავსებაა, მაგრამ განსხვავებაც საკმარისია. ვინაიდან დანტეს ხშირად ვახსენებთ, ვოქვათ კი-დეც მასზე ორიოდე სიტყვა

რომის პაპის ავტორიტეტს უჭოჭმანოდ ემორჩილებოდნენ იმ დროინდელი მეფე-მთავრები და აისტოკრატები. ფრიდრიხ მეორისა და მისი შევილის რომის პაპის მიერ ექსკომუნიკაციით გმოწვეულ რისხვასა და წყვლას, არამც თუ დანტე, არამედ ფლორენციელი ბანკირები და დიდი ვაჭრებიც ვერ გადაურჩნენ და სამშობლოდან გაძევებასაც კი. კაიზერისა და პაპის მუდმივმა ერთმანეთში ბრძოლა-ქიშპობამ დანტეს მდგომარეობაზე და მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია. თავის შრომა-ში: „მონარქია“ დანტე კაიზერისა და რომის პაპის მორიგების მომხრეა, ორივეს ღმერთისაგან მოვლინებულად აღიარებს, პირველს ადამიანები ამგევეჭიურ ბედნიერებისაკენ რომ მიჰყავს და მეორე კი ციურისა და სამოთხისათვის ზრუნავს. მონარქიაში დანტე კეთილშობილ ძალას ხელავდა, რომელსაც მშვიდობიანობა და თავისუფლება უნდა უზრუნველესო. მგოსანი დანტე არ იყო სახელმწიფო კაცი, მაგრამ ის იყო ყველა მგოსანზე უფრო მეტი პოლიტიკოსი. ცოდნა და განათლება ეკლესიის პრივილეგიად ითვლებოდა, როცა დანტემ თავის ნაშრომში მოგეცა სინთეზი დევლი და მისი დროის კულტურისა. ის კარგად იცნობდა ანტიკურ რომს, არაბულ აღმოსავლეთურ სიბრძნეს, სიცილიის სამეფო კარის კულტურას, ბერძნულ კულტურასა და კოსმოგრაფიას. ყველაფერი ეს წარმოდგენილია დანტეს პოეზიაში, ქრისტიანული რწმენის სინათლეში მოქცეული და შეადგენს ღვთიურ ხელშეუხებელ წესრიგს. დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ არის არა მარტო ჯამი ანტიკური კულტურის და სიბრძნის, არამედ ფრეთვე პოლიტიკური ომების, საშუალო საუკუნეების მოძრაობათა და დასაწყისი ახალი არისტოკრატური რაციონალიზმის. მის პოეზიაში ისახება მგოსნის მთელი ეპოქა თავისი რელიგიური და პოლიტიკური პრობლემებით.

ფლორენციის შვილი, დანტე მრისხ ანე და უსაყარლესი ადამიანია ერთსა და იმავე დროს, შემქმნელი მთელი კაცობრიობის უკვდავი ნაწარმოების, იგი ოცნებობს კაიზერის და რომის პაპის პარმონიულ თანამეუფებაზე. დანტეს ახასიათებს დიდებული პოეტური თვალი, მძაფრი ინტელექტი და რაინდული შემო-

ქმედებითი სიძლიერე. ცრუმორწმუნე ანტიკა მისთვის ჩატარებულ ღრმად ნაცნობია, როგორც ძველი და ახალი სახალები. იქიმში ჩადის მკვდრებთან, ესაუბრება მათ, განიცდის ინტენსიურად მათ ცხოვრებას და მოქმედებას და ამით აცოცხლებს ისტორიას.

მიუხედავად „ღვთიური კომედიის“ თეოლოგიური ხასიათისა, დანტე მაინც რჩება „მიწიერი მსოფლიოს მგოსანი“, როგორც ამას აუერბახი ამბობს. დანტე, ჯერ კიდევ ცხრა წლისა, განიცდის ძლიერ უმშიკვლო სიყვარულის გრძნობას და მისი სიყვარულის ისტორიის ლექსები „ახალი ტკბილი სტილის“ პოეზიის სრულყაფას წარმოადგენენ და მის ავტობიოგრაფიულ „ახალ ცხოვრებაში“ არიან გადმოცემული.

დანტეს მთავარი ნაწარმოები „კომედია“, რომელიც ბოკაჩიომ „ღვთაებრივად“ მონათლა და ეს სახელწოდება დარჩა ბოლომდე, თავისი ღრმა შინაარსით, ვნებათა სიძლიერით, გრძნობათა სიუხვით, ენის სიმღიდრითა და სილამაზით, ერთადერთია მსოფლიოში ჰომეროსის „ილიადა“-სა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსან“-სთან ერთად.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

დავით გაშაძე

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

პოეზიის განყოფილება

დიდი ილიას იუბილესათვის

მომავალი წლის 30 ოგვისტოს შესრულდება 80 წელიწადი უღვთო მკვდელობიდან და 27 ოქტომბერს 150 წელიწადი დაბადებიდან ილია ჭავჭავაძისა. გუშაგი აქედანვე ეცდება თავისი მცირედი წელილი მაინც შეიტანოს ამ დიდმნიშვნელოვან ეროვნულ მოვლენაში და მიმართავს ჭელას, ვისაც კი შეუძლია და სურვილი აქვს, მიიღოს მონაწილეობა მასში.

პირველი სიტყვის პატივი კი წილად ხვდა, ძვირფას ბატონი ირაკლი ითხმეზურს, რომლის ლექსიც, როგორც ჩანს, მიძღვნილია დიდებული ილიას დაბადების 100 წლისთავზე. გუშაგი.



## ირაკლი ოთხმეზური

ი ს ი ა ს 1937.

თაჭანისცემით გეამბორები დიდო იღია,  
ქართველ ხალხისთვის შენი ღვაწლი არ დაიღია,  
შენი საყდარი დაურღვეველ ბროლით თლილია,  
შენი აზრი ცაში აწვდა, შორი გზა ლია.

ამ დღესასწაულს ბევრი შეხვდა დიდი ოდებით,  
მე შენ საფლავთან მინდა მოსველა ჩუმი გოდებით,  
ეს საქართველო კვლავ გაიცსო მძიმე ლოდებით,  
მაგრამ მომავალს, შენ მითითებულს, ჩვენ ველოდებით.

მე ამ დღეობამ კვლავ გამიხსნა ძველი იარა,  
სულმა წამებულ საფლავთ შორის ჩამოიარა,  
ვინც დიმიტრივით თავი დასდო, მტერს უთხრა არა  
და, სამუდამოდ უკვდავების გზაზე იარა.

ქრისტე ჯვარს აცვეს, პლატონის სოკრატეს შხამი ეწერა,  
შენც მათთან წადი, ბოროტი ტყიის გაგხადეს წერა,  
გულო შეძრწუნდი, დიდი ცოდვა ჩვენ დაგვეწერა,  
აკაკის უთქვამს: არს საქართველოს ეს ბედისწერა.

შემოქმედებით ვინ გაგისწროს, ვინ ქმნას მისთანა,  
მაგრამ მოგდევენ ივერიის მსახურნი თანა,  
ბევრ შენ ერთგულ შვილს დაარტყეს დანა,  
მორჩილთ საზრდელად დასჭირდებათ კვლავ შენი ნანა.

კაკო ყაჩალი გაჭრილია სიმართლით ტყუში,  
იანიჩარიც დაბრუნდება სამშობლო ხევში,  
კეთილდღეობა განმტკიცდება მათ ძლიერ ხელში,  
ქვეწარმავალი შებრუნდება თვის ბინძურ ხერელში.

ჩამოყალიბდა, დაიხვეწა, გაპლანტა შიში,  
სიტყვა და აზრი გადიშალა შენსა აჩრდილში,  
სიყვარული და ნებისყოფა ოთარანთ ქვრივში,  
მტკიცეა ერი, თავს დაიცავს, არ გვმართებს ვიში.

კმარა წამება!

შენ დიად საქმეს მთელი თაობა დაუფლება, ფრთებს ფართეთ გაშლის და მას ექნება ამის უფლება, საჭიროით გამცნობს: ამ ასრულდა ეს შენი ნება, აჭავდა მდელო და გვეღირსა თავისუფლება.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### გიორგი ტოგონიძე

გამარჯობა ძმაო შენი

ძმაო უნდა ემსახურო  
შენს მშობლიურ სამფლობელოს,  
ხელში კალმით, ხელში ურო,  
სთქვი: ივერი-საქართველო.

გახსოვდეს შენ უორდანია,  
ერის გრძნობა, მისი ხატი,  
„ქართლის ცხოვრების“ ბანია  
მისი ძალა და ლაზათი.

ზოველ გასულ წლისა ბოლოს  
სთქვი სამშობლოს გამარჯვება,  
მტერი ბრძოლით ჩაიქოლოს,  
გმირებს უნდა ტრუობით ქება.

ერთი, ორი, სამი, ოთხი  
გახსოვდეს შენ ყველა კარგად,  
მაგ შენ გრძნობას ვერგინ მო-  
თხრის,  
თუ მას გულში ნერგავ ვარგად.

გახსოვდეს, რომ შენს ბრძოლაში  
უნდა იყო უშიშარი,  
წინაპრების გედოს გულში  
სიყვარული სანუკვარი.

მაშ, წინ, წინ ძმაო იარე!  
წყვლა და კრულვა მომხდურ  
მტერს,

გახსოვდეს შენ აგვისტოს თვე,  
თავისუფლების წალილი,  
თავგანწირების გრძნობა იქვე,  
დავით-თამარის მახვილი.

19.02.1985.

სიყვარულის და სათნოების გრძნობისათვის

რომ გამიშვდეს დღეს ეს სული,  
ქარიშხალში გადასული,  
ან ჩამიქრეს ბედის მცნობი  
მე ვარსკვლავი მოკაშკაშე,  
დავრჩე სუსხით დაზრობილი,—



არ ვიქნები თქვენი მგმობი,  
არც სხვა გრძნობით მოთამაშე.

ვერ დამიხშობს თქვენსკენ ლტოლვას  
ვერცა დევნა, ვერცა გლოვა,  
თუნდაც მომხვდეს კვდომის მჯიღიც,  
სულ გავუძლებ მე ამ თქეშებს,  
მარად თქვენთან, თქვენთან მოვალ,  
რადგან ვიცი თქვენს გარეშე  
ეს ცხოვრება არად მიღირს.

მონაბეჭიარი,

15. 08. 1958.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

გივი შაორელი

## კ ლ დ ი ს წ ყ ა რ ი

„ხოლო სახიერი იგი მათ ჭაველსავე უხვად  
მისცემდა: კლდისაგან წყალსა და ზეცით: პურსა“  
— ცხორებია იოანე ღუთისმეტუელისაი.

## 1.

კლდიდან მოჩქეფდა წყლი  
და გუბდებოდა იქვე;  
წყლვილის მოსაკლავად  
დავემხობოდი პირქვე...  
— ფრთხილად, ცივია!  
— მერე?  
— კბილებს აგატენს მალე;  
მე როდი დაგიჯერი,  
დედილო, გენაცვალე,  
წყლს დავეწავე, ვითა  
ნაკალოვარი ხარი,  
სიამე იგრძნეს კბილთა  
და არც შემცვლია მხარი...  
— ოჰ, რა გემო აქვს, არა?  
შენც ხომ დალიე, დედავ,  
მე კბლავ შევხრიპავ...

— ჩქარა,  
მზე გადიწვერა, ხედავ?!  
— ოჰ, რა კარგია, ამას  
ავლია უფლის თვალი.  
— უჯარდა აქ შენს მამას  
ეგმებინა წყლი...  
ღმერთმა გაამოს, შვილო,  
ეგ ერთი, სხვაც მრავალი.  
— გმადლობ, სამშობლოვ, ტკბილო,  
კარგიმც გქონდეს ხვალი...

## 2.

მერე რა მოხდა, ნეტავ,  
რატომ ვარ სხვა მხარეში;  
რად დამეკარგა დედავ,  
რატომ ხარ სამარეში.



თინამ მომწერა: გივი,  
აღარ გვყვს დედა, მამა;  
გულს მიწა აწევთ ცივი,  
სიკვდილმა შეგვიჭიამა...  
მაგრამ კლდის წყარო დარჩა,  
კვლავაც გუბდება იქვე;  
თუ გულში ნატვრა ჩაგრჩა,  
მოდი, დაემხე პირვევე,  
წყურვილს მოგიკლავს მალე,  
გაგახსენდება დედა...  
დაბრუნდი, გენაცვალე,  
ჩას გოხოვ ზედძ-ზედა.

### 3.

ვეღარ ვბრუნდები დაო,  
ვყოფილვარ ამის წერა;  
ბეჟაო ჩემო თავო,  
ბედ-იღბლის მართლა მჯერა!  
მაგრამ ნუგეში დიდი  
მუდამ თანა მდევს, თანა,  
ვით ბებოს ლოცვა მშვიდი,  
ვით დედის ნანი-ნანა.  
და, როცა ჩამთვლემს დაღლილს, კარგიმც გქონდეს ხვალი...  
ძილღვიძარების ზღვარზე  
ვიღაც მეძახის მაღლით:  
“ერთად წავიდეთ წყალზე.”

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### დიმიტრი მახარაშვილი

#### ნიკო და ჩონგური

(მეგობარ ნიკო ქაგთარაძის თავგადასავალი, რომელიც ომის მერე სამშობლოში დაბრუნდა, რუსებმა კი ციმბირში გადა-ასახლეს. აწყობილი მეცხვარების მიერ ჩონგურზე დასაკრავად: „გუშაგის“ წინა ნომერში დაბეჭდილი ლექსი „ძმა ნიკოს წე-რილი“ გაგრძელებაა ამისა. ავტორი.)

მაისის 26 1967 წლისა

ვაშინგტონი

\*\*\*



თავის გათლილსა ჩონგურსა დაარქვა საქართველოი. უკრავდები  
შენა მიუვარხარ სხვა არა, შენა ხარ ჩემი მზრდეს.  
ბევრჯერ ვყოფილვარ მოწყნით, ბევრჯერა ნამტირალევი,  
შენ მიხალისებ ყოფნასა, მარტო შენ შეგებრალები.

დაუკარ ჩემო ჩონგურო, სიმებდამწვარო ხმისაო,  
ფიცი მომეცი ძმობისა, რომ არ გახდები სხვისაო.  
არ გიღალატებ ჩონგურო, შენი შვილი ვარ ცითაო,  
ნურც შენ დამტოვებ მარტოკა, ბნელშია შავი გზითაო.

ასე შეთანხმდენ ორივე, ნიკო და მისი ჩონგური,  
სიტყვა რომ მიცეს ერთმანეთს, ეს ფიცი იყა მშობლური.  
ჩვენს ერთმანეთის გაჭრასა არ გვიზამს ჩვენი ერია,  
თუ არ შეგვხდება ბოროტი, გულულმობელი მტერია.

როცა ბერლინში ჩავიდა არავინ დახვდა მტრულადა,  
თაგს ეხვეოდენ რუსები, მიიღეს მეგობრულადა.  
რა მშობლიურად მიიღეს! ნიკო ვერ მიხვდა ცდენასა,  
ვით მათი სისხლი და ხორცი, ისე უქცემდენ ენასა.

ზედმეტი სიხარულითა უჩუჭდებოდა გულია,  
უდიდდა ოცნებები, უმრავლდა სიხარულია.  
აქ რუსის ოფიციალურია, ერთავად კარგი ზრდილები,  
მათი ჯიშისა და გვარად ჯელანი გამოცდილები.

დიდი ნაღიმიც გამართეს. დაუწყს პროპაგანდაო.  
აბა, რა იცის მთიულმა გარსა არტყა ბანდაო.  
ჩონგურიც დააკვრევინეს, გადაცეს მიკროფონსაო.  
უკვე ხაფანგში გაბმული ვერ მოდიოდა გონსაო.

როცა ნაღიმი გათავდა დაასაჩუქრეს ფულითა,  
ნიკოს ცრემლები სცვიოდა ზედმეტი სიხარულითა.  
ეს ზედმეტი სიხარული გულს უნთებდა ცეცხლის ალსა,  
წინად ასე დამართნია ჩვენ მარიამ დედოფალსა.

ასე დიდი ოცნებითა ნიკო გაუდგება გზასა,  
არ იცოდა უბედურმა უმზადებდენ თურმე რასა.

\*\*\*\*\*

თბილისის მაგიერადა ციმბირს ამოჰჭა თავია. უკრავებელი  
ოხ ღმერთო, ვინა გამწირა, ვინ იყა ჩემთვის ავია. პირდისის  
ჩონგურიც მოხსნეს თავიდან, მოთქვამს, აღარა მღერისა,  
ნუთუ ეს მოლანდებაა, რომ ვხდები მართლა მგლებისა.  
რა ძნელია, როცა სატრფო მიგიტჟუებს შესაცდენად,  
შენ გვონია ტკბილი ძუძუ, ის კი გიხმობს შესაჭმელად.

ლა პორტ (ა.შ.შ.)

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### მიხეილ თარაშვილი

ბავშვობისა და ყრმობის მოგონება  
(დასაწყისი იხ. წინა ნომერში)

**1918** წელს უკვე 13 წლის ვიზუ. სწავლა დამთავრდა და პა-  
ტარძეულში წაველი. უკვე თავდებოდა შემოდგომის ხვნა, რო-  
მელიც იწყობოდა მაისის დასაწყისში და თავდებოდა იგნისის  
ნახევარში. პატარძეულში მეურნეობას და მესაქონლეობას მის-  
დევდნენ. ვენახები იყა სოფელში და ისიც, რაც მათ სჭირო-  
დათ წლიურად. ლვინო ნაკლები ხარისხის იყა აქ, ვიდრე სხვა-  
გან კახეთში.

პატარძეულში ჩასვლისას დეიდამ მითხრა: მიშა გინდა რომ  
მეხეთ იყა, ჩვენი პატარა მოჯამაგირე ავად არისო. ძალიან  
გამეხარდა. მეორე დღეს დილით ადრე უკვე ადგილზე ვიზუ. იმიტომ საჭი-  
რო იყა ოთხი ან ხუთი უღელი ხარი. გუთნისთვის კამეჩებს  
არ ხმარობდნენ, რადგანაც სიცხეს ვერ იტანდნენ და იღლებო-  
დნენ. მიწას ხნავდნენ გაზაფხულზე და ხორბალს თესავდნენ  
სექტემბერში. გუთანი შეადგენდა: გუთნის დედას, რომელსაც  
გუთანი ეჭირა და იმავე დროს იყა უფროსი და პასუხისმგე-  
ბელი; ერთი ლამის მეხერე, რომელიც გარდა დღის მუშაობისა,  
ლამე ხარებს უვლიდა. ხარები ას იყნენ დაბმული, არამედ  
თავისუფლად გაშეებული მინდორში. ხარები ერთმანეთს არ  
შორდებოდნენ, თუ წავიდოდნენ, ჟელანი ერთად. ლამის მეხერ-  
ეს უნდა თვალური ედევნებინა. როცა გუთნიდან გამოუშვებდ-  
ით შიოდათ და იწყბდნენ ძმვას, როცა გაძლებოდნენ დაწვე-  
ბოდნენ და იცონებოდნენ. ლამის მეხერე იყა 18 წლიდან და  
მას მეტი ჯამაგირი ჰქონდა ვიდრე უბრალო მეხერეს, რომელიც



13 - 16 წლისა იყო.

დილით დავიწყო მუშაობა. გასულ წელს მე ვიზუა უმოქმედობრივად თი კვირა და ვიცოდი უკვე ხელობა. მე მებარა ორი უღელი ხარი. ხანდიხან შოლტს გადავკრამდით იმ ხარს, რომელიც არ ეწეოდა, ხანდიხან გუთნის დედა დაიძახებდა: „დაუჯეჭ, დაუჯეჭ.“ ჩვენც ვიმეორებდით ხმა მაღლა რამდენჯერმე „დაუჯეჭ, დაუჯეჭ“ და უღელზე შევჯდებოდით, ხარებს შოლტს გადავკრავდით, გუთანი ჩქარა მიდიოდა, რადგანაც ხარები ფეხს უჩქარებდნენ. ეს გრძელდებოდა 5 - 10 წუთი, მერე ჩვენ უღლიდან ჩამოვდიოდით და ფეხით მივდიოდით ორ ხარს შორის, ასე გრძელდებოდა გათენებიდან დაბინდებამდე.

მე დავრჩი ერთი კვირა, რადგანაც ხენა დამთავრდა და ბალახის თიბვა იწყებოდა ერთ კვირაში. რადგანაც მიწები სოფ-ფლიდან შორს არიან, სანოვაგე მიგვქონდა სამი-ოთხი დღისათვის. მიგვქონდა მაწონი დიდი ქილით, რადგანაც სიცხეში კარგი იყო, ღორის შაშხი, ყელი, ხანდიხან ქათამი. მინდოორში გრჩებოდით ორშაბათიდან შაბათ საღამომდე. ვთიბავდით მანქანით, რომელშიც ორი ცხენი ება. ღამე შინელში გახვეულები ვარსკვლავების ქვეშ გვეძინა. როცა წვიმდა ურმის ქვეშ შევდიოდით, რომელზედაც იყო გადაფარებული „პალატეკ“ და, რომელშიც წყალი არ გადიოდა. თიბვის შემდეგ, მზეზე ბალახი ხმებოდა და ორ-სამ დღეში გამშრალ ბალახს (თივას) მანქანით ვაგროვებდით. რადგანაც სხვადასხვა ადგილას ვთიბავდით, მე მევალებოდა მანქანით თივის მოქუჩება, მერე კი ბუღულად უნდა დაგვეღა, წვიმა თუ მოსულიყო, თივა რომ არ დასველებულიყო. ბუღულები დიდხანს ჩერებოდნენ მინდოორში. გვიან, როცა ნაკლები მუშაობა იყო სახლში, მაშინ ურმით მოჰქონდათ, ბუღულად სდგამდნენ და ზამთარში ხარებსა და ძროხებს აჭმევდნენ.

თიბვიდან, ჩემი ხნის ბიჭებს, ორი კვირა ხან მეტი ღასვენება გვექონდა მანამ სანამ არ დოწყუბოდა მკა და გალეშვა კალაზე. ძროხები და ხარები, რომლებიც სამუშაოდ არ სჭირდებოდათ უბნის ბიჭებს მიჰყედათ დილით აღრე სანამ მზე ამოვიდოდა იორზე, რომელიც ხუთი კილომეტრით არის დაშორებული სოფ-ლიდან. ბიჭებს მიქონდათ მთელი დღის საჭმელი, საქონელს აძოვებდნენ, შუდლისას იორზე იყნენ, წყალს სვალნენ და შემდეგ რიჭზე დაეჭრებოდნენ, ბიჭები კი ამ დროს იორში ბანა-

ბდნენ ან თევზაობდნენ. ასე გრძელდებოდა თითქმის უფრო ტრადიცია. როცა აგრილდებოდა, საქონელი რეფლან გამოიტანდთ, რომ იწყბდნენ ძოვას და იმავე გზით მძიმე-მძიმე სი არულით, როცა გაძლებოდნენ პატარძეულში მოვიდოდნენ.

მე ხშირად ვიყავი ჩემ ტოლ-ამხანაგებთან. ხან ვენახში ხან ყანებში ვმუშაობდი, მაგრამ, როცა ცხელოდა, კაკლის ჩრდილში ვისვენებდით. მიმქონდა პატარა კარაბინა, რომელიც ჩემმა ძია ლუკამ ოსმალეთიდან ჩამოიტანა. მას ლულა გადაჭრილი ჰქონდა და შინლის ქვეშ რომ ჩამოგეტიდნა, არ ჩანდა. ბიჭებს ტყიები მოჰქონდათ და ვერთობოდით ნიშანში სროლით. მთელი ზაფხული ასე შრომასა და გართობაში პატარძეულში ვიყავი.

**1919** წლის ზაფხულიც პატარძეულში გავატარე, სადაც **15** ივლისს მივედი, როცა ხენა უკვე გათავებული იყო და ორ კვარაში თიბვა იწყბოდა. ამ დილით მართა დეიდა (მესამე და) და მე ვენახში მივდიოდით ფეხით. ვენახი ხუთ კილომეტრზე იყო ივრის პირას. სოფლიდან ორას მეტრზე ვიყავით, რომ დავინახეთ უცნობი ცხენოსანი ცხენს მოაქროლებდა. როცა გაგვისწორდა შემოგვძხა: „ჯიღაურიანთ ძროხები გაიტაცეს.“ — მიშა, შესახა მართამ, ჩეგნი ძროხები, დავბრუნდეთ უკანო. სახლში რომ დავბრუნდით ბიძაჩემი ლუკა უკვე ცხენს ჰკაზმავდა. გვითხრა: სართიჭალაში გიორგისთან მივდივარ. გიორგი, რომელიც ჩემი უფროსი ბიძა იყო, კომისარად იყო სართიჭალის რაიონის. შუადღისას გიორგი და ლუკა დაბრუნდნენ სართიჭალიდან, ისადილეს და წავიდნენ სოფლის მამასახლისთან, რომელთან ერთად გადაწყვიტეს, რომ გიორგი წამოიჭანდა **15** მილიციონერს და პატარძეულიდან **15** შეიარაღებულ კაცს, რომ მეორე დილით გამოდევნებოდნენ გამტაცებელ თათრებს. პაემანი დათქვეს მალაკნების სოფელში. მეორე დღეს, როცა თათრების სოფელში მივიდნენ, მოძებნეს სოფლის მამასახლისი. ძია გიორგი წარუდგა, როგორც რაიონის კომისარი და უთხრა: „თქვენმა მოქალაქეებმა მოიტაცეს **155** ძროხა, კვალი თქვენს სოფელში მოვიდა, მოგვეცით დამნაშავეებიო.“ მამასახლისმა და სოფლელებმა უპასუხეს, რომ ჩეგნ არაფერი ვიცითო. წავიდნენ მეორე თათრების სოფელში, მაგრამ აქაც ასევე უარყოფითად უპასუხეს. კვალი კი ამ სოფელშიაც მიდიოდა. მაშინ ძია გიორგი ჯიღაურმა უთხრათ: „თქვენ არ გინდათ გასცეთ ყჩაღები. როგორ ვერ დაინახეთ ამდენმა ძროხებმა თქვენ სო-

\*\*\*\*\*

ფელზე რომ გაიარა? არ გინდათ დაჯვეხმაროთ ჩვენის ქრისტული ბის დაბრუნებაში, მაშინ ჩვენ სხვანაირად ვიმოქმედებით, მიუ- მიუბრუნდა მილიციონერებსა და შეიარაღებულ გლეხებს, მიუ- თითა ცხვრის ფარაზე და უბრძანა: გამოიყანეთ ათასი ცხვარი! რაც მაშინვე შესრულდა. მაშინ გიორგიმ მამასახლისს მისცა ხელშერილი, რომლის მიხედვითაც, სოფელს ერთი თვის ვადა ეძლეოდა. თუ ამ ხნის განმავლობაში გატაცებულ ძროხებს არ დააბრუნებდნენ და ქურდებს არ გასცემდნენ, მაშინ ამ ათას ცხვარს ძროხის პატრონებს გაუნაწილებდნენ.

ერთი თვის შემდეგ კომისარი გიორგი კიდევ მივიდა თათრე- ბის სოფელში, მაგრამ მათგან ისევ უარყოფითი პასუხი მიიღო: არ ვიცით, ჩვენებური არ იუნენო. გიორგი კომისარმა დანამ- დებილებით იცოდა, რომ ექვსი გამტაცებელი თათარი ამ ორი სოფლიდან იუნენ და, რომ მათ ძროხები აზერბეიჯანის საზღ- ვარზე გაიჭანეს და იქ გაჭდეს. ქურდები აზერბეიჯანში და- რჩნენ.

### გურჯაანში

მე ჩემი ბავშვობა პატარძეულში გავატარე. მაშინ რკინიგზა არ იყო თბილისიდან გურჯაანში. ღღღში ერთი დილიუანი გადი- ოდა. ადგილის შოვნა ადგილი არ იყო და თანაც ბავშვის ორი დღით უცხოსათვის მინდობა არ შეიძლებოდა. დილიუანი ორ დღეს უნდებოდა და, რადგანაც დილიუანი ღამე არ მუშაობდა, ღამეს სოფელ ბადიაურში ატარებდნენ.

**1919** წლის ივლისის ბოლოს დეიდებმა გადაწყვიტეს, რომ გუ- რჯაანში წაგსულიყვა. ძია ლუკამ სართიჭალამდე ცხენით გამა- ცილა. იქ, რადგანაც დილიუანში ადგილი ვერ ვიშოვნეთ, შეხ- ვედრილ უცხო შეიარაღებულ კაცებს ჩამაბარა, რომლებიც ფა- იტონით მგზავრობდნენ. პირველად მეშინოდა მათი, მაგრამ გზ- აში ისე შევეჩვიე, რომ მერე ვნებოდი ადრე რომ ცუდი შთა- ბეჭდილება მჭონდა მათზე. მეორე დღეს გურჯაანში ვიჭვი.

კარებზე დავაკაცუნე. შეველი. დედა მაგიდასთან იჯდა, ჰე- რაფდა. რომ დამინახა, ისე გაკვირვებული იყო, რომ მაშინვე არაფერი მითხრა. უცებ: როგორ მოხვედი შვილო, მითხრა და ფეხზე წამოდგა. მე უკვე მის გვერდით ვიჭვი. გადავეხვიეთ ერთმანეთს. ორივე ვტიროდით.

დედამი ლამაზი იყო, შუა ტანის, შავ-თვალ-წარბა და გრ-

ძელი შავი თმებით. უფარდა ევროპულად ჩატანა, ვიდრე გრძელებული ტკისამოსი და ჩიხტა-კოპი. დღეს თეთრი „კორსაჟი“ და შავი „იუბკა“ ეცვა, რაც ძალიან უხდებოდა. თმები ზურგზე ჰქონდა გადაჭილი. ისიც შეცვლილი, სამი წელია, რაც არ მენახა. ცოტათი გასუქებულიყა, სახე აღარ იყო ისე მოღუშული, როგორც წინად და მწერ არების ნაოჭებიც აღარ ჩანდნენ სახეზე. შემამჩნია, რომ ასე დიდხანს უფრებდი, მითხრა:

„რას მიურებ ასე, ნუთუ დავბერდი ან უშნო ვარ?“ არა, დედა, შენ კიდევ უფრო ლამაზი ხარ და უფრო გაახალგაზრდავებულ-ხარ-მეთქი. სიცილი დაიწყო, გადამეხვია და მაგრა, მაგრა მაკოცა. „ყაჩალ ბიჭო, უკვე არჩევ ლამაზს და უშნოსო“, მითხრა სიცილით.

კარი გაიღო და შემოვიდა ერთი მშვენიერი 9 - 10 წლის შავგვრემანი გოგონა. შემომხედა. თქვა: ვინაა? - ვერ იცანი მიშა?! მე და ჩემი და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

მეორე დილით წავედი პაპა გიორგის სანახავად, რომლის სახლი 400 მეტრით იყო ჩვენი სახლიდან დაცილებული. სოფელში ფერა პაპას ეძახდა. უკვე 75 წლის იყო, მხნე და ყაჩალი. უფარდა ბაგშვები და ბაგშვებსაც უფარდათ, რადგანაც, როგორც ვთხოვდით: პაპა, რამე გვიამბე, ის მუდამ მზად იყა სხვადასხვა ამბები მოგვყოლდა და ისიც ისეთი ოსტატობით. მე სხვა არ მასხსევს ასეთი მთხოვბელი, გარდა ერთი ჩემი ქართულის მასწავლებლისა, რომელიც მეხუთე და მეექვსე კლასებში გვასწავლიდა. მას „თაგუნას“ ეძახოდნენ, იყო იმ ხანებში დიდად ცნობილი უურნალისტი და კარიკატურისტი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყო ნესტორ კალანდაძე. ის იყო მშვენიერი ვაჟაცი, შავი ულვაშებით და პატარა წვერით.

როცა პაპა გიორგისთან მიველი, ის კაკლის ქვეშ იჯდა და ჩიბუს ეწეოდა. რომ დამინახა, ფეხზე ადგა, მე გავიქეცი და გულში ჩამიკრა. „ბიჭო, როგორ გაზრდილხარ! შენ მამაშენივთ მაღალი იქნები, დედაშენი გახარებული იქნება ძალიან“ - მითხრა. „მეც გახარებული ვარ ძალიან, სამი წელიწადია, რაც გურჯაანში არ ვყოფილვარ“, მივუგე მე და შემდეგ ვუამბე თუ როგორ ვიმგზავრე. პაპა გიორგიმ მითხრა: სწორედ მინდოდა შენი ნახვა, მანამ მოვკვდები მინდა გიამბო შენს მამაზე და პაპაზე, თუ გინდა ჩვენთან ისადილე, ნასადილევს ვილაპარა-

კოთ ამ კაცლის ქვეშო. —მე ძალიან მოხარული ვიქნებია მუზეზი, რადგანაც არაფერი ვიცი მათზე, მაშინ მე ბავშვი უყოფული მეოქვი. როგორ სწავლობო, მკითხა. —კარგად-მეთქი. —კარგად ისწავლე, მხნე და ყაჩაღი იყავ, იქმნიე დიდი ნებისყფა. თუ გინდა ნახო ჩემი თამარა ის ოთახში უნდა იყოს (მისი შეილიშვილი).

ოთახის კარი გაიღო, არ მჯეროდა! თორმეტი წლის გოგო უკვე მშვენიერი ქალი იყო. შავი თვალწარბით და შავი ხუჭუჭი და გრძელი თმებით. გადაფეხვიერ ერთმანეთს. —როგორ გაზრდილხარ, უკვე კაცი ხარ, გზაში რომ შევხვედროდით ვერ გიცნობდით მითხრა. —მე შენ გიურებ, მართლა თუ შენა ხარ არ მჯერა, როგორ გალამაზებულხარ, თითქმის ჩემი სიმაღლისა ხარ-მეთქი. თამარა სკოლაში კარგად მუშაობდა, კარგი ნიშნები ჰქონდა. —შემოდგომიდან თბილისში ვიქნები, იმედი მაქვს ხშირად შევხვდებითო. —რასაკვირველია-მეთქი. —მე შენზე ვფიქრობდი დღეს, მიშა ალბათ მოვა მალე, ორ წელზე მეტია ერთმანეთი არ გვინახავს და სხვა...

მე მანამ დედა გავაფრთხილე, რომ პაპა გიორგისთან ვსადილობდი, პაპა გიორგის ცოლსა და თამარას კაცლის ქვეშ სუფრა გაეშალათ. კარგი ცხელი დღე იყო. კარგად ვისადილეთ, ჯელას კარგი მადა გვქონდა. იყო მშვენიერი შემწვარი ქათამი ფლავით, ცხვრის ახალი ყველი, კიტრის მწნილი, სალათა, რასაკვირველია, წითელი და თეთრი ღვინო და შავი ბალი.

საღილი გათავდა. თამარამ უშველი თავის ბებიას სუფრის ალაგება და სახლში წავიდა პაპა გიორგი და მე დავრჩით კაცლის ქვეშ. მან ჩიბუხი აანთო და დაიწყო:

„შენი პაპა და მე ერთი წლისანი ვიყვათ, ბავშვობიდან მეგობრები. პაპაშენის მამა იყო მირზაანელი, გურჯაანში როცა მოვიდა იყო 22 წლის. მისი ხელობა იყო ბონდერი(ვინც აკეთებს ხის ბოჭკებს). ხევის უბანში იქირავა სახლი ეზოთი და დაიწყო მუშაობა. კარგი ხელოსანი იყო, მალე ბევრი მუშტარი ჰქვანდა, შეირთო აქაური ქალი. მიხა, შენი პაპა, როცა 9 წლისა იყო, მიაბარა ხევისუბნის მღვდელს, რომელსაც აამდე მოწაფე ჰყანდა. იქ ისწავლა წერა-კითხვა და თანაც მამასთან მუშაობდა. მე ათი წლიდან ბატონთან ვმუშაობდი, როგორც მეცხვარე. ჩვენ ყველ საღამოს ვხვდებოდით, რადგანაც მე სახლში ვიძინებდი. ერთ საღამოს მიხამ მითხრა: გიორგი, გინდა ისწავლო წერა-კითხვა. —მინდა, მაგრამ ვინ მასწავლის? —მე გასწავლიო. მართლაც, მეორე დღეს მოიტანა ფიცარი, ცარცი

და ტილო. ფიცარზე დაწერა ასოები და ამიხსნა. ათი პირული ლი ასო ორ დღეში შევისწავლე. ერთ თვეში დავიწყო ტრიტკები და წერა. მე ძალიან კარგი ხსოვნა მქონდა. ლექსის რო ზავი-კითხავდი, მეორედ წაკითხვის შემდეგ ზეპირად ვიცოდი. უკავი 14 წლისა თავისუფლად ვკითხულობდი.

ერთხელ ბატონმა მნახა წიგნით ხელში, როცა ცხვრების სანახავად მოვიდა. —რას კითხულობ, ბიჭო? —გრიგოლ ორბელიანს, ბატონო. —გესმის რასაც კითხულობ? —რასაკვირველია, ბატონო. აი, ზოგი ადგილი ზეპირათ ვიცი და გრ. ორბელიანის ორი ლექსი ზეპირად ვუთხარ. ისე იყო გაცვირვებული, რომ აღარ იცოდა რა ეოჭვა. ბატონის კითხვაზე, მე ვუამბე თუ ვინ შემასწავლა წერა-კითხვა და როგორ ვისწავლე. მკითხა ბატონმა თუ რა წიგნი წამიკითხავს. —ვეტეგის ტყაოსანი, ბატონო-თქვა და ერთი ადგილი, რომელიც იწყბა: „ჰე, სოფელო რაშიგან ხარ...“ ზეპირად მოუჭვი, —ბიჭო, შენ გენიოსი ხარო, მითხრა და ამის შემდეგ ბატონი მაძლევდა წიგნებს წასა-კითხათ, ხანდახან კი საჩუქრად.

პაპაშენი მიხა 15 წლისა იყო, რო უთხრა თავის მამას: მამა, ხომ ხედავ მე არ მიყვარს შენი ხელობა. მე მინდა ვივა-კროო და მართლაც დაიწყო ვაჭრობა. მძიმე-მძიმეთ ვაჭრობა გაიზარდა. 22 წლის უკვე უკეთესი ვაჭარი იყო გურჯაანის, თავაზიანი, პირდაპირი. ყველას უყვარდა. ერთი წლის შემდეგ მამა მოუკვდა. პირველ ხანებში მარტოყა იყო, მერე ერთი ახალგაზრდა ბიჭი აიგვანა, რომელიც ცხენის ტაჩით მიღიოდა სახლიდან სახლში. 25 წლისამ შეირთო ჩევენი უბნის ქალი, იმერლიშვილი, რომელიც ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ცუდი ხასიათი ჰქონდა. მეც იმავე წელს შევირთე ცოლი. ჩევენ ძმები-ვით ვიყავით და ჩევენი მეგობრობა სიკვდილამდის გაგრძელდა.

მიხამ მერე ბატონიდან იყდა ორ დესეტინა ნახევარი მიწა ვეზე, შიდ გააშენა საფერავი და რქაშითელი. პირველ რთვე-ლში ძალიან ბევრი ხალხი ყვდა დაპატიჟებული. დიდი მოსავალი მოვიდა. თავის ქვევრები სულ აამსო და სოფელში იქირავა ქვევრები. ვისაც ახლო-მახლო მიწები ჰქონდა, გააშენეს ვენახები. მე ისევ ბატონთან ვმუშაობდი.

ერთ დღეს მითხრა მიხამ: ერთი მიწა იყდება ჩემი ვენახის ახლოს, გიორგი, თუ გინდა? —მე ძალიან მინდა, მაგრამ ფული არ მაქვს, ვუთხარი. —ხვალ მოდი ხევისუბანშიო. მეორე დღეს

მიხასთან ვიყავ. მიხამ მითხრა: თ ქაღალდები მზათ ფრენის ზე მი-  
ლი მოაწერე, ხეალიდან შენი იქნებათ. — მე ფული არ მცემული,  
რას მიამბობმეოთქი. იმან: მე უკვე გადავიხადე მიწის ფასი,  
მაგ ქაღალდებში წერია, როცა ფული გექნება გადამიხდიო.  
გადავეხვიე და ვაკოცე. ბავშვივით ვტიროდი. ვენახი გავაშე-  
ნე. ოთხი წლის შემდეგ თავი დავთებე ბატონს, მაგრამ, როცა  
ვჭირდებოდით, მეძახდნენ. მე მუდამ მზად ვიყავ, ჩადგანაც  
ის იყო ჩემთვის მეორე სახლი, მე ვიყავი წევრი მათი ოჯახის,  
მეტადრე ბატონი ვანო, ჩემი ბავშვების მეგობარი.

რამდენიმე წელში ფეხზე დავდეჭი. ვენახი კარგა იძლეოდა.  
მეყოლა სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალი. მიხას კი — ერ-  
თი ვაჟი-ბენო და ერთი ქალი-რახიელი. იმ დროს არ იყო სას-  
წავლებელი გურჯაანში. ბენო და ვანო, რომლებიც მერვე წელ-  
ში იჯნენ, მივაბარეთ სიღნაღის სემინარიაში, სადაც სულ რუ-  
სულათ იყო სწავლა, პირველ ხანებში ეს არ მოსწონდათ, მაგ-  
რამ მალე შეეჩივნენ და მერე ძალიან კარგად სწავლობდნენ.  
ქაღები კი ღვდელთან სწავლობდენ. 18 წლისებმა გაათავეს სე-  
მინარია. ბენოს უნდოდა სამსახურში წასულიყო თბილისში, მა-  
გრამ დედამ კატეგორიული უარი უთხრა. დარჩა გურჯაანში,  
მამასთან მუშაობდა, მაგრამ ის სოფლისთვისაც ზრუნავდა. მი-  
სი მეთაურობით გურჯაანში დაარსდა ფოსტა. გეგმა პქნდა  
წყლის გამოყანისა, განსაკუთრებით სახასოში, სადაც წყლი  
ორ კილომეტრზე იყო, ზაფხულში ორი საათი უნდა გეცადა ერ-  
თი კოკა წყლისათვის, გზების გფანივრება და სხვა, მაგრამ  
აღარ დაცალდა. ჯერ იყო, პაპა მიხა გარდაიცვალა. ბენომ,  
რამდენიმე წლის შემდეგ და გაათხოვა ვანო გომელაურზე(პრა-  
ენა), რომელიც იყო მირზაანელი და მწერლათ მსახურობდა გუ-  
რჯაანში. ბენომ შეირთო ნინო ჯილაური, პატარძეულიდან.

სამწუხაოროდ, 1910 წლის მაისის ნაშუადღევს ბენოს ვენახ-  
ში ხის ჩრდილში დაეძინა, ვაცივდა, ფილტვების ანთება და-  
ემართა და გარდაიცვალა.“

მე არ მახსოვეს მამას სახე. მხოლოდ ეს მახსოვს: დამიძახა,  
ხელი თავზე დამაღო და მითხრა: მიშა დედას დაემორჩილე  
და დაეხმარე. მპირდები?—ხო-თქვა ვუთხარი. მაგრა გულში ჩა-  
მიკრა და მაკოცა. მეორე დღეს გარდაიცვალა...“

მე მამაჩემის თხოვნა ა ავასრულე. 21 წლის ჭაბუქმა დედა

\*\*\*\*\*

დავტოვი უნუგეშოდ, უცხოეთში გადმოვიხვეწე. აღბორებული მიზეზი, რომ მე უცხოეთში მშვიდობა ვერ ვპოვე, უცხოეთი ჯებოდი, რადგანაც მომაკვდავი მამის წინ დადებული სიტყვა გავტეხე. იმის მაგივრად, რომ დედას დავხმარებოდი, მას მწუხარება მოვუტანე. მაპატიე დედა, რომ ამდენი მწუხარება მოგაყნე ჩემი დაუფიქრებლობის გამო. მეც უბედური ვიყავ, შორს შენიდან და შორს ჩემი სამშობლოდან, რომელიც ყველაფერზე მეტად მიუვარდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომრებში)

ნიხეილ თარაშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

გორგაჩოვის მოხსენება 27-ე ყრილობაზე

ჩვენს შორის ხშირად გაიგონებთ და წაიკითხავთ იმ აზრს, რომ თითქოს კომუნისტური და მარქსისტული იდეოლოგია გაკოტრებული იყოს თვით სსრკ დღევანდელ მმართველ კომუნისტთა შევნებაში. მიხაილ გორბაჩივის მოხსენება კომპარტიის 27-ე ყრილობაზე წაიკითხული სრულიადაც ასეთ შთაბეჭდილებას არ ახდენს, პირიქით, იქიდან წარმოდგენა გრჩებათ ისეთი, თითქოს კითხულობდეთ მეცხრამეტე საუკუნის თავგაბურებულ რუს მარქსისტს. ორში ერთი: ან გორბაჩივი ერთი საუკუნითაა ჩამორჩენილი თვით მარქსისტთა დღევანდელ აზროვნების დონეს ანდა უზომოდ ტყუის, სხვათა შესაცდენ-გასაბრიუებლად. აი, ზოგიერთი მარგალიტები მისი მოხსენებიდან:

- „მარქსისტული ანალიზი გაოცებს თავისი ისტორიული მასშტაბურობით, სიზუსტითა და სიღრმით. მეოცე საუკუნის ბურჟუაზიულ სინამდვილესთან შეფარდებით, იგი, არსებითად კიდევ უფრო აქტუალური გახდა, ვიდრე მე-19-ეში იყა.“ ხედავთ?!

- „...80-ანი წლების კაპიტალიზმი, ელექტრონიკისა და ინფორმატიკის, კომპუტერებისა და რობოტების კაპიტალიზმი ქუჩაში ქრის ქრის მილიონობით ადამიანს, მათ შორის ახალგაზრდებსა და ნასწავლებს. სიმდიდრე და ძალაუფლება კიდევ უფრო მეტად იქნის თავს მცირეოდენთა ხელში.“ აქ არის სიმართლე.

- „განვლილმა პერიოდმა კაპიტალიზმის ზოგადი კრიზისის გაღრმავების ბევრი დასტური მოგვცა. თანამედროვე კაპიტალიზმი, რომლის ექსპლოატატორული ბუნება არ შეცვლილა, დიდად

განსხვავდება იმისაგან, როგორიც იყო იგი მეცხრამეტეთშველზე  
ნის დამდეგ ან, თუნდაც, შუა ხანებში. მეცნიერული მუსიკული  
რი რევოლუციის გავლენით და ამ რევოლუციის ფონზე კიდევ  
უფრო მწვავდება კონფლიქტი გიგანტურად გაზრდილ საჭარმო  
ძალებსა და საზოგადოებრივი ურთიერთობის კერძომესაკუთრულ  
ხასიათს შორის.“ მაში, ცვლილებას ადგილი აქვს, მაგრამ ის  
ისევ და ისევ ადასტურებს მარქსის გენიალურ პოლიტიკურ ა-  
ალიზს კაპიტალისტური მეურნეობისა და საზოგადოების შესა-  
ხებ.

— „მწვავდება უწინარეს ყოვლისა წინააღმდეგობანი შრომასა  
და კაპიტალს შორის.“ რაც სინამდვილეს სრულიად არ შეესა-  
ბამება და თუ საღმე არსებობს, ისიც ხელოვნურადაა გამოწლი.

— „დევნიან და ეკონომიკურ შანტაჟს უწყობენ პროფესიონე-  
ბს. იღებენ ანტიმუშურ კანონებს... ნორმად იქცა გამუდმებული  
კონტროლი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თვალთვალი ადამიან-  
თა განწყობილებისა და ქცევისადმი. უმაგალითო მასშტაბი შე-  
იძინა ინდივიდუალიზმის, არსებობისათვის ბრძოლაში ძლიერის  
უფლების, ამორალიზმის, ყველივე დემოკრატიულისადმი სიძ-  
ულვილის გამიზნულმა კულტივირებამ.“ აქ, პროფესიონების დე-  
ვნა, ანტიმუშური კანონების მიღება, უხეში და ყურით მოთ-  
რეული ცილისწამებაა, რაც შეეხება: „გამუდმებული კონტრო-  
ლი... თვალთვალი ადამიანთა განწყობილებისა და ქცევისადმი,“  
ამეზე იმერქოთში იტყვიან: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკა-  
ლიო. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ვორბაჩოვის ეს ანალიზი,  
მისი ფანტაზიაა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მოკლებუ-  
ლია რეალობას. თუ ზემოთ ქმულიდან რაიმე სიმართლეს შეევი-  
რება, ესაა უმუშევრობა. დიახ, ვორბაჩოვის მიერ ეგრედ წოდე-  
ბულ კაპიტალისტურ საყიდეობის არსებობს უმუშევრობა მრავალ-  
მილიონიანი არმია. ეს ფაქტია და ამის დამალვას არც არავინ  
არ ცდილობს აქ. უმუშევრობა ყველაზე მწვავე და საშური გა-  
დასაწყეტი საკითხია დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში და  
მის გადაჭრას კიდევაც შეეწირა არა ერთი მთავრობა. მარქსი-  
სტული რეცეპტებით რომ ამ წლების მოშუშება შეიძლებოდეს,  
იგი დიდიხანია, რაც გამოყნებული იქნებოდა, მაგრამ ცდები  
ამ მიმართულებით ჯერჯერობით არსად არ გამოდგენ და ამის  
კიდევ ერთი დასტურია 1981 - 84 წლებში საფრანგეთის სო-  
ციალისტურ-კომუნისტური მთავრობის ექსპერიმენტები, რამაც

საფუნგეთში უმუშევარობა როტვი ერთ ორად გაზიარდებოდა ევროპაში კელაძე მეტი უმუშევარი პროცენტულად უჭირდებოდა ურ იუგოსლავიაშია, რომელიც, სხვათა შორის, ჰკუას ხმარობს და არ უშლის „კაპიტალისტურ“ ევროპაში ეძიონ სამუშაო. საბჭოთა კავშირში თუ უმუშევრობა ჯერჯერობით პრობლემა არ გამხდარა ეს იმიტომ, რომ, კერძო, მუშახელის დიდ ნაწილს აბანდებს სამხედრო უწყება, როგორც რიგით არმიაში, ისე სამხედრო ინდუსტრიაში, რომლის რიცხვი არაჩვეულებრივად მაღალია, ვიდრე მსოფლიოს სხვა ნებიმიერ ქვეყნაში, და მეორეც, საბჭოთა ეკონომიკის განსაკუთრებით დაბალი შრომის ნაყოფიერება, მოწინავე ინდუსტრიულ ქვექების შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით. მჯალითად ცნობილია, რომ ამერიკის შ. შტ.-ის სოფლის მეურნეობის შრომის ნაყოფიერება ათჯერ მეტია, ვიდრე საბჭოთა კავშირისა. ერთი ამერიკელი აგრიკულტორი კვებავს 50 თანამემამულეს, მაშინ, როცა საბჭოთა სოფლის მშრომელს 5-ც ვერ გამოუკვებავს. ამიტომაა, რომ გორბაჩივის ტრაბანს მოკლე ფეხები აქვს.

რაც მთავარია, როცა გორბაჩივი ასეთი პათოსით გმობს უმუშევრობის ფაქტს, გულუბრჩყილო და უცოდინარ აღამიანებს დარჩებათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს საწყლები, რომლებსაც, გორბაჩივის თქმით, „კაპიტალიზმი ქუჩაში ყრის მილიონობით“, მიტოვებული იყვნ საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან და შიმშილითა და სიშიშვლით იხოცებოდენ. ბ. გორბაჩივი არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ღრმებითი უმუშევრები ხელფასის 70-80 პროცენტს დებულობენ, რაც ბევრით ჭარბობს შესაბამის კატეგორიის საბჭოთა მუშა-მოსახურისას. შემდეგაც, ის მცირე რიცხვი, რომელიც საერთოდ ვეღარ შოულობს სამუშაოს, მიტოვებული არ არიან თავიანთი ბედის ანაბარად.

მიუხედავად ამისა, თავისუფალი საზოგადოებისათვის მიუღებელია მილიონობით უმუშევრების არსებობა, იგი ამ მხრით დიდ მზრუნველობას იჩინს, ეწევა სხვადასხვა ეკონომიკურ ცდებს და თავისუფლება იმის გარანტიაა, რომ ის ამ პრობლემის გასაჭებს იპოვნის..

ახლა მოვუსმინოთ თუ როგორ ახასიათებს გორბაჩივი საბჭოთა წესწყაბილებასა და საზოგადოებას:

„ჩვენი ღრმების პროგრესს სამართლიანად თვივებენ სოციალიზმთან. მსოფლიო სოციალიზმი – ეს არის მძლავრი საერთაშორისო გარება..“

სო გაერთიანება, რომელიც ეყრდნობა ღიღად განვითარებულ სოფელების მომიკას, სოლიდურ მეცნიერულ ბაზას, საიმედო სამსახურების პოლიტიკურ პორტფილის. ეს არის კაცობრიობის მესამედზე მეტი, ათობით ქვეყანა და ხალხი, რომლებიც აღამიანისა და საზოგადოების ინტელექტუალურ და ზნეობრივ სიმდიდრეთა უკელმხრივი გაფურჩქვნის გზას ადგანან. წარმოშვა ახალი, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ცხოვრების წესი, სადაც არ არიან არც მჩაგვრელები და არც ჩაგრული, არც ექსპლოატატორები და არც ექსპლოატირებული. სადაც ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. მისი განმასხვავებელი ნიშანია კოლექტივიზმი და ამხანაგური თანადგომა, თავისუფლების იდეების გამარჯვება, საზოგადოების თითოეული წევრის უფლება-მოვალეობათა განუყოფელი ერთიანობა, პიროვნების ღირსება, ნამდვილი ჰუმანიზმი. სოციალიზმი— ეს არის მთელი კაცობრიობისათვის მინიჭებული რეალური შესაძლებლობა, ეს არის სამომავლოდ შემართული მაგალითი. “(მომხსენებელი აქ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.)

მაგრამ, მაგარი იმაშია, რომ გორბაჩივის მიერ ასეთ იდილიურ ფერებში დახატული „რეალური კომუნიზმის“ საზოგადოება ერთ უზარმატარ პატიმართა ბანაკს წარმოადგენს და იქ გამომწყვდეულ ადამიანების მთავარი საზრუნავია როგორ და რანაირად გამოიკვებოს თავი. თვით გორბაჩივიც კი თავის მოხსენებაში იძულებულია მთელი ვებერთელა თავი მიუძღვნას „სასურსათო პროგრამის გადაჭრას“, რომელიც მის მიერ „უპირველეს ამოცანად“ არის დასახული. ასეთ პირობებში, როგორ გნებავთ კომუნიზმზე ილაპარაკოთ, სადაც სურსათი და კველა სხვა მოთხოვნილების საგნები თავსაყრელი უნდა იყოს კველასათვის?! და, მართლაც, არც გორბაჩივის კომპარტიის ახალ პროგრამაში და არც გორბაჩივის მოხსენებაში ლაპარაკი აღარ არის კომუნიზმის განხორციელების ვადებზე.( ეტყბა, რომ ამ მხრით ნ. ხრუშჩოვის შემდეგ ჭრუა ისწავლეს კრემლში.)

პირიქით, ახალ წესდებაში კომუნიზმის შესახებ ნათქვამია: „საბჭ. კავშირის კომუნისტური პარტია არ ისახავს მიზნად წინასწარ დეტალურად განსაზღვროს სრული კომუნიზმის ნიშნები. მისკენ წინსვლის, კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების დაგროვების კვალობაზე ახალი საზოგადოების უმაღლესი ფაზის შესახებ მეცნიერული წარმოდგენა გამდიდრდება“-ო.

გორბაჩივმა მთელი ერთი თავი დაუთმო თავის მოხსენაში მომუნიზმის ნიშნების არ განსაზღვრის დასაბუთებაზე, რომ მათ ჩანს, რომ საბჭოთა ხალხი მოითხოვდა პროგრამით განსაზღვრული ყოფილიყა კომუნიზმის განხორციელების ვადა. მან უკუაგდო ეს და ლენინის ავტორიტეტის მოშველებით განაცხადა: „რაც შეეხება საპროგრამო მიჯნების მიღწევის ქრონოლოგიურ ფაზებს, მათი დაწესება არ არის გამართლებული. წარსულის შეცდომები ჩვენთვის გაკვეთილია. დღესდღეობით გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ ახლანდელი პროგრამის შესრულება სცილდება მიმდინარე საუკუნის ფარგლებს“-ო.

ამაზე უფრო გარკვევით თქმა აღარც შეიძლებოდა. მართლა და მართლა, ხომ ვერ იტუდა კომუნიზმი ზლაპარიაო! საბჭოთა ხელმძღვანელობა საუკუნის ბოლომდე დამატებით შრომას მოითხოვს საბჭოთა ხალხისაგან, მაგრამ აღთქმულ ქვეყანაში შესვლის ვადები თავადაც არ იციან და ხალხს რა უნდა უთხრან?

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საინტერესოა გორბაჩივის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ეროვნებათა ბედს ეხება. აქაც სიახლე აზაფერი ჩანს. ისიც იმეორებს საბჭოთა პროპაგანდის მაერ დიდი ხნის წინად გაცვეთილ ფრაზეოლოგიას:

„ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ... ერთხელ და სამუდამოდ მოისპონ ყელა ფორმისა და გამოვლინების ეროვნული ჩაგრა და ეროვნული არათანასტორუფლებიანობა. ათმილიონობით ადამიანის შეგნებაში დამკვიდრდა ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ყელა ხალხის ეროვნული კულტურისა და ეროვნული ღირსების პატივისცემა.“

მაგრამ ეტყაბა, რომ მთლად საიმედოდ და სამუდამოდ არ გადამწყდარა საკითხი საბჭოთა სახელმწიფოში, რადგანაც იქვე გორბაჩივი პარტიისაგან მოითხოვს დიდ სიფხოზლეს: „მით უმეტეს, რომ აქ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და ზოგჯერ მტკიცნეულად იჩენს თავს ეროვნული კარჩაკეტილობის, კუთხურუბისადმი მისწრაფება“-ო აფრთხილებს ყრილობის დელეგატებს. აქ უთქმელადაც ცხადია, რომ გორბაჩივის მიერ ათვალწუნებული „ეროვნული კარჩაკეტილობა“ და „კუთხურობა“, სხვა არაფერია, თუ არა ჩაგრული ერების მიერ წარმოებული თავდაცვის მცდელობა. საბჭოთა რუსული დიდმცწობელი ძალადობისგან.

მრავალეროვნულ, იმპერიულ სახელმწიფოებში ეროვნული კულტურული ძღვენა ბლება „ერთხელ და სამუდამოდ“ მოგვარებული არასახლებული ცხოველების გაფილა და არც შეიძლება რომ იყოს. ასეთი რამის მტკიცება, თავისთავად არის დიდი სიყალბე, მაგრამ საბჭოთა კავშირისა-თვის ის დროებითაც არ ყოფილი არასოდეს, მას მუდამ წჟე-ტდა რუსების ძალმომრეობა. ზედმეტია ამის საჩვენებლად ექვ-ბო საბუთები, მარტო ის ფაქტი, რომ, საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენელ, თეორიულად დამოუკიდებელ და სუვერენ არარუს რესპუბლიკებს, არ გააჩნიათ არც ავტონომიური კომუნისტური პარტიები და არც ავტონომიური საერთაშორისო ურთიერთო-ბისა და სამხედრო უწყებები, —თავისთავად მეტჯელებს საბჭ-ოთა სახელმწიფოს ეროვნული პრობლემების პერმანენტულ მოუ-გვარებლობაზე, მის ძალმომრეობით ხასიათზე.

### ომი თუ ზავი

ვორბაჩინვის მოხსენებაში აგრეთვე აღსანიშნავია მსოფლიო ომის თუ მშვიდობიანი თანაარსებობის კაპიტალური საკითხი. ის ამ საკითხს არა ერთხელ უბრუნდება თავის სიტუაცია: „ჩვენ რეალისტები ვართ, ამბობს ის, და კარგად გვესმის, რომ ორ სამყროს ყოფს ძალზე ბევრი რამ, თანაც ღრმად, მაგრამ ცხადად ვხედავთ სხვა რამესაც: ატომური ბომბისაგან კაცობ-რიობის გადასარჩენად საჭიროა სახელმწიფოებისა და ხალხების ურთიერთობის მედიება მთელი პლანეტის მასშტაბით.“ აქ ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ხელმძღვანელის გულწრფელობის მარცვალს.

„და ბოლოს, ეს ნიშნავს, შევიგნოთ, რომ თანამედროვე ვი-თარებაში ალტერნატივა არა აქვს სახელმწიფოთა თანამშრომ-ლობას და ურთიერთობანამოქმედებას, ამბობს მეორე ადგილას და აგრძელებს, ამრიგად, შეიქმნა ობიექტური — ხაზგასმით აღ-ვნიშნავ, ობიექტური პირობები, როცა კაპიტალიზმისა და სო-ციალიზმის ორთაბრძოლა შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი შეჯიბრებისა და მშვიდობიანი მე-ტოქეობის ფორმებით.“

ეს განცხ ადება მეტად მნიშვნელოვანია და ის გვიქმნის შთა-ბეჭდილებას, რომ ეს სიტუაცია უფრო ნათევამია საკუთარი ბა-ნაკის, კლასთა ბრძოლის თეორიით გატაცებული კომუნისტების დასაჯერებლად, ვიდრე პრეზიდენტ რეიგანისა და დასავლეთის დემოკრატიის სხვა ლიდერებისა.

ამავე ხასიათისაა გორბაჩივის მოხსენების შემდეგი, როგორც მუნიციპალიტეტი:

„ჩვენი მხრივ, მზად ვართ ყელაფერი ვიღონოთ, ართთ რედ-კალურად გავაუმჯობესოთ საერთაშორისო სიტუაცია. ამისთვის სოციალიზმს არ დასჭირდება ხელი აიღოს თავის პრინციპებზე თუ თავის იდეალებზე. იგი ნიადაგ უჭერდა და უჭერს მხარს იმ სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას, რომლებიც სხვა-დასხვა საზოგადოებრივ სისტემას ეკუთვნიან.“ თავისი პოზი-ციის გასამაგრებლად, გორბაჩივი ლენინსაც იხმობს:

„ტრიუკისა და მემარცხენე კომუნისტების წინააღმდეგ ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელში ამტკიცებდა, რომ: „რევოლუციური ომი სრულიად წინააღმდეგი იქნებოდა მარქსიზმისა, რომელიც უკველთვის უარყოფდა რევოლუციების „წაბიძებას“, რევოლუცი-ებისა, რომლებიც ვითარდებიან მათ წარმომშობ კლასობრივ წინააღმდეგობათა სიმწვავის მომწიფების კვალობაზე.“ ჩვენ დღესაც მტკიცედ გვწამს: რევოლუციის წაბიძება გარედან, მით უმეტეს, სამხედრო საშუალებებით, უმავნისი და დაუშვე-ბელია“-ო, ასკვნის მომხსენებელი.

ასეთი განცხადების შემდეგ, გულით გინდა ადამიანს და-ჯერ გორბაჩივის გულწრფელობა, იწამო მისი მშვიდობისმოწვარეობა. დიახ, არა ერთხელ გვსმენია ასეთი სამშვიდობო გა-ნცხადებები ლენინისაგანაც და საბჭოების სხვა დიქტატორები-საგანაც, რომლებიც მუდამ უარყოფილი ყოფილან მათვე პო-ლიტიკური ფაქტების მიერ. ლენინის ცბიერ „რევოლუციების არ წაბიძების“ თეორიას უარყოფს მის მიერ საქართველოს დაპტორის ფაქტი, ისევე როგორც სტალინის სამშვიდობო გა-ნცხადებებს უარყოფენ მის მიერ ბლტიის ქვექების ოკუპაცი-ის და აღმოსავლეთ ევროპის ქვექების გასაბჭოების ფაქტები. და ბოლოს ლეონიდ ბრეਜნევი განსაკუთრებული დამაჯერებლო-ბით იჩრმუნებოდა საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობის მოყვა-რეობას, მაგრამ იმავე დროს, და იქნებ მისი ცბიერი განცხა-დებების წყლობით, საბჭოთა კავშირმა ერთ სამხედრო ბანაკად აქცია საფრანგეთის ყოფილი ინდოჩინეთი, ძალით კომუნიზმი მოახვია თავს: ანგოლის, მოზამბიკის, იემენის, ეთიოპიის, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის და ასე შემდეგ ხალხებს და ბოლოს კი ურიცხვი დივიზიებით შეიქრა ავღანეთში.

გორბაჩივი მათი მემკვიდრეა. ამიტომ მას მარტო ლიტენი სიტყვები არ ეყოფა მოპირდაპირე ბანაკის დასაჯერებლად.

მან თავის სამშენებლო სიტყვებს, სათანადო პოლიტიკურობაზე  
ტებითაც უნდა დაუსვას ბეჭედი. ეს კი ჯერჯერობრივი რჩევა იყენებული

## გიორგი ქართველი

\* \* \*

ს.ს.რ.კ. კომპარტიის 27-ე ყრილობა

ამ წლის 25 თებერვლიდან 6 მარტამდე კრემლის ჭილობათა  
დარბაზში მიმდინარეობდა რუსეთის კომუნისტური პარტიის  
რიგით ოცდამეშვიდე ჭილობა. მას საბჭოთა კომპარტიის 5  
ათასიან დელეგატთან ერთად ესწრებოდნენ: სატელიტ კომუნის-  
ტური ქვექნების კომუნისტური პარტიების და 113 სხვა ქვექნის  
კომუნისტური თუ მოკომუნისტო მუშათა პარტიების 152 დელე-  
გაცემი. უპირველესად ეს იყო რუსეთის კომუნისტების საე-  
რთაშორისო სპექტაკლი, სადაც ჰელაფერი წინასწარ გულმოღ-  
გინებით იყო განსაზღვრული მთავარრევისორ მიხაილ გორბაჩო-  
ვის მიერ. ჭილობა ჩატარდა, როგორც ყველთვის სტალინის  
კულტიდან მოყოლებული, ყველგვარ მოულოდნელობისაგან გან-  
ძარცულ ატმოსფეროში, სადაც ჰელაფერი ასტრონომიული სა-  
ათის სიზუსტით წინასწარ იყო გაანგარიშებულ-დაგეგმილი.  
არავითარ აზრთა და იდეათა ჭიდილს ჭილობის დროს აღილი  
არ ჰქონებია. ჭილობიდან გამორიცხული იჯენ ოპოზიციონერე-  
ბი, თვით ისეთებიც, როგორც გრიგოლ რომანოვი და ვიქტორ  
გრიშინია, რომებიც, გორბაჩოვის გახელმწიფოებამდე კომპარ-  
ტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მეტად გავლენი-  
ანი პირები იჯენ და, რომელთა სახელებსაც ხშირად ახსენე-  
ბდენ, როგორც შესაძლებელ გენერალურ მდივანს.  
ორატორები, ჭილობის ტრიბუნისათვის, ჩანდა, რომ წინასწარ  
იჯენ შერჩეულები და ისიც, თუ ვის რა უნდა ელაპარაკნა,  
ანდა სად როგორი სიძლიერის ტაში უნდა დაეკრათ ჭილობის  
დელეგატებს მომხსენებელ გორბაჩოვისათვის.

ჭილობამ მოისმინა მ. გორბაჩოვის საანგარიშო მოხსენება,  
რომელიც შემდეგ უცვლელად ჩეზოლუციად მიიღო, დაამტკიცა  
კომპარტიის ახალი პროგრამა და წესდება, ტაშით, ერთსულო-  
ვნად აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი წევრები და კა-  
ნდიდატები, რომლებმაც თავის მხრით, ერთხმად დაამტკიცეს  
გორბაჩოვის ეკიპის მიერ წარმოდგენილი პოლიტბიუროს წევრე-

ბი, წევრობის კანდიდატები და მდივნები და საყონტო კო-  
მიტეტის თავმჯდომარე. ამრიგად, ყრილობა იყო ნამდვილი ცა-  
რეგისტრაციონური ბიურო, რომელმაც უკამათოდა და უცვლელად და-  
ამოწმა საიდუმლოებით მოცულ წევრი შედეგნილი სამოქმედო  
პროგრამა და ხელმძღვანელთა სია. მას აღბათ შემდეგში უწო-  
დებენ გორბაჩივის ყრილობას. მართლაც, ყრილობამ ის ოფიცი-  
ალურად შემოსა პარტიის ბატონ-პატრონის კვერთით და თუმ-  
ცა ბრეზნევ-ანდროპოვ-ჩერნენკოსთან შედასებით მას სსრკ უმ-  
აღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა აკლია, რომელსაც  
ანდრეი გრომიკო ფლობს, მაინც საბჭოთა იერარქიაში გორბა-  
ჩივს უმაღლესი პოსტი უკავია. მეორე ადგილზე მოდის ი. კ.  
ლიგაჩივი, რომელიც პოლიტბიუროს წევრიცაა და ც. კომიტე-  
ტის მდივანიც და განაგებს პარტიის იდეოლოგიას. მესამე ად-  
გილზეა ლ. ნ. ზაიკოვი, ისიც პოლიტბიუროს წევრი და ც. კო-  
მიტეტის მდივანი, გამგებელი მძიმე ინდუსტრიისა და სამხედრო  
კომპლექსის; მეოთხე ადგილი მიეკუთვნება ნ. ი. რიუკოვს, რო-  
მელიც გახლავთ პოლიტბიუროს წევრი და მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე; მეხუთე რიგში მოდის ა. ა. გრომიკო, პოლიტბი-  
უროს წევრი და საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციური მეთა-  
ური; მეექვსე ადგილზე დგას ვ. მ. ჩებრიკოვი, პოლიტბიუროს  
წევრი და ყავლისშემძლე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტ-  
ის თავმჯდომარე და ა. შ. სულ 12 წევრი.

კომპარტიის პოლიტბიუროს წევრია ვ არარუსი და არასლავი:  
დინ მუხამედ კუნაევი, ყაზახისტანის კ. პ. პირველი მდივანი,  
ჰეიდარ ალიევი, აზერბაიჯანის ყაფილი კ.პ. პირ. მდივანი,  
ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კ.პ. ყაფილი პ. მდივანი.  
ზედმეტია იმის თქმა, რომ ისინი მათ ერებს არ წარმოადგე-  
ნენ, არამედ შეჩრეული არიან მათ ერებზე გაბატონებულ რუ-  
სეთის ხელისუფლების მიერ.

შემდეგ 66 გვერდზე სსრკ კომპარტიისა და მთავრობის 12  
მთავარი პირი (მარცხნილან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით):  
მიხაილ გორბაჩივი, იგორ ლიგაჩივი, ლ. ზაიკოვი, ნიკოლოზ  
რიუკოვი, ანდრეი გრომიკო, ვიქტორ ჩებრიკოვი, მ. სოლომონ-  
ცევი, ჰეიდარ ალიევი, ედუარდ შევარდნაძე, ვ. ვოროტნიკოვი,  
ვიქტორ შჩერბიცკი, დინ კუნაევი.



გ. ს. გომზოვანიშვილი,



დ. ჯ. ლაშგარიშვილი,



გ. გ. კოსტავა,



გ. ი. ხვოსტოვი,



ა. ა. ხვოსტოვი,



გ. ბ. კიბარიშვილი,



გ. ს. სემენოვიშვილი,



ა. ა. არსენიანი,



გ. ა. ცვეთიშვილი,



გ. გ. ვაშაკიძე,



გ. ს. შენგელია,



გ. ა. ცერეთელი,

სამგლოვიარო განცოდილება

მერი შერგაშიძე—ერისთავისა


მიმღინარე წლის 24 იანვარს სენ ჭენე-ვიევ დე ბუას (საფ. 91 დეპ.) რუსულ სასაფლაოს, მეუღლის გვერდით, მივაბარეთ 96 წლის ასაკის ქალბატონი მერი შერგაშიძე—ერისთავისა.

განსვენებულს, რომელსაც დიდებულ პოეტ გალაქტიონ ტაბიძის მუზად უხმობდა ლეგენდა, ხოლო სინამდვილეში კი ის გახლდათ რუსეთის საიმპერატორო კარის ერთ-ერთი ულამაზესი ფრეილინა—ქალბატონი მერი 93 წ.

თავანი,—სიკვდილამდე შერჩა ოდით გან-  
თქმული ქართველი ქალის სილამაზე და მომხიბვლელობა და  
ყველა მის ნაცნობს თავისი სიკვდილით გული დასწურია.  
საუკუნო იყოს ხსენება და კურთხევა მისი.

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*

მხატვარ ფელიქს ვარლას გარდაცვალება



ფელიქს ვარლამიშვილი დაიბადა 1903 წელს ქალ. ქუთათესებრი მამამისი გრიგოლი იყო ქუთაისის ბანკის დირექტორი. ცილი ბილი საზოგადო მოღვაწე. ფელიქსი იყო ბატონ გრიგოლის პირველი ცოლის შვილი. მეორე ცოლიდან მას კიდევ შეეძინა ორი ქალი და ერთი ვაჟი, რომლებიც დღესაც იმყოფებიან ქუთაისში.

ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1922 წელს ფელიქსი ჩადის თბილისში და შედის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც ახალი დაარსებული იყო. ფელიქსი ხატვა-გრაფიკას სწავლობდა პროფესორ შარლემანის კლასში, ხოლო პროფესორ ლანსერეს კლასში—ფერწერას. ბავშვობიდანვე ფელიქს დაჟა მხატვრობის დიდი ნიჭი და სამხატვრო აკადემიაში ის ითვლებოდა უნიჭიერეს მოწაფედ. მისი ფანჯრით ნახატები შესანიშნავი იყვნენ, მინიატურების მსგავსი, რომელთა შინაარსი იყო ძველი თბილისი. ეს მისი ახალგაზრდობის ნახატები აქ, პარიზში იშვიათია, მხოლოდ ქალბატონ ვალია კედიასთან ვნახე რამდენიმე. საქართველოში კი არ არსებობს არავითარი ნიმუშიც კი მისი შემოქმედებისა.

თბილისში ჩასვლის თანავე ის ოცნებობდა პარიზშე, მის ბუნებას აღარ აკმაყოფილებდა თბილისის სამხატვრო ცენტრი, მას გაგონილი და შაკითხული ჰქონდა პარიზის ბოჭემაზე და მხატვრობის დაზგვი მრავალი სხვადასხვა მიმართულებების შესახებ. ამიტომ იყო, რომ ის მიესწრაფებოდა საზღვარგარედ.

**1928**-ში მან დასტოვა თბილისი და ერთ მეგობარ აკადემიის თანაკლასელ ლუკა ხითარიშვილთან ერთად გადმოვიდა ახალციხიდან თურქეთის საზღვარზე. სტამბოლში ჩამოსვლისას რამდენიმე კვირით იშვიერს პატარა სამუშაო, დააგროვეს სამგზავრო ფული და მით ჩამოვიდნენ პარიზში.

პარიზში პირველად მან მუშაობა დაიწყო ერთ დიდ დეკორატიულ სიეჟელის ატელიეში, სადაც მის დეკორატორულ ნამუშევრებს დიდი მოწონება ჰქონდათ და იქ დაპყო თრიოდე წელი. როცა ცხოვრებისათვის საკმარისი თანხა მოაგროვა, ფელიქსი თავს ანებებს სიეჟელთან სამსახურს, იწყებს თავისთვის მხატვრობაში მუშაობას და 1933 წელს აწყობს თავისი მხატვრობის პირველ გამოფენას „სპერანცას“ გალერიაში. ამ გამოფენამ არ გამოიწვია აღფრთოვანება. შეიძლება, რომ ეს იყო

ს კ რ ი ც ე ლ ი  
ა ი ს ტ უ რ ი ც ე ლ ი



სურათები გადაღებულია მხატვრის ბინაზ 1983წ., რომა ის 80 წ. იყო და გამოვლილი ჰქონდა მპიცე ევალენაზა. ზევით, ვართა დაგას კიბეზე, გის უკან კველებზე აი ჩანს მისი მონუმენტური ფრესკა. მკერძო, სხელან ვართა და მისი მეულე, კალაზე ჩანს გრი ერთი ნახატი. გისი ბინა მისივე სამხატვრო გაღმია იყო დაგერის გერბით.



ნაადრევი, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული სატელი თანი ორიგინალური სტილი, რაც უცილებელია პარიზში მხატვარმა ყურადღება მიიღიოს. მისი ამდროინდელი მხატვარობა პარიზში მოიპოვება სხვადასხვა ქართულ ოჯახებში, რომლებიც ხასიათდებიან ქართული ზნე-ჩვეულების სიუჟეტებით და სულით.

**1934** წელს ფელიქსმა ცოლად შეირთო დანიელი ქალი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი, რომ ფელიქს სუფთა ხელოვნებაში ემუშავნა. ძნელი იყო მათთვის ეკონომიური მდგომარეობა პარიზში, ამიტომ **1948** წელს ისინი გაემგზავრნენ არგენტინაში, სადაც დასაწყასში ისევ დეკორატიულ დარგში მუშაობდა, ხატავდა პანოებს ავეჯეულობისათვის, რასაც კარგად ჰყადდა და თანაც მუშაობდა სურათებზე.

**1952** წელს დაბრუნდა პარიზში. მის ნამუშევრებს ყურადღება მიაქცია „დრუან“-ის გალერიის პატრონმა, რომელიც ვარლას ნამუშევრებს ფალულობდა რამდენიმე წლის განმავლობაში. მას ხელშეკრულება არ ჰქონდა დრუანთან, ამიტომ უფლება ჰქონდა სხვადასხვა გალერიებში გამოეფინა და განსაკუთრებით უცხოეთში. ვარლას სურათები გამოიენილი იყვნენ „ახალგაზრდა მხატვრების“ ჯგუფთან ერთად ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში:

საფრანგეთში. **1947. Galerie Roux Henschel, 1959 Galerie Drouant, Galerie des Beaux-Arts de France, 1976 Galerie Forum Art Monte Carlo.**

გამოფენები უჭოეთში. **San Francisco 1959, 1960, 1961. Detroit 1963 Galerie Galaxie. New York Continental Art Galerie. Buenos Aires 1950, 1951, Galerie Viau. Tokio 1970 Galerie Takaschimaya. Osaka. Yokohama. Kioto. Belgique Galerie Dandoy. Teheran.** სალონები: მანტონის ბიენალი, ტუიილერის სალონი და შემოღომის სალონი, რომლის სოსიეტერიც ის იყო **1945** წლიდან. ამათ გარდა ვარლა ფენდა **Netis** და **Touquet** გალერიებში **1980, 1982-1985** წლებში, საღაც სამჯერებ მთელი გამოფენები იქნა გაფადული.

ვარლას მხატვრობის მთელი კერძო კოლექციები გაფანტულია თითქმის მთელ მსოფლიოში. და კერძოდ, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ბელგიაში, ირანში, იაპონიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, შვეიცარიაში, საფრანგეთში სახელმწიფო შეიძინა ტილოები **1945, 1946, 1963** წლებში და ქალაქმა

პარიზმა კი 1954, 1955, 1963 წლებს.

ფელიქსი დიდიხა ხანია, რაც ავაღმყოფობდა. იგი მიმდევად ამ წლის 6 თებერვალს და მისი ანდერძის მიხედვით მისი ნეშტი დაიწვა და მიბარდა ლოვილის სასაფლაოს. მე პირადად სახელოვან ხელოვანთან ერთად დაგვარევე ახლობელი მეგობარი. მის ერთგულ მეუღლეს და საქართველოში მყაფ ნათესავებს ვუცხადებ სამძიმარსა და თანაგრძნობას მწუხარებაში.

### ნიკოლა მამულაშვილი

#### ხელოვანის გარდაცვალება

წელს, 24 თებერვალს ლევილის ძმათა სასაფლაოს მივაბარეთ სახელოვანი მხატვარის ფელიქს გარლამიშვილის ფერფლი, რომელიც მხატვრობის სამყაროში ცნობილი იყო „ვარლა“-ს სახელით. მას თავიდანვე არაჩვეულებრივი ნიჭი დაჭვა მხატვრობის. სჭხატვრო განათლებას ის ღებულობს ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში, პარიზში გადმოხვეწილს, პირველ წლებში უძნელდება მიმაღლებული ნიჭის აღიარება, მაგრამ ბოლოს ჯიუტმა ნებისყოფამ და შრომამ თავისი გაიტანა და მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის ბედნიერი იყო, რომ მოესწრო მისი მხატვრობის საყველთაო აღიარებას.

ვარლას მხატვრობის სტილი იყო დახვეწილი, ნატიფი, რაფინირებული. პარიზში მან მოიპოვა დიდი სახელი. რა სამწუხაროა, რომ ჩვენს სამშობლოში ვერ სტკბებიან მისი ხელოვნების შედევრებით. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

გიორგი ნოზაძე

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

#### კონსტანტინე ალშიბაიას შესანდობარი

მას უფრო კარგად იცნობდენ კაკოს სახელით და იყო ჩვენი, პარიზის ქართული ახალშენის, განუშორებელი, თვალში საცემი და კოლორიტული წევრი. სულ რამდენიმე დღით ადრე გარდაცვალებამდე, ბატონი კაკო მძიმე-მძიმედ ამოდიოდა ჩვენი პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიის კიბეებზე და, როცა აივაზა, სულ ნელ-ნელა წაბაჯბაჯდა, როგორც ეს წლებით მძიმედ დატვირთულებს ჩვევიათ. მის შემხედვარეს, გამახსენდა ჩვენი

\*\*\*\*\*

ხალის ბრძნული ანდაზა: ვისაც ჩემი ახალ-  
გაზრდობა არ ენახოს, ღმერთმა ჩემი მოხ-  
უცებულობაც არ ანახოსო, სწორედ კაკო-  
იუ ზედგამოჭრილი. კაკო აღშიბაია მართ-  
ლაც გარდაქეშანივით ვაჟკაცი იყო, როცა  
მე ის ორმოციან წლების ხოლოს გავიცანი.  
თუმცა ის სიმსუქნით უკვე დამძიმებული  
იყო, მაგრამ მის მაღალ და წარმოსადევ  
აღნაგობას ეს ბევრს ვერაფერს ვნებდა,



ხოლო მისი არწივის თვალების ელვარებას, როცა ის განრის-  
ხდებოდა ძნელად თუ გაუსწორებდა ვინმე მზერას. კაკოსთან  
ქალალდის ან სხვა აზარტულ თამაშობებს გაურბოდენ, ჩხუბი  
იცისო. ის მართლაც ადვილად განრისხდებოდა ხოლმე, მაგრამ  
ასევე ადვილად იცოდა გამოდარებაც და არავიზე გულღრძო,  
სამტროდ დიდხანს გადაკიდებული არ ყოფილა.

ომში ომი იცოდა, შრომაში შრომა და ქეიფში ქეიფი. გა-  
გიხარიათ, ქეიფი იმას უჟვარდა და შეეძლო კიდევაცა! ბევრი  
სასმელის სმა შეეძლო და კარგადაც იტანდა. ქიფში კარგი  
მომლენი, კარგი მჭევრმეტჭველი და კარგი მოსწრებული სიტ-  
ზა-პასუხისა იყო.

გამიგონია, რომ ომის დროს გერმანულ ჯარში მყოფს, მას  
არა ერთი უსიამოვნება და შეხლა-შემოხლა მოსვლია ყაფილ  
ტჯე ახლა ჯარიკაც თანამემამულეებთან, რაც უმრავლეს შე-  
მთხვევაში იმით ყაფილა გამოწვეული, რომ, საბჭოთა პირო-  
ბებსა და ტჯეობაში გაცუღლურებული ზოგიერთი ახალგაზრდა,  
ქურდ-ბაცაცობდა ან ამხანაგებს გერმანელებთან აბეზღებდა.  
ამის ატანა კი კაკოს არ შეეძლო, განსაკუთრებით იმის გამო,  
რომ ეს ჩირქს ცხებდა ქართველი კაცის სახელს უცხოელების  
თვალში. ტჯეების გადამკიდეს, მას ბევრი სასაცილო მჩბებიც,  
შეხვედრია. მოვიგონოთ აქ ერთი მოვანი:

• ერთხელ, გერმანელ სარდლობას სხვებთან ერთად კაკოც გა-  
უგზავნია ტჯეთა ბანაკში „მოხალისე“ ჯარისკაცების შესარ-  
ჩევად. მოუწყიათ მთელი ბანაკი და იძახებდენ ეროვნებების  
მიხედვით. გამოიძახეს: რუსები, უკრაინელები, ქართველები და  
ასე ჯელა ეროვნებები. ერთი ტჯე დგას მუდამ ადგილზე და  
არც ერთი ერთი გამოძახებას არ ეხმაურება. გაკვირვებულმა  
კაკომ მივიდა და ეკითხება: კაცო ვინ ხარ შენ, რა ეროვნე-



ბის ხარო? მეგრელი ვარ, პატენიო, პასუხობს ტჟე-უფლეთულები ულა კაკო. უფირია: შე ვირო, მეგრელი რომ ხარ, კერძოდ უფლეთულები კართველი არ ხარო?! არაო, კიდევ უთქვია ტჟეს. თურმე, საქმე იმაში ყაფილი, რომ ტჟეს გაგონილი ჰქონებია: გერმანელები კართველებს ყელას ხოცავენ, რადგანაც სტალინი ქართველიამ და მასაც გადაუწყეტია არ გაემხილა მისი ქართველობა.

კონსტანტინე ალშიბაია დაბადებულა 1899 წელს დედულეთში, იმერეთის მართლაცდა საჩინო სოფელ საჩინოში, დედამისი გახლდათ ვერა ლორთქიფანიძის ასული და მამა ვლადიმერ ალშიბაია სოფელ ჭყალუაშიდან ზუგდიდიდს რაიონში. კაკო ნიჭიერი მოწაფე ყაფილი და ჭარმატებით დაუმთავრებია ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია.

ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება მას მკაცრად დევნიდა და ავიტროებდა, კაკო იძულებული შეიქნა გადმოხვეწილიყო სამშობლოდან 1922 წელში. პირველად ის ჩადის გერმანიაში, ბერლინში ბიძამის გრიგოლ ალშიბაიასთან, რომელსაც კაკო სასწავლებლად შეჰქავს ბერლინის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ ბერლინიდან კაკო გადადის ფრაიბურგის უნივერსიტეტში. ექვსი თვეება აკლდა ფაკულტეტის დამთავრებას, რომ კაკომ ის მიატოვა და საცხოვრებლად გადასახლდა საფრანგეთში, სადაც ჭელასათვის მოულოდნელად 1930 წელს ის შედის საფრანგეთის „უცხოელთა ლეგიონში.“ აქ მან მრავალი ლაშქრობა გადაიხადა და ის ლეგიონში დარჩა 1942 წლის 23 სექტემბრამდე. ამის შემდეგ კაკო გაეშურა აღმოსავლეთის ფრონტზე სამშობლოს გასანთავისუფლებლად, მაგრამ გზაში დააგვიანდა...

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაკომ სცადა ოჯახის შექმნა, ჯვარი დაიწერა ქალბატონ თამარ ბერიძეზე, მაგრამ ხასიათით ვერ შეეწყენ, და ათი წლის თავზე განგვირგვინდენ. მოხუცებულობაში კაკოს საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა, მაგრამ მას არ აკლდა ახლო ნაოესაობა და პირველ რიგში მისი უნცროსი და, ქლბატონი თამარ პატარიძე, რომელმაც შვილებითა და შვილიშვილებით მოხუცს გული სიჭარულით აუვსეს და მიცვალებული გააპატიოსნეს, ამიტომაც სამძიმარსა და თანაგრძნობასაც თამარ პატარიძის ოჯახს მოვახსენებთ, ხოლო კონსტანტინე ალშიბაიას საუკუნო განსვენება.

\*\*\*\*\*



## ს ა მ გ ლ თ ვ ი ა რ თ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე შ რ წ რ ც ხ უ ბ ი ა შ ი ს ა მ გ ლ თ ვ ი ა რ თ

ამერიკის შ. შტ.-დან ბ. ვახტანგ საყარელიძე გვატყაბინებს: 1985 წლის 27 იანვარს ნიუ-იორქში გარდაცვლილა ბატონ არჩილ კეპელიას მეუღლე, ქალბატონი ბარბარა კეპელიასი.

\*\*\*

1985 წლის 8 სექტემბერს ისევ ნიუ-იორქში გარდაცვლილა ბ. პავლე რომანიშვილის მეუღლე, ქ. ნინა რომანიშვილისა.

\*\*\*

ნიუ-იორკიდან ბ. ნიკო თოფურია გვატყაბინებს, რომ იქ, ამ წლის 17 მარტს, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა სათვისტომოს გამგეობის მდივნად ჭაფილი ბ. სერგო გაბუნია და დასაფლაგ-და ნიუ-იორკის **FLUSHING SEMETERY**.

\*\*\*

ქალაქ მონბელიარიდან ბ. შლვა ზედგინიძე გვატყაბინებს: 1985 წლის შემოდგომაზე ქ. მარსელში გარდაცვლილა 80 წლის ასაკ-ში მყოფი ბ. დევანოზ ზედგინიძე, სოფ. ძველის მკვიდრი, ტაოში.

\*\*\*

ბ. მიხეილ თარაშვილი გვატყაბინებს: წელს, მარტში ქ. ანდე-რნოში(ქ. ბორდოს გარეუბანი, უირონდის დეპ.) გარდაცვლილა მისი მეგობარი, ბატონი დიმიტრი უხურგუნაშვილი.

\*\*\*

წელს 21 იანვარს, პარიზში, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა თავადი ქალბატონი მერი შერვაშიძე-ერისთავისა და დაიკრ-დალა ქ. სენ-ჟენევიევ-დუ-ბუას რუსულ-ფრანგულ სასაფლაოზე.

\*\*\*

წელს 6 თებერვალს, პარიზში, 83 წლისა გარდაიცვალა მხატ-ვარი ფელიქს ვარლამიშვილი, ვაზლად წოდებული. დაწვის შე-მდეგ, მისი ფერფლი მიბარდა ლევილის სასაფლაოს.

\*\*\*

წელს 14 თებერვალს პოლანდიის ქ. დიიცენციამში გარდაიცვალა ბ. სერგო გოგრიჭიანის მეუღლე, ქალბატონი მარია, დაბა-დებული ტონრენბერგი

\*\*\*

წელს 3 მაისს, ქ. არპაონის საავადმყოფოში გარდაიცვალა პოეტი გიორგი ყიფიანი და დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე. დაკრძალვის ამბები და ნეკროლოგი შემდეგ ნომერში.

ბ. ნიკოლოზ თოდრია (ორდიუა) ჩიკაგოდან გვთხოვს გამოყენებულ  
ვეზოთ: დავლადაცემის შედეგად, ხანგრძლივად (1964 წლიდან 1986  
პარალიზებული, 1986 წ. 22 თებერვალს, ქალაქ მილვოკეში (ვი-  
სკოსენის შტატი) გარდაცვალია, 1918 წლის 22 თებერვალს  
თელავში დაბადებული, საბჭოთა არმიის ლეიტენანტი, სანდრო  
მურტაზაშვილი. განსვენებულს დარჩა ოჯახი: მეუღლე-მშილა,  
ვაჟიშვილები-ვასო და მიშა, შვილიშვილები-მიხეილი, ილია,  
ქრისტინა და ნინა.

\*\*\*

თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებს „გუშაგი“ კველა  
მათ ჭირისუფლებს.

\*\*\*

### სანდრო ბარათელის დასაფლავება

წელს, შაბათს, 19 აპრილს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ლევი-  
ლის ქმათა სასაფლაოს მიბარდა ბ. სანდრო ბარათელის (გიორ-  
გი პიტავა) ფერფლი, რომლის ურნაც ნიუ-იორკიდან ჩამოასვე-  
ნეს განსვენებულის მეუღლემ, ქალ. ილსე ბარათელმა და მეგო-  
ბარმა გივი ზალდასტანიშვილმა. დეკანზ ილია მელიას მიერ  
წესის აგებისა და ქების შესხმის შემდეგ გამოსამშვიდობებე-  
ლი სიტყვებით მიმართეს: პარიზის სათვისტომოს თავმჯდომა-  
რე თამაზ ნასყადაშვილმა და რადიო „თავისუფლების“ თანა-  
მშრომლებმა: ნოლარ ერისთავმა და ნუზარ შარიამ.

\*\*\*\*\*

### გუშაგის ფონდი (ფრანგულ ფრანკებში)

ისიდორე გაუონია	227	მარია და ვალ— სანგულია	200
კარლო გვარჯალაძე	97	ავთანდილ უარჯანაძე	500
პავლე ვაშაძე	300	იონა გუნია	200
ნამო გოგუაძისა	100	რუბენ გვეტაძე	150
გივი გაბლიანი	145	ლიმიტრი მანარაშვილი	382
ნიკოლა ანთაძე	100	ნიკო ბედელაძე	100
მათიკო გეგეტკორი	100	გივი კობახიძე	236
მიხეილ თარაშვილი	300	შოთა ბერეგიანი	100
გიორგი ტოგონიძე	100	მირიან მელუა	200
ირაკლი ოთხმეზური	148	მიხეილ თარაშვილი	300

ნიკოლოზ თოფურია	350	ილსე ბარათელისა	700
მიშა გოგორიშვილი	300	გივი ჭალდასტანიშვილი	500
დავით თოხაძე	600		
პეტრე ხვედელიძე	- ნინო მდივნის მოსახსენებლად	608	
ჩხარელი	- სანდრო ბარათელის მოსახსენებლად	174	
ვახტანგ საჭარელიძე	- ქ.ქ. ბარბარა კეკელიასი და		
	ნინა რომანიშვილის მოსახსენებლად	337	
ნიკოლოზ თოდრია	- სანდრო მურტაშვილის მოსახ.-ად	337	
	დ ა მ ი		7.891
	***	***	***

### ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

#### გრიგოლ რობაჟიძის ლამარა იცრითულად

პირველ რიგში მცითხველებს უნდა ვახაროთ, რომ წელს იერუსალიმში გამოვიდა წიგნი, რომელიც შეიცავს გრიგოლ რობაჟიძის „ლამარას“ და „გაბიმას“ ქართულად და იგრითულად. ებრაულად თარგმნა ეკუთვნის ბატონ მოშე დანიელის და წიგნი ისეა შედგენილი, რომ ყაველ გვერდს ქართული ტექსტისას მოყენება გვერდი შესაბამის ებრაული ტექსტით. წიგნის სარედაქტო კოლეგიაა: მთავარი რედაქტორი დოქტორი იცხაკ დავიდი, რედაქტორები: შალვა დავითაშვილი და მიხეილ ჯანაშვილი. წიგნს წამდლვარებული აქვს: 1. მთარგმნელის წინასიტუაცია, 2. იცხაკ დავიდი-დაკარგულ მისტერიათა მომღერალი, 3. შალომ დავითაშვილი- გრიგოლ რობაჟიძე. წიგნი მშვენიერადაა გამოცემული და კოხტად გაფორმებული. წიგნის ზედა ყდის კანზე გამოსახულია ლამარას საინტერესო ბიუსტი, შესრულებული ახ. ალგაზრდა მოქანდაკე ვაჟა დანიელის მიერ (მთარგმნელის ვაჟი).

ლამარას წიგნი ქართულად იშვიათობას წარმოადგენს როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ, რაც შეეხება ებრაულად მის თარგმნას, ამას შეიძლება ეწოდოს გრ. რობაჟიძის მეორე სიცოცხლის დაწყება. წიგნი მცირე ტირაჟით არის გამოცემული(მხოლოდ 500), ჰიტომ, ვისაც აინტერესებს შეძენა, არ უნდა დააგვიანოს, წიგნის ღირებულება, ფოსტის ხარჯებით, უდრის 22 დოლარს და უნდა მიმართოთ: Mr. M. Danieli,



Armon Hanarsiv 304/31, Jerusalem, 93805, ISRAEL

\*\*\*

\*\*\*

*„Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes“*

ასეთი სახელწოდებით გამოიცა და ფოსტით მივიღეთ ფრან-  
გულ-ინგლისურ-გერმანულ-იტალიურ ენებზე შედგენილი ქართული  
და კავკასიური ეტიუდების №1 კრებული, გამოცემული იგივე  
სახელწოდების საზოგადოების მიერ 1985 წელს პარიზში.  
გამოცემას ხელმძღვანელობს დირექტორია: უორუ შარაშიძისა  
და აკადემიკოს უორუ დიუმეზილის სახით და მდივანია ქალბა-  
ტონი ლომინიკ გოტიე-ელიგულაშვილი. ამათ გარდა, როგორც  
საჩედაქციო კომიტეტში, ისე სამეცნიერო საბჭოში არიან ყვე-  
ლა ის ცნობილი ქართველოლოგები, რომლებიც მონაწილეობდენ  
*„BEDI KARTLISA REVUE DE KARTVELOLOGIE“*-ში, რომელიც გა-  
მოდიოდა ბარონ კალისტრატე სალიას დირექტორ-რედაქტორობ-  
ით. მართლაც, როგორც ბ. გიორგი შარაშიძის წინასიტყვაობა-  
ში ვკითხულობთ, ზემოხსენებული ქართველოლოგიის სამეცნიერო  
კრებული წარმოადგენს „ბელი ქართლისას“ გაგრძელებას, რად-  
განაც ბ. კ. სალია ავალმყოფობის გამო ვეღარ უძღვება საქმეს.

ჩვენ თანახმა ვართ, რომ ქართველოლოგიის კრებულის გაგრ-  
ძელება პარიზში საჭირო იყო და მის ხელმძღვანელად პროფ. გ. შარაშიძე და პროფ. ჟ. დიუმეზილი ყველაზე კომპეტენტუ-  
რი და მოწოდებული არიან ამ საქმისათვის. ჩვენ აქ ნომრის  
შინაარსზე აჩაფერს ვამბობთ. უცხოეთში მცხოვრები ყველა  
კულტურული ქართველი ალბათ მას შეიძენს და გაეცნობა.  
კუველგვარი ცნობისათვის, კრებულის შესახებ, უნდა მიმართოთ:

*Dominique Gauthier-Eligoulaachvili**Revue des Etudes georgiennes et caucasiennes*

47, rue des Tournelles, 75003 Paris, Tel. 48 87 21 58

\*\*\*

\*\*\*

*NIMROD -TULSA / TBILISI*

ამერიკის ოკლატომას შტატის ქალაქ ტულსაში იცემა ლიტე-  
რატურული ეურნალი „ნემროდ“-ის სახელწოდებით, რომელიც  
თავის ამერიკელ მკითხველებს აცნობს მსოფლიოს სხვადასხვა  
ქვექების მწერლებისა, ლიტერატორებისა და პოეტების თხზუ-  
ლებებს (რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაზე). გასული წლის ნო-

ემბრიის ნომერი თითქმის მთლიანად დათმობილი აქვს ქართველი თანამედროვე მწერალ-პოეტებს და უურნალის ქვესათაურის: ტულსა—თბილის. უურნალში დაბეჭდილია ვენერა ურუშაძის სტატიები „ვეფხისტყოსანზე“, დარა გოლდმტეინის სტატიები: „რუსი მწერლები საქართველოში“ და „ქართული სამზარეულო“, ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ძალი“ (რომელიც, სხვა-თა შორის, თარგმნილია „ამერიკის ხმის“ თანამშრომლის ბ. ლადო ბაბიშვილის მიერ), ჯული კრისტენსენის სტატია: „საქართველოს სინემა“, ლექსები: შოთა ნიშნიანიძის, მურმან ლე-ბანიძის, ჯანსულ ჩარკვიანის და ლიანა და ლია სტურუების, მოცემულია ქართული დამწერლობის ნიმუში, ზოგი გამოჩენილი დამდგმელ-რეჟისორის სურათები და სხვა. უურნალი, რომელიც 170-ამდე გვერდს შეიცავს, საუცხოო ქაღალდზეა დაბეჭ-დილი და მდიდრულად გამოცემული.

N I M R O D, Arts and Humanities; Council of Tulsa, 2210 S. Main, Oklahoma, 74114-1190.

\*\*\*

### ილია კუპუხიძის მოგონებების წიგნი

1985 წელს, თვითგამოცემის წესით, ხელით საბეჭდ მანქანაზე, ბავარიის დედაქალაქში, ჩვენს თანამშრომელს ბ. ილია კუპუხიძეს გამოუცია წიგნი, რომლისთვისაც უწოდებია: სამა-გიდო რვეულიდან მოგონებების წიგნი. დიდი ფორმატის 425 გვერდზე ავტორს სიყვარულით აუკინძავს მისი მღელვარე და საქმიანდ ხანგრძლივი ცხოვრების შესანიშნავი მოვლენებისა და თანამდებობის შთამბეჭდავი აკილო. წიგნი დაწერილია ტეხურასავით მჩქეფარე სტილით და იკითხება საინტერესოდ. ილია კუპუხიძეს ვიცნობდით, როგორც ნიჭიერ მწერალს, ესეი-სტს, პოეტსა და უურნალისტს, ამ წიგნით მან თავისი შემოქმე-დებითი პალიტრა გაამდიდრა მემორიალისტის წოდებითაც. რა თქმა უნდა, არის ზოგიერთი სუბიექტიური მსჯელობები, მაგ-რამ აქ არც კრიტიკის სურვილი გვაქვს და არც ადგილი, მო-მავალ 18 ივნისს ბ. ილიას 80 ზაფხული უსრულდება, მოდით, მივულოცოთ და ვუსურეოთ კიდევ ბევრი ასეთი სქელტანიანი წიგნებით გაემდიდრებიოს ქართული კულტურა.

გუშაგი

კაგებეს მსხვერპლთა ქრონიკა

მერაბ კოსტავა მძიმედ ავადაა

სხვადასხვა არხებით მიღებული ცნობების მიხედვით, კანონიერებისა და თავისუფლების დაცვისათვის მყაცრად დასჯილ-წამებული მერაბ კოსტავა ტუბერკულიოზით ყოფილა მძიმედ და-ავადმყოფებული. შეუმოწმებელი ცნობებით: ერთი ამბობენ, რომ ის განთავისუფლებულია პატიმრობიდან და მას ადგილობრივ მკურნალობენ; სხვების მიხედვით კი, ის სახლში, თბილისში იმყოფება და მკურნალობს.

\*\*\*

თეიმურაზ ჩიხლაძის მკვლელობა

მიუნხენში გამომავალი ინგლისურენოვანი ჟურნალი **ABN CORRESPONDENCE** თავის 1986 წლის მარტ-აპრილის ნომერში იტყობინება, რომ მღვდელი თეიმურაზ ჩიხლაძე, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, დახვრეტილი იქნა 1985 წლის 29 ნოემბერს. ამრიგად მოძღვაორ თეოდორეს მკვლელობა სხვადასხვა წყაროებიდან დასტურდება, მისი ცოდვა, ბატონ შევარდნაძის შემდეგ, კისრად აძევთ: მ. გორგაძე და ა. გრომიკოს.

\*\*\*

გუდავას მყაცრად დასჯა

ფრანს-პრესის სააგენტოს ცნობის მიხედვით, თბილისში „კრიმინელური ხულიგნობის“ ბრძლებით, 1986 წლის 20 იანვარს გაასამართლეს და მიუსაჯეს ოთხი წლის მყაცრ რეჟიმის ბანაკ-ში პატიმრობა ექიმ ედუარდ გუდავას. ე. გუდავა დააპატიმრეს გასულ წლის ნოემბერში იმის შედეგად, რომ მან ბალკონზე გამოფინა პლაკატი, რომელიც ბრალს სდებდა კაგებეს ოჯახის დევნიაში. მისი ძმა თენგიზი დააპატიმრეს გასული წლის მაისში. („ლე მონდ“ 28.01.1986.)

\*\*\*

ძმები გოლშტეინები

ცნობილმა ქართველმა „რეფუზნიკებმა“, ძმებმა ისაია და გრიგოლ გოლშტეინებმა, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობდნენ თბილისის ადამიანის უფლებებისა და ჰელსინკის კომიტეტებში და, რომლებიც ხშირად ყოფილან კაგებეს ბრჭყალებში, როგორც იქნა ნებართვა მიიღეს დასტოვონ ს.ს.რ.კ. და ამჟამად უნდა იმყოფებოდენ ისრაელში.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

.2	25 თებერვალი	დეკანოზი ილია მელია
.3	65 წლის ტყვეობაში	მოწინავე
.8	ისევ და ისევ დაძაბულობა	პაპუნა ლუბაშვილი
.9	პოლიტიკური ცვლილებები საფრანგეთში	გულბათ გულბათიშვილი
.16	ო მ ი	ირაკლი ოთხმეზური
.20	რუსულ-კომუნისტური შოვინიზმი	გურამ გელოვანი
.27	პატრიოტიზმი და კომპარტია	გიორგი წერეთელი
.37	რაც ყელა ქართველმა უნდა იცოდეს დავით გაშაძე	
.43	პოეზიის განუფილება : დიდი ილიას იუბილესათვის ი ლ ი ა ს 1937.	გუშაგი ირაკლი ოთხმეზური
	გამარჯობა ძმაო შენი და სიყვა- რულის და სათნოების გრძნობისა კლდის წყარო ნიკო და ჩონგური	გიორგი ტოგონიძე გივი შაორელი
.49	ბაგშვილის და ყმობის მოგონება	დიმიტრი მახარაშვილი
.57	გორბაჩოვის მოხსენება კომპარ- ტიის 27-ე წლილებაზე	მიხეილ თარაშვილი
.64	კომპარტიის 27-ე წლილება	გიორგი ქართველი
.68	სამგლოვიარო განუფილება ქ. მერი შერვაშიძე-ერისთავისა მხატვარ ფერიქს გარღამიშვილის	
	გარდაცვალება ხელოვანის გარდაცვალება	ნიკოლა მამულაშვილი
	კონსტანტინე ალშიბაიას შესანდობარი	გიორგი ნოზაძე
.74	სამგლოვიარო განცხ აღებები	გუშაგი
.75	გუშაგის ფუნდი	
.76	ახალი წიგნები:	
	გრ. რობაქიძის „ლამარა“ ებრაულად „ქართული და ქავკასიური ეტიუდების კრებული.“	
	ილია კუჭუხიძის მოგონებების წიგნი	გუშაგი
.79	კაგებეს მსხვერპლთა ქრონიკა	გუშაგი

\*\*\*\*\*

33/13



# GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GÉORGIENNE

*Directeur : GEORGES TSERETELI*

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE